პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წლიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
არულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან. დანარჩენებისათვის—1 მანეთი და 30 კაპ.; განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 ს. [illegible] 18—80 [illegible] 5—48.

დღიური

— მიტინგი პარიზში ტერორის წინააღმდეგ პოლონეთში.
— ფრანგი სოციალისტები კომუნისტებთან ერთად გამოდიან საქალაქო არჩევნებში.
— ოსმალეთში ქალებს აუკრძალეს ჩადრების ტარება.
— სუნ-ჩუან-ფანის ჯარები უწესრიგოდ იხევენ უკან.
— ინგლისის მუშები ილაშქრებენ საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შეწყვეტის წინააღმდეგ.

შაბათი, 19 თებ·რვ·ლი 1927 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 40 (1795)

ემიგრაციის ჭაობში

ქართული ემიგრაციის ცოცხალი გვამები თავიანთ საცოდავ და საძაგელ პოლიტიკურ ჩხირკედელაობით დროგამოშვებით მაინც გვამცნობენ მათ უკანასკნელ გათახსირებამდე მისულ არსებობას. ანტისაბჭოთა კამპანიამ, რომელსაც დიდი გაფიცვებისა და ჩინეთის ამბების გამო ასე ერთგულათ აწარმოებს ინგლისის რეაქციონური წრეები, სიცოცხლის შუქი შეიტანა ქართულ ემიგრაციის ჭაობში, და „სოციალისტური" ქვეწარმავალნი კვლავ სინათლეზე გამოეფინენ.

სხვანაირათ წარმოუდგენელიც იყო. ქართულ კონტრ-რევოლიუციას ერთი გზა და ხიდი აქვს ოქტომბრის რევოლიუციის ყველა მოსისხლე მტრებთან. ვისთან ერთად და ვის წინააღმდეგ ირაზმება მენშევიკური პამპულები. ეს არის ყოფილ კაიზერის გენერალი ჰოფმანი და მეფის რუსეთის დაგეშილი შავრაზმელი დიპლომატი საბლინი. თავის თავად ქართული ემიგრაციის თანამებრძოლთა ეს პოლიტიკური სახეები ჩვენში არავითარ განცვიფრებას არ იწვევს. ვინ არ იცის, რომ მენშევიკური კონტრ-რევოლიუცია კარგა ხანია შეჩვეულია ამგვარ მეზობლობას და რომ ეს პრაქტიკულადაც აუცილებელია მის უნიადაგო, შავ ზრახვათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. თუ ამ ფაქტზე შევაჩერეთ ჩვენი მკითხველის ყურადღება, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ ცხადვყოთ, თუ ვინ ევლინება ქართველ მუშებსა და გლეხებს „ეროვნულ მჩაგვრელობისაგან" განმანთავისუფლებელის როლში, ვინ იღწვის ევროპაში საქართველოს ნაციონალურ ინტერესებისათვის.

ესენია აწ განსვენებულ ნიკოლოზის დიპლომატები, ყოველი ჯურის საბლინები და გირსები, რომელნიც ასე ერთგული გამტარებელი იყვნენ ძველი რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკის. ისინი მწუხარებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ „საქართველოს საკითხმა", რომელიც პოლიტიკურ სპეკულიაციის ყველაზე უფრო ძვირფას საგანს წარმოადგენდა, დაჰკარგა თავისი ფასი ინგლისის მუშათა პარტიის წრეებშიაც კი. ასე გასინჯეთ, თვით მაკდონალდიც, რომელიც თურმე, ნეტარხსენებულ მენშევიკურ საქართველოს კონსტიტუციის შედგენაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა, ის მაკდონალდიც კი გულგრილი აღმოჩნდა ქართველი მენშევიკების ბედისადმი.

უსამართლობა იქნებოდა არ აღგვენიშნა, რამდენად სწორად აუღო ინგლისის მუშათა პარტიამ ალღო მდგომარეობას. ისედაც შელანძღულ ოპორტუნისტულ შუბლზე, ქართულ მენშევიზმის შავი საქმის გამოსარჩლება მოღალატეობის ახალ დაღს დაასვამდა ინგლისის მუშათა პარტიის ხელმძღვანელებს.

რატომ მოხდა, რომ მეფის გაიძვერა დიპლომატი ასეთ გულჩვილობას იჩენს საქართველოს მუშებისა და გლეხებისადმი და ასე სწუხს იმის გამო, რომ ეგრედ - წოდებულ „საქართველოს საკითხმა" ნიადაგი დაჰკარგა მუშათა პარტიის ფენებშიაც კი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემათ ჩვენ თავის შეწუხება არ დაგვჭირდება. სჯობს სიტყვა თვითონ ყოფილ მეფის დიპლომატს დაუთმოთ, რომელიც [illegible] და ამომწურავ პასუხს იძლევა მის მიერვე დასმულ კითხვაზე.

„უნდა აღინიშნოს, სწერს საბლინი, რომ დამოუკიდებელ საქართველოს აღდგენის იდეა მეტად პოპულიარულია აქაურ ამერიკელ ნავთის ფინანსიურ მაგნატების შორის. შეიძლება ითქვას, რომ ისინი მზად არიან გაიღონ მეტად დიდი თანხები, თუ ამ გზით შეიძლება საქართველოს განთავისუფლება ბოლშევიკებისაგან და კონტროლის ხელში ჩაგდება ნავთის წყაროებზე და მადნებზე. კონსერვატიულ და ლიბერალურ მოღვაწეთა უმეტესობა დადებითად შეხედავდა ასეთ გეგმას, ხოლო მუშათა პარტია და ყველა მემარცხენეები ენერგიულ პროტესტს განაცხადებდენ მისი განხორციელების წინააღმდეგ, რადგან ამაში დაინახავდენ საბჭოთა ხელისუფლების შესუსტებას რუსეთში".

აქ, კომენტარიები ზედმეტია. საქართველოს საკითხი კაპიტალისტურ ქვეყნების წინაშე დგას, როგორც მხოლოდ ნავთისა და სამთო სიმდიდრეების საკითხი. სხვანაირად ჩვენ არც გვესმოდა მთელი ის საზიზღარი კამპანია, რომელსაც ერთ დროს საქართველოს სახელით აწარმოებდენ ყოველი ჯურის რეაქციონერები.

ამ თავმომაბეზრებელ პოლიტიკურ საცოხნელმა უკვე მოჰკვეთა კბილი საბჭოთა ხელისუფლების ბევრ შეურიგებელ მტრებსაც კი. „საქართველოს საკითხი" „მოდიდან" გამოვიდა. დღეს ამ გაცვეთილ საკითხს კვლავ ებღაუჭება წყალწაღებული ემიგრაცია. საქართველოს სახელით ვაჭრობას კვლავ ცდილობენ ყოფილ მეფის და ყოფილ კაიზერის ხოლოპები".

მაგრამ მდგომარეობა ეხლა ისეთია, რომ ამ „საქონელს" უკვე ძველებური გასავალი აღარ აქვს კაპიტალიზმის პოლიტიკურ ბირჟაზე. რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ ოქტომბრის რევოლიუციის მეოხებით შტატ გარეთ დარჩენილ რუს და ქართველ ვიგინდარა პოლიტიკანებმა, მუშებისა, და გლეხების ხელისუფლებისაგან „განთავისუფლებულ" საქართველოს ისინი ისე ვერ იხილავენ, როგორც შარშანდელ თოვლს.

საქართველოს მშრომელი მასები ერთხელ კიდევ დაიხსომებენ ვინ და რა „სამსახურს" უწევს მათ ამ გაცხარებულ შინაურ სააღმშენებლო მუშაობის დროს და შესაფერ პრაქტიკულ დასკვნებს გააკეთებენ აქედან.

საბჭოთა კავშირი და ინგლისი

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტის სასარგებლოდ გაჩაღებულმა კამპანიამ, რასაც განსაკუთრებული გულმოდგინებით ანვითარებდა ინგლისის კონსერვატიული პრესის ნაწილი, ახალი, მეტად საგულისხმო გაშუქება მიიღო. გაზეთებში გამოქვეყნებული დოკუმენტები ფარდას ხდიან იმ კულისებს მიღმა წარმოებულ ბნელ მახინაციებს, რომელთა შეწევნით სათანადოთ მზადდებოდა ინგლისის „საზოგადოებრივი აზრი". აღმოჩნდა, რომ სახელოვან „კომანდორ" ლოკერ ლემპსონთან ერთად, რომელიც თავის წამხდარ საფინანსო საქმეების გამოსასწორებლად მიმართავდა ისეთ ხელსაყრელ ოპერაციას, როგორიც არის წასისინება ბოლშევიკების წინააღმდეგ, ანტი - საბჭოთა კამპანიის მთავარი სულისჩამდგმელნი და წამქეზებელნი იყვნენ მეფის ყოფილი ძველი დიპლომატები და მათი ხელქვეითი თეთრგვარდიელები.

ამ ვაჟბატონებმა ერთბაშად საკვირველი ენერგია და შესანიშნავი მრავალფეროვნება გამოიჩინეს. მათ სახელოვან „კომანდორის" მოთხოვნით არა თუ მოაწყვეს თავისებური აგიტპროპი, აწვდიდენ რა მას „მასალებს", ყოველგვარ სენსაციურ მამხილებელ „საბუთებს" და ყალბ დოკუმენტებს, არამედ ისინი არ ერიდებოდენ შტრეიკბრეხერულ მუშაობასაც, უშიშრად- უშვერდენ რა თავის კისერს ინგლისის პროლეტარიატის მუშტებს. რა გასაკვირია ასეთ პირობებში, რომ საიქიოს დიპლომატიურ უწყების წარმომადგენელმა დაიმსახურა ჯოინსონ ხიქსის მადლობა, რომ მას ფრთა შეასხეს სასიხარულო იმედებით, რომ ის „ავტომატიურად აღდგენილი იქნება" თავის ოფიციალურ თანამდებობაზე!

როცა კანტონის გარეშე საქმეთა მინისტრმა ევგენი ჩენმა მიმართა უშუალოდ ინგლისის მუშათა პარტიას, კონსერვატიულმა პრესამ ეს ჩათვალა შინაურ საქმეებში დაუშვებელ ჩარევად. ინგლისში არსებობს მხოლოდ ერთი ხელისუფლება, განმარტავდა ამის გამო „ობსერვერი", და ეს ხელისუფლება ეკუთვნის მისი უდიდებულესობის მთავრობას, რომელიც პარლამენტის უმრავლესობას ემყარებაო.

ევგენი ჩენს ეკრძალება მიმართოს პარტიას, რომელიც, რაც არ უნდა იყოს მრავალ მილიონ ამომრჩეველს წარმოადგენს, პარტიას, რომელიც ამას წინად ძალა-უფლების სათავეში იდგა. სამაგიეროდ ბატონ ხიკსს, როგორც სჩანს, ნება აქვს საქმე იქონიოს ერთ მუჭა შეთქმულ თეთრგვარდიელებთან, საბჭოთა კავშირის დაუძინებელ მტრებთან, ყოველმხრივ წააქეზოს და იმსახუროს ისინი. ამას არ ეწოდება შინაურ საქმეებში ჩარევა, ამას არ ჰქვია მტრული პროპაგანდა.

მთელ ამ ანტი - საბჭოთა ხმაურობის დანაშაულებრივ ავანტიურიზმს, რომელშიაც იმ ნავთის მრეწველთა გაუმაძღრობას, რომელთაც რუსეთის ძველ აქციებზე ხელის მოთბობის იმედი აქვთ, შეუერთდა რუს თეთრგვარდიელების უბრალო გაბოროტება და თვით ისეთ გერმანელ უსაქმო გენერლების მადა, როგორიც არის ცნობილი ჰოფმანი, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ ბოლშევიკების წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის მოსაწყობად მიიღებდა არა ნაკლებ 200 მილ. ინგლისურ გირ. სტერლინგს, — აი მთელი ამ თაიგულის სუნი, როგორც სჩანს, ძალიან მაგრად მოხვდათ ცხვირში, ყველაზე უფრო ფრთხილ ელემენტებს თვით კონსერვატიული პარტიის რიგებში. ზომიერი კონსერვატორი გარვინი, —რომელმაც ამას წინად დაიმსახურა უკიდურეს რეაქციონურ გაზეთის „დეილი მეილ"-ის აღტაცებული ქება-დიდება თავისი წერილისათვის — „მოსკოვი და ნიღაბ ჩამოფარებული ომი",— იძულებული გახდა პირდაპირ დასმულ კითხვის საპასუხოდ განეცხადებია, რომ ამჟამად ის უარყოფითად უყურებს საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტას. მის საკმაოდ ბუნდოვან მსჯელობიდან და მიკიბ-მოკიბვიდან აშკარად სჩანს, მხოლოდ შემდეგი, სახელდობრ ის, რომ აშკარა კონფლიქტი საბჭოთა კავშირთან აწეწ-დაწეწავს და გაართულებს მთავარ საკითხს, როგორიც არის ინგლის - ჩინეთის ურთიერთობა.

გარვინს არ სურს დაუფიქრებლად გადაეშვას ავანტიურაში, რომლის შედეგის გათვალისწინება შეუძლებელია. ასეთივეა როგორც სჩანს, იმ კაცის თვალსაზრისი, რომელიც ოფიციალურად პასუხისმგებელია ინგლისის საგარეო პოლიტიკისათვის. ჩემბერლენის მემორანდუმი, რამდენადაც მას გავეცანით დეპეშებით, შეიცავს 6 დებულებას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტის წინააღმდეგ. ეს დებულებები არაფერს ახალს არ შეიცავენ და ნაწილობრივ ადასტურებენ იმ დებულებებს, რომლებიც არა ერთხელ წამოუყენებია საბჭოთა პრესას. ჩვენ ერთი წუთითაც ეჭვი არ შეგვეძის, რომ მისტერ ჩემბერლენი იმავე ღრმა კლასიური სიძულვილით უცქერის საბჭოთა კავშირს, როგორც მისი „შუბლმაგარი" კოლეგები. მაგრამ ჩვენ მემორანდუმიდან ვხედავთ. რომ ის გაცილებით უფრო ფხიზლად აფასებს საქმის ვითარებას ევროპაში და იმ შედეგებს. რომელსაც გამოიწვევდა კონფლიქტი ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის. და მართლა. საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ჩაშლას მოჰყვება „ფატალური შედეგები" არა მარტო „ლოკარნოს სულისათვის", არამედ აგრეთვე სხვა, გაცილებით უფრო მატერიალურ მოვლენებისათვისაც, როგორიც არის, მაგალითად, ინგლისის ვაჭრობა.. არაფერს ვიტყვით იმაზე რომ ჩემბერლენის იმედები „ზომიერ ელემენტების" გაძლიერებაზე მოსკოვში აშკარად ნასესხებია ლოიდ-ჯორჯის პოლიტიკურ საგანძურიდან. მაგრამ ჩვენ კარგად გვესმის ჩემბერლენის ზრუნვა ინგლისელ კრედიტორებზე.

კონსერვატიულ კაბინეტს, რომელიც კალათში გადაისვრის ხელშეკრულებას, რომელიც ჩვენთან დასდო მაკდონალდის მთავრობამ და რომელშიაც ასე თუ ისე დასახული იყო პრეტენზიების საკითხის მოგვარების გზა, როგორ შეუძლია ცარიელი ხელით წარუდგეს თავის ამომრჩეველებს და სანუგეშებლად მისცეს მათ „კომანდორ" ლემპსონის საგიტაციო ფურცლები?

ყველა ეს მოსაზრებანი, ისევე როგორც მემორანდუმში მოყვანილი დანარჩენი დებულებები, ცხადია, სავსებით საფუძვლიანია შორსმჭვრეტელ და ფრთხილ ბურჟუაზიულ პოლიტიკის თვალსაზრისით, რომელიც გაურბის სახიფათო ავანტიურას.

მაგრამ არის თუ არა სრული გარანტია იმისი, რომ სწორედ ეს მოსაზრებანი განსაზღვრავენ საერთოდ კონსერვატიული კაბინეტის პოლიტიკას? ამის თქმა ძნელია.

ჩაშლას ეწინააღმდეგება ინგლისის მთელი მუშათა კლასი, ამას ეწინააღმდეგება ბურჟუაზიის ის ნაწილი, რომელიც ლიბერალურ პარტიას ემხრობა, ჩაშლის წინააღმდეგია აგრეთვე კონსერვატორების დაკვირვებული ნაწილიც.

მაგრამ რას ნიშნავს ყოველივე ეს მამაც კოლჩაკოველ ლემპსონთან, გენერალ ნოქსთან, მეფის დიპლომატ საბლინთან და გენერალ ჰოფმანთან შედარებით? ვინ უნდა წარმოადგენდეს, თუ არა ეს პერსონაჟები, დიდი ბრიტანეთის ჭეშმარიტ „სახელმწიფოებრივ ინტერესებს"?.

საბჭოთა კავშირთან ურთიერთობას **მოსკოვი, 18 თებერვალი.**

კანტონის ჯარებმა აიღეს ხან-ჩჟოუ

გერმანიის მუშები ბურჟუაზიული ბლოკის მთავრობის წინააღმდეგ

პუანკარემ ხელი აიღო რადიკალებთან თანამშრომლობაზე.—ოპოზიცია პუანკარეს მთავრობისადმი

პილსუდსკის მთავრობა განაგრძობს ბელორუსთა ორგანიზაციების რბევას

კანტონის ჯარები უახლოვდებიან შანხაის

ხან-ჩჟოუ აიღეს კანტონის ჯარებმა

ნიუ-იორკი, 18 თებერვალი. სააგენტო „ასოშიეტედ პრესის" შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ შეუმოწმებელი ხმების მიხედვით, ეროვნული მთავრობის ჯარებმა აიღეს ხან-ჩჟოუ. სუნ-ჩუან-ფანის ჯარები გარბიან სხვადასხვა მიმართულებით*). (ადს).

---

*) ხან-ჩჟოუ ერთად ერთი მნიშვნელოვანი სიმაგრეა გზაზე შანხაისაკენ.

რედ.

მუკდენელები ემზადებიან

პეკინი, 17 თებერვალი. ჰოვენის სააგენტოს ცნობით, ჩჟან-სიუელიანის (ჩჟან-ძო-ლინის შვილის) გამგზავრება ხენანის პროვინციაში გადაიდო გენერალ იუც-ზენის დაბრუნების გამო.

იტყობინებიან, რომ იუც-ზენმა დაუყოვნებლივ გაუკეთა მოხსენება ჩჟან-ძო-ლინს. იუწყებიან აგრეთვე, რომ ჩჟან-ძო-ლინის თავმჯდომარეობით შესდგა სამხედრო თათბირი. მუკდენელები ჯერ კიდევ არ გადასულან ყვითელ მდინარეზე, თუმცა დაიკავეს მის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია. (ადს).

ჰონკონგის პოლიციის თარეში

კანტონი, 18 თებერვალი. ჰონკონგის პოლიციამ გემზე „პრეზიდენტ ტაფტი" ბაქანზე დააპატიმრა ჩინელ მეზღვაურთა კავშირის სამი თანამდებობითი პირი, რომლებიც საწევრო გადასახადს კრეფდენ გემის მეზღვაურთა შორის. დაპატიმრებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ჰონკონგის მუშებში. მეზღვაურთა კავშირი თავის მიმართვაში გამოსთქვამს იმედს, რომ ჰონკონგის მთავრობა სასწრაფოდ გამოიძიებს პოლიციის ამ თვითნებობას.

ამ დღეებში ჰონკონგის ინგლისელების პოლიცია გამოცხადდა გემ „ტაიფან"-ზე და კონფისკაცია გაუკეთა სუნ-იატ-სენის სურათს და გომინდანის ეროვნულ დროშებს. ეროვნული მთავრობის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართვის შედეგად ინგლისის კანტონელმა კონსულმა მოითხოვა, რომ ინგლისის პოლიციამ დაუბრუნოს გემის მეზღვაურთ სუნ-იატ-სენის სურათი და დროშები. (ადს).

ხენანთან

პეკინი, 17 თებერვალი. ხენანისაკენ გაგზავნილ მუკდენის ჯარების საერთო რიცხვი 50.000 კაცამდე აღწევს. მუკდენელები ხენანში შეუერთდებიან შანდუნელებს და აგრეთვე ხენანის სამხედრო გუბერნატორის ჯარებს. კანტონელები მნიშვნელოვან სამხედრო ძალებს გზავნიან ხანკოუდან ხენანისაკენ.

ინგლის-ჩინეთის დამოკიდებულება

„დაყოვნება აღარ შეიძლება".

ლონდონი, 18 თებერვალი. იტყობინებიან, რომ კაბინეტის გუშინდელ სხდომაზე გარჩეულ იქნა საკითხი მხოლოდ ჩინეთის შესახებ. კერძო სარწმუნო ცნობებით, არ ყოფილა მიღებული გადაწყვეტილება ჩინეთში პოლიტიკის შეცვლის შესახებ. „მაგარშუბლიანების" წრეებში განსაკუთრებული შიში დაბადა ცნობამ შანხაისთან ეროვნული ჯარების მოახლოვების შესახებ.

„დეილი ტელეგრაფ"-ი სწერს: „დაყოვნება უკვე აღარ შეიძლება, ვინაიდან მდგომარეობა მეტად კრიტიკულ სახეს ღებულობს" (ადს).

ახალი ინსტრუქციები ო,მალის.

ლონდონი, 18 თებერვალი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, კაბინეტის გუშინდელი სხდომის შემდეგ ახალი ინსტრუქციები გაეგზავნა პეკინში მყოფ ინგლისის ელჩს, ხანკოუში ო,მალისათვის სასწრაფო წესით გადასაცემად. ინსტრუქციებში აღნიშნულია, თუ რა პირობებში არის შესაძლებელი მოლაპარაკების გაგრძელება ევგენი ჩენთან (ადს).

ოპოზიცია პუანკარეს წინააღმდეგ

რადიკალები და სოციალისტები „ემზადებიან"

პარიზი, 17 თებერვალი. რადიკალთა პარტიაში ძლიერდება ოპოზიციონური განწყობილება მთავრობის მიმართ. **პუანკარემ, როგორც სჩანს, უარი სთქვა ზომიერ მემარჯვენეთა და რადიკალების ბლოკის შექმნაზე.**

სოციალისტების და რადიკალების მოთხოვნილებაზე საარჩევნო რეფორმის გატარების შესახებ პუანკარემ, ამ ნიადაგზე რადიკალების და სოციალისტების დაახლოების შესაძლებლობის გამო, უპასუხა საარჩევნო რეფორმის კანონპროექტის განხილვის გადადებით.

პუანკარემ, რომელიც სამხედრო კომისიაში გამოცხადდა მარშალ ფოშის თანხლებით, განაცხადა, რომ მთავრობას განზრახული აქვს დაუყოვნებლივ გაატაროს კანონი სახელმწიფოს თავდაცვის შესახებ.

რადიკალების და სოციალისტების ურთიერთობისათვის დამახასიათებელია რადიკალების პარტიის თავმჯდომარის საროს გამოსვლა პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სხდომაზე. სარომ წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ სოციალისტების და რადიკალების წინაშე სდგას გადაუდებელი ამოცანები, რომელთა განხორციელება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვინემ თეორეტიული უთანხმოებანი.

„სოციალისტებმა და რადიკალებმა, განაცხადა სარომ, განზე უნდა დასტოვონ დოგმა და გააერთიანონ თავიანთი ძალები. საროს სიტყვის დროს სხდომაზე გამოჩენილ კაიოს, რომლის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა პუანკარემ თავის უკანასკნელ გამოსვლაში, მხურვალე ოვაცია გაუმართეს.

ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც გმობს პალატისათვის რწმუნებების განგრძობას ყოველგვარ ცდას და მოითხოვს საარჩევნო კანონის გატარებას სააღდგომო არდადეგებამდე (ადს).

პუანკარეს მორიგი ღონისძიებანი

პარიზი, 17 თებერვალი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ დაადგინა, წინადადება მისცეს დეპუტატთა პალატას ჯერ კიდევ საზაფხულო არდადეგებამდე გაატაროს საკანონმდებლო ღონისძიებანი სამხედრო ვალდებულებისა, ბიუჯეტისა და საარჩევნო რეფორმის დარგში. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა, რომ პარლამენტის სესია არ დაიხურება მანამ, სანამ არ მოწესრიგდება ყველა ეს საკითხები. (ადს).

ბელორუსების რბევა გრძელდება

ფაშისტური „პირი სოფლისაკენ"

ვილნო, 17 თებერვალი. გაზეთი „ნაშ გოლოს" იუწყება, რომ ბელორუსთა ორგანიზაციების ლიკვიდაციის კამპანია გადატანილ იქნა სოფლადაც. **პოლიციის კომენდანტები თავს უყრიან გლეხებს, ემუქრებიან სასჯელით და მოითხოვენ გრომადისა და ბელორუსთა სკოლის ამხანაგობის მიერ მიცემულ საწევრო ბილეთების წარმოდგენას.** ამხანაგობის უჯრედებში სწარმოებს ჩხრეკა, რომელიც თავდება საბუთების და საწევრო ბილეთების კონფისკაციით.

პოლონელი მასწავლებლები აიძულებენ ბავშვებს მიიტანონ სკოლაში ყველა ბელორუსული წიგნები, რომლებიც მათ სახლში მოეპოვებათ. მართლ-მადიდებელ მოწაფეებს აზეპირებიებენ კათოლიკურ ლოცვებს.

საფოსტო განყოფილებებს ნაბრძანები აქვთ დააკავონ ვილნოდან მიღებული ბელორუსული გაზეთები. ვილნოს ფოსტაზე დაგროვებულია აუარებელი კორესპონდენცია და ფულის დიდი თანხები, გამოგზავნილი გრომადის ცენტრალურ სამდივნოს მისამართზე. ფული და კორესპონდენცია დაკავებულია პროკურატურის განკარგულებით.

ფულის და კორესპონდენციის მიღება აიხსნება მით, რომ გლეხები დემონსტრატიულად განაგრძობენ ურთი-ერთობას სამდივნოსთან. ვილნოში კონფისკაცია უყვეს „სელიანსკაია ნივა"-ს მორიგ ნომერს. (ადს).

გერმანელი მუშები

ბურჟუაზიული ბლოკის მთავრობის წინააღმდეგ

მუშები ბრძოლისათვის ემზადებიან

ბერლინი, 17 თებ. ბერლინის და მისი განაპირა ადგილების ფაბრქარხკომების მთლიანობის კომიტეტმა მოიწვია ფაბრქარხკომების პლენარული სხდომა იმ მიზნით, რომ გამოერკვია ფაბრქარხკომების პოზიცია ბურჟუაზიული ბლოკის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში.

კრებამ მოისმინა კომუნისტ დეპუტატის რედელის მოხსენება, რის შემდეგ გამოიტანა სამი რეზოლიუცია. პირველ რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ პირველ აპრილს საკითხი 8 საათის სამუშაო დღისათვის ბრძოლის შესახებ უშუალოდ [illegible] 200.000 მელითონის, საგზაო ქარხნების მუშების, სტამბის მუშების და ბერლინის მოსამსახურეთა წინაშე. და რომ, **ამასთან დაკავშირებით, საჭიროა განხორციელებულ იქნეს ყველა წინასწარი პირობები, რომლებიც აუცილებელია გამარჯვებისათვის.**

მეორე რეზოლიუცია მიმართულია უმუშევართა დაზღვევის კანონ-პროექტის წინააღმდეგ, რომელიც ჰგულისხმობს უმუშევართა მდგომარეობის გაუარესებას.

მესამე რეზოლიუცია მიმართულია ბურჟუაზიული ბლოკის წინააღმდეგ რომლის დაარსებას რეზოლიუცია სთვლის სოც.-დემოკრატების კოალიციონური პოლიტიკის ნაყოფად.

ამასთან დაკავშირებით ფაბრქარხკომები მოუწოდებენ ყველა მუშებს და მშრომელებს მთლიანი პროლეტარული ფრონტის შექმნისაკენ ბურჟუაზიული ბლოკის და გამოღვიძებულ გერმანულ იმპერიალიზმის წინააღმდეგ. რეზოლიუცია საჭიროდ სთვლის ბრძოლას იმ საფრთხის წინააღმდეგ, რომელიც მოელის საბჭოთა კავშირს ინტერვენციის სახით. (ადს).

ჩინეთის დელეგაცია ბერლინში

ბერლინი, 18 თებერვალი. ბრიუსელის ანტი-იმპერიალისტურ კონგრესიდან დაბრუნებულ ჩინეთის დელეგაციის გავლის დროს ბერლინში სილეზიის სადგურის წინ გაიმართა მასიური მიტინგი, გენერალმა ლუმ, რომელიც გამოვიდა კონგრესზე ჩინეთის დელეგაციის სახელით განაცხადა:

„დღემდე იმპერიალისტები ერთ ერს ამხედრებდენ მეორის წინააღმდეგ, ევროპის მშრომელებს უპირისპირებდენ დაჩაგრულ კოლონიალურ ერებს. ევროპის მშრომელთა და დამონებულ [illegible] მთლიანი ფრონტი ჩამოყალიბდება მხოლოდ ბრძოლით იმპერიალიზმის წინააღმდეგ".

პარასკევს ჩინეთის დელეგატები გამოვლენ მასიურ მიტინგებზე, რომლებიც ბერლინში გაიმართება. (ადს).

რუმინეთის პოლიცია მუშაობს

ამხ. რაკოვსკის პროცესი

ვენა, 18 თებერვალი. ბორის სტეფანოვის საქმეზე პროცესის დაწყების წინ ბუქარესტიდან მოულოდნელად მოვიდა ცნობა, რომ მოკლე ხანში მე-4 დივიზიის სამხედრო სასამართლოში, ქალაქ იასსაში, დაიწყება საფრანგეთში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ამხ. რაკოვსკის, დობროჯიანუს და სამუდამო პატიმრობაში მყოფ ბუშორის საქმის გარჩევა. ახალი პროცესი დაიწყება, ვითომდა, 1918 წ. ბუშორის ბინაზე აღმოჩენილ საბუთების გამო, რომლებიც მოწმობენ, რომ რაკოვსკი, დობროჯიანუ და ბუშორი ამზადებდენ შეთქმულებას რუმინეთის მეფის წინააღმდეგ და შექმნეს ორგანიზაცია, პროლეტარული დიქტატურის გამოცხადების მიზნით რუმინეთში. ფიქრობენ, რომ რაკოვსკის პროცესის გამართვა წარმოადგენს მოულოდნელ მანევრს რუმინეთის მთავრობის მხრივ, რომელსაც სურს საზოგადოებრივი ყურადღება სტეფანოვის პროცესიდან გადაიტანოს რაკოვსკის პროცესზე.

უკანასკნელ კვირაში რუმინეთის პრესა გააფთრებულ კამპანიას აწარმოებდა რაკოვსკის წინააღმდეგ, ბესარაბიის საკითხთან და საფრანგეთ - რუმინეთის ხელშეკრულების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. (ადს).

ოპოზიციის დაშლა

ეჭვს გარეშეა, რომ ზოგიერთს კომპარტიაშიაც და კომკავშირშიაც და, მით უფრო, ამ ორგანიზაციების გარეშე ობივატელურ მასაში ჰულწრფელად სჯეროდა, რომ ოპოზიცია კიდევ მოიკრებდა ძალას. იმ მარცხმა, რომელიც ოპოზიციამ განიცადა შემოდგომაზე მე-15-ე კონფერენციის წინ, ყველა ვერ გამოაფხიზლა. დარჩენ რა თავიანთ პრინციპიალურ პოზიციებზე, ოპოზიციის ბელადებმა სცადეს „შეტევაზე გადმოსვლა" პრინციპიალურ საკითხებში არა მარტო ამ კონფერენციაზე, არამედ ბრძოლა საკავშირო კომპარტიის (ბ) წინააღმდეგ გადაიტანეს კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმზე. ამ პლენუმზე კამენევი გამოვიდა ისეთი ბრალდებებით თავისი პარტიის წინააღმდეგ, რომ ეს ბრალდებები მართალი ყოფილიყო, მას, რასაკვირველია, სხვა გზა არ ქონდა.—უნდა დაეტოვებია ისეთი პარტია, რომელიც ოპოზიციის აზრით, ნაციონალ-რეფორმიზმში გადაეშვა.

მაგრამ სწორედ ასეთმა ცდებმა რაც არ უნდა დაჯდომოდა დაეცვა შემცდარი, არაბოლშევიკური ხაზი ყველაზე უფრო სასტიკი დამარცხება არგუნა ოპოზიციას. სწორედ ამ ცდებმა დაეცვა თავისი შემცდარი ხაზი, მთელ რიგ მწარე გაკვეთილების შემდეგ, დიდი გახრწნა შეიტანა ოპოზიციის რიგებში.

უკანასკნელ დროს ლენინგრადის, მოსკოვის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიებში შემოვიდა განცხადებების მთელი რიგი ოპოზიციისაგან სავსებით ჩამოშორების შესახებ ყოფილ ოპოზიციონერებისაგან, რომელნიც თვალსაჩინო როლს თამაშობდენ. ლენინგრადში ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ისეთ ოპოზიციონერების, კარგად ცნობილ კომკავშირელების სახელები, როგორიც არის ორლოვი, იზრაილიტინი და ფედოროვი. ამ ამხანაგებმა, თვითეულმა ცალ-ცალკე, გაიარეს პარტიასთან ბრძოლის საკმაოდ მძიმე გზა. ისინი ებრძოდენ პარტიას არალეგალურად, აწყობდენ ჩვენი პარტიის გვერდით არალეგალურ ფრაქციულ უჯრედებს, ავრცელებდენ ფრაქციულ ლიტერატურას, აწყობდენ თათბირებს, ამზადებდენ გადატრიალებას პარტიაში.

ოპოზიციის დამარცხებამ უკანასკნელის აშკარად გამოსვლების დროს აიძულა ეს ხალხი ჩაფიქრებოდა იმას, თუ რაშია აქ საქმე. მარტო იმაში, რომ მასას არ უნდა დისკუსია, როგორც ამას ამტკიცებდენ ოპოზიციის ბელადები, თუ საქმე იმაშია, რომ მასა ოპოზიციის მიერ აღძრულ საკითხებში არსებითად არ ეთანხმება მას.

საკმარისი იყო სერიოზულად ჩაფიქრებოდენ ამ საკითხებს, სერიოზულად შეემოწმებიათ თავისი თავი, და ეს ამხანაგები დარწმუნდენ, რომ მათ ოპოზიციასთან საერთო გზა არ აქვთ, რომ ოპოზიცია თვითონ გაეხვია და მან ისინიც გახვია გადაუვალ წინააღმდეგობებში.

ერთ-ერთ მთავარ მიზეზს, რომელმაც წარმოშვა ეს წინააღმდეგობანი, ეჭვს გარეშეა, წარმოადგენს ყოვლად უვარგისი, იმთავითვე განწირული ცდა შეეთავსებიათ ლენინიზმი ტროცკიზმთან. ეს ცდა უმზადებდა დაღუპვას ოპოზიციონურ ბლოკს ჩვენს პარტიაში. ეხლა უკვე დოკუმენტალურად გამორკვეულია, რომ ოპოზიციონერებს შორის ბევრი, გუშინდელი ლენინელები ეწინააღმდეგებოდენ ტროცკისტებთან ბლოკს, მაგრამ, დაბოლოს, თანახმა გახდენ მხარი დაეჭირათ ამ ბლოკისათვის და არაფერი ეთქვათ იმაზე, რომ ისინი არ ეთანხმებოდენ ბლოკის მიერ წამოყენებულ შემცდარ, ანტიპარტიულ დებულებებს. შემდეგ, როცა შემოწმებამ უკვე ცხადჰყო ტროცკისტულ შეხედულებების სრული შეუსაბამობა, დაიწყო ოპოზიციის დაშლა.

ეს დაშლა არ შეიძლება მოხდეს ერთ დღეს. ამისათვის საჭიროა განსაზღვრული დრო. ისეთი ფაქტები, როგორიც არის ამხ. ნიკოლაევას და ბადაევის განცხადებები ცეკას პლენუმზე 7-12 თებერვალს, რასაკვირველია, დააჩქარებენ ამ დაშლას. ამიტომ მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ სრული მთლიანობის დამყარებისათვის ჩვენი პარტიის რიგებში.

ორივე ეს ამხანაგი არალეგალური პარტიული მუშაკია, მათ კარგად იცნობს ჩვენი პარტია, როგორც მუშათა საქმისათვის თავდადებულთ მანამდე, სანამ ისინი დაშორდებოდენ საერთო პარტიულ ხაზს. ბადაევს ოპოზიციისაგან განდგომა უფრო ადრე დაეტყო. ჯერ კიდევ ზაფხულში მასში შემუშავდა „საბოლოოდ უარყოფითი აზრი ოპოზიციაზე".

ჯერ კიდევ ცეკას პლენუმამდე „მან უყოყმანოდ ხმა მისცა ოპოზიციის ჯგუფური მუშაობის გაკიცხვას". მას კი „არავითარი პრინციპიალური უთანხმოება არ ჰქონია პარტიასთან ძირითად საკითხებში".

ცეკას პლენუმზე მან ეს სთქვა აშკარად, რომ ვინმეს ამაში ეჭვი არ შეეტანა. მან დასძინა თავის მხრივ, რომ არ შეიძლება ადგილი ექნეს რაიმე ილიუზიას იმის შესახებ, რომ ბადაევი რაიმე მხარს დაუჭერს ოპოზიციას.

რამოდენიმედ სხვა გზით მივიდა ამ დასკვნამდე ნიკოლაევა. ის არასოდეს არ იზიარებდა პიატაკოვის, პრეობრაჟენსკის და სმირნოვის შეხედულებებს საერთოდ ეკონომიკის და ფასების საკითხებში. ნამდვილად კი, სწორედ ამ შეხედულებებს ეკონომიკის საკითხების შესახებ ავრცელებდა ოპოზიცია და ეს ქმნიდა საფუძველს საწრეო მომზადებისათვის თუნდაც მოსკოვში. სათანადო ფურცლებს ბეჭდავდენ და ავრცელებდენ, როგორც სახელმძღვანელო ოპოზიციონერებისათვის. როცა ნიკოლაევამ გაიგონა ოპოზიც. ბელადებისაგან, რომ ისინი არ იცავენ სმირნოვის შეხედულებებს, ის, რასაკვირველია, განცვიფრებული დარჩა; ის ვერ დააკმაყოფილა ტროცკის, ზინოვიევის და სმილგას გამოსვლებმა, ვინაიდან ისინი არ იძლევიან გარკვეულ პასუხს. „ოპოზიციის ბუნდოვან, მერყევ შეხედულებებს" ეკონომიკის საკითხებში ნიკოლაევა შემდეგში მხარს ველარ დაუჭერს. კარგია, რომ მან ეს აშკარად განაცხადა. ეს ამხანაგები თავისი განცხადებებით, რასაკვირველია, დიდ სამსახურს უწევენ წინანდელ, თუ დღევანდელ ოპოზიციონერებს იმ მხრივ, რომ მათ მოახდინონ „ღირებულებათა ხელახალი გადაფასება". ისინი უნდა ჩაუფიქრდენ იმ ფაქტს, რომ პარტიის მე-14-ე ყრილობიდან სრული ერთი წლის შემდეგ ოპოზიციას არაფერი დარჩა, რომ პარტიას დაუპირისპიროს, გარდა წმინდა წყლის ტროცკიზმისა.

ამ დროშის ქვეშ დადგომის მსურველი კი ჩვენს პარტიაში არც ისე ბევრი აღმოჩნდება.

კომკავშირმა უნდა ისწავლოს ამ მაგალითით. თუ ამ განცხადებებამდე კომკავშირელების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი იხრებოდა ოპოზიციისაკენ, ეხლა ეს უმნიშვნელო ნაწილიც გაიგებს რამდენად უნიადაგო იყო ჩვენს პარტიაში ოპოზიცია და რამდენად განწირული, რამდენად უსაფუძვლოა მისი შეხედულებები.

მოსკოვი, 18 თებერვალი.

ე. იაროსლავსკი.

საბჭოთა პრესა

მუშათა მდგომარეობა

საწარმოო პროცესის ტეხნიკური გაუმჯობესებისათვის, რაც ეხლა საჭირბოროტო საკითხს წარმოადგენს მთელ ჩვენი მუშაობის რაციონალიზაციის და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანებთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშათა გამომგონებლობას, საწარმოო თათბირების და კომისიების საშუალებით სამრეწველო ცხოვრებაში მუშების ჩაბმამ გააღვიძა მათი შემოქმედებითი ნიჭი. ჩვენ უკვე გვაქვს მუშების მიერ მოხდენილი მრავალი გამოგონება, რომელთაც თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ჩვენი ტეხნიკ. დაწინაურების საქმეში. აუცილებელია შეიქმნას ხელსაყრელი პირობები, რომ მუშებს შეეძლოთ თავის შეძლებლობათა გაშლა ამ მხრივ. ამის გამო „ტრუდ" სხვათაშორის, სწერს:

„საგამომგონებლო მუშაობათა შესრულება სახელოსნოში, ჩვეულებრივ საქარხნო მუშაობის დროს, შეუძლებელია და თვით წარმოებისათვის მიზანშეუწონელია, შინ კი მუშებს არ მოეპოვებათ არც ხელსაწყოები, არც სალებავი, არც მასალა, ხშირათ ადგილიც კი, სადაც უნდა გაიმართოს მოწყობილობა. გამომგონებელი არა ყოველთვის აჩერებს თავის მოსაზრებების გადმოცემას: ხელს უშლის შიში, ამხანაგებმა სასაცილოდ არ აგიგდონ, ან სხვამ არ ისარგებლოს იმით, რაზედაც მისი აზრი დღე და ღამე მუშაობდა.

საკითხი ადვილად გადაწყდება, თუ მოვაწყობთ საწარმოო [illegible]თხეებს, სადაც სახელოსნოებს, რომლებიც მომარაგებული იქნებიან აუცილებელი ხელსაწყოებით. წარმოებებში, სადაც ასეთი კუთხეების ორგანიზაცია ამ თუ იმ მიზეზით საძნელოა, უნდა ეცადონ საფაბრიკო-საქარხნო სკოლების გამოყენებას.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მუშების გაცნობა იმ გაუმჯობესებებსა და გამოგონებებთან, რომლებიც გატარებულია ან ტარდება. იშვიათი არაა შემთხვევები, როცა გამომგონებელი მუშაობს რომელიმე გამოგონებაზე, როგორც ახალი რამეზე მაშინ, როცა ასეთი უკვე გამოგონებულია და გატარებული. საქარხნო მმართველობებმა უნდა იზრუნონ ტეხნიკურ ლიტერატურის შეძენაზე (ჟურნალები. წიგნები და სხ.).

მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს აგრეთვე წარმოებებში—საექსპერტო კომისიებთან ტეხნიკურ კონსულტაციების შექმნა გამომგონებლებისათვის. მხოლოდ კონსულტაცია უნდა მოეწყოს ისე, რომ მისი დახმარება არ განისაზღვროს „სიტყვიერებით", რომ აუცილებლობის დროს კონსულტაცია დაეხმაროს ნახაზების დამუშავებაში, შედგენასა და შემოწმებაში და სხ".

გამომგონლობის საქმის განვითარებისათვის იქმნება საკმაო ნივთიერი ბაზა სათანადო ორგანოების დადგენილებით ამაზე ერთდროულად უნდა გადაიდოს წარმოებათა მუშა-მოსამსახურეების წლიური ხელფასის $^1/_4$ პროც. 1926 და 27 წ. ხარჯთაღრიცხვებით, რაც შეადგენს 2.5 მილიონ მანეთამდე, საბჭოთა კავშირის მრეწველობის მასშტაბით. გზათა კომისარიატი სდებს ამ მიზნისთვის ერთ მილიონ მანეთს. საჭიროა მხოლოდ უზრუნველყოფილ იქნას მუშა გამომგონლისათვის მუშაობის [illegible] პირობები და ამხანაგურ ატმოსფერა.

თეთრგვარდიელთა მუშაობა ინგლისში

ვინ ეწევა განხეთქილების პროვოკაციას

(„პრავდა"-ს მასალები)

მოსკოვი, 18 თებერვალი. ვაქვეყნებთ შავრაზმელ დიპლომატ საბლინის შემდგომ მოხსენებებს. წერილები გაგზავნილია მეფის ყოფილ ელჩის (სტამბოლში) გირსის მისამართით, [illegible] რომელიც ამჟამად მეფის დიპლომატიური კორპუსის უხუცესის როლს კისრულობს. ძველი შავრაზმელი დიპლომატი საბლინი, გამოდის რა მაჭანკალის როლში გერმანელ [illegible] გენერალ გოფმანს (ბრესტის მოლაპარაკების ცნობილი გმირი), ქართველ თეთრგვარდიელებსა და ლოკერ ლემპსონს შორის. წერილში 1926 წლის 23 სექტემბრის თარიღით წერს:

„გენერალი გოფმანი აქ იყო ორი თვის წინად; ის ჩამოვიდა 2 ქართველ მოღვაწის თანხლებით. ერთ-ერთ ამ მოღვაწეთაგანს ჰქონდა ლეიხტენბერგელ ჰერცოგის რწმუნების წერილი, რომელშიაც ჰერცოგი მთხოვდა მე გამეცნო მის მიერ გამოგზავნილი ქართველი ინგლისის მდგომარეობასა და განწყობილებასთან.

მე მაქვს ცნობები, რომ გენერალ გოფმანმა ინახულა აქ მხოლოდ ლოკერ-ლემპსონის ჯგუფი და რამოდენიმე ფინანსისტი. მისი გეგმები მეტად ფანტასტიურია. ვერასოდეს და ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეაგროვებს აქ გენერალი გოფმანი მისთვის საჭირო 200 მილიონ გირ. სტერლინგს. ინგლისი ამჟამად არაჩვეულებრივ ეკონომიურ კრიზისს განიცდის, თავი რომ დავანებოთ იმას. რომ ინგლისის პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის ჯერ კიდევ წარუშლელია სავალალო მოგონება იმ ას მილიონ გირვანქა სტერლინგის შესახებ, რომელიც თავის დროზე დაიხარჯა ინტერვენციაზე.

თვით ლოკერ ლემპსონს ამჟამად დასახული აქვს სავსებით განსაზღვრული მიზანი—სახელდობრ, დიპლომატიური ურთიერთობის ჩაშლა საბჭოთა კავშირთან. ის ჯერ-ჯერობით ამას იქით არ მიდის. და თვით ამ პოლიტიკაშიაც, რომელსაც ის დიდი ენერგით ატარებს, მის წინააღმდეგ არის კაბინეტის უმრავლესობა.

ვეჭვობ, რომ თვით ლოკერ ლემპსონმაც კი სერიოზულად შეხედოს გენერალ გოფმანის გეგმას, რომელიც მეტად ფანტასტიურია ისეთ დიდი ტემპერამენტის მქონე ინგლისელებისთვისაც კი, როგორიცაა ლოკერ ლემპსონი, გენერალი ნოკსი და სხვები.

თეთრგვარდიელი საბლინი უკმაყოფილოა ინგლისის დიპლომატიურ წარმომადგენლებით მოსკოვში, რომლებიც არ იზიარებენ მის მოსაზრებებს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ჩაშლის აუცილებლობის შესახებ.

„ინგლისის წარმომადგენლობათა ეხლანდელი შემადგენლობა რუსეთში, სწერს საბლინი 1926 წლ. 21 მაისის თარიღით, უკვე დიდი ხანია სცხოვრობს მოსკოვში, შეეჩვია მის წესებს და ყველაფერს იქ ბუნებრივათ სთვლის. არიან რა თვითონ, უმთავრესად, კომერსანტები ხელოვნების საგნების სფეროში, როგორც, მაგალითად სურათები, გრავიურები, მინიატურები და სხვა ძვირფასი ნივთები, ისინი ყველაფერს კომერციული ინტერესების თვალსაზრისით უყურებენ, ცდილობენ განავითარონ სავაჭრო ურთიერთობა და უყურადღებოთ სტოვებენ საბჭოების პოლიტიკურ მოღვაწეობას და პროპაგანდას, რომელიც მათის აზრით არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს ინგლისისათვის".

ჯოინსონ ხიკსის „სანდო თანამშრომელი"—მეფის ლაქია საბლინი განმარტავს ინგლისის მთავრობის გეგმებს.

წერილში 1926 წლის 7 ნოემბრის თარიღით საბლინი სწერს:

„ბოლდუინი წითელი მოსკოვის მიმართ გაუბედავ და გაურკვეველ პოლიტიკას, ადგია, თითქოს იმედი აქვს, რომ ადრე თუ გვიან ყველაფერი თავისთავად მოწესრიგდება.

ოსტინ ჩემბერლენი არის იმავე სამრეწველო წრეების წარმომადგენელი, როგორც თვით პირველი მინისტრი და ცდილობს თავიდან აიცილოს ყოველგვარი კონფლიქტი, ყოველგვარი გადამწყვეტი მოქმედება იმ მოსაზრებით, რომ დადგება უფრო ხელსაყრელი მომენტი, უფრო ხელსაყრელი პირობები. რომლებიც საშუალებას მისცემენ მას განახორციელოს თავისი პოლიტიკური მიზნები უფრო ნაკლები რისკით და ნაკლები საშუალებების დახარჯვით.

ლოკერ ლემპსონის კამპანია შეუსუსტებელი ენერგიით გრძელდება და უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ წრეებს შორის უკანასკნელ დროს დაჟინებით ავრცელებენ ხმებს იმის შესახებ, რომ ლოკერ ლემპსონის კამპანიას ფინანსიურ დახმარებას აწვდის დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზისძე.

საბლინის მოხსენებიდან, რომელიც მან დასწერა საბჭოთა კავშირთან საბრძოლველ ზომების პროექტის გამო და რომელიც მიღებულია ფაშისტ ობერის ცნობილ ჟენევის ლიგაში, სჩანს, რომ ლიგასთან არსებობს ცალკე „რუსული ცენტრი", რომელსაც თეთრგვარდიელები ხელმძღვანელობენ და რომელიც მჭიდრო კავშირშია საბლინის ტიპის დიპლომატებთან. თვით მოხსენებიდან სჩანს რუს შავრაზმელების მუშაობა, მეორე ინტერნაციონალის „სოციალისტების" ინსპირაცია და ანგლიკანური ეკლესიის როლი რუსულ შავრაზმულ სამღვდელოების დახმარების საქმეში.

აი, მეფის დიპლომატის—მცირე ეროვნებათა სულთამხუთავ რეჟიმის წარმომადგენლის, თავდადებული ზრუნვა ქართველ სოციალ-დემოკრატებზე.

წერილში 1926 წ. 22 დეკემბრის თარიღით საბლინი სწერს:

„ამ დღეებში აქ ადგილი ჰქონდა შემთხვევას, რომელიც ცხადს ხდის იმას, თუ ბრიტანეთის მუშათა მოძრაობის ბელადები როგორ ეკიდებიან რუსეთის ამბებს, როგორ სცდილობენ ბოლშევიკებისთვის მხარის დაჭერას, მუშების პირდაპირი საზიანოც რომ იყოს ეს. ამ რამოდენიმე ხნის წინად, ქართულ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ბრიტანეთის მუშათა პარტიის თავმჯდომარეს მიმართა ოფიციალური განცხადებით, რომელშიც გამოსთქვამდა პროტესტს საქართველოს პოლიტსამმართველოს თვითნებობისა და ტერორის წინააღმდეგ საქართველოში. საყურადღებოა, რომ ეს მიმართვა ჯერ კონსერვატიულ გაზეთებში გამოქვეყნდა, ხოლო მუშათა პრესამ ის შემდეგ გამოაქვეყნა, ალბად, იმ მოსაზრებით, რომ ის ცუდად იმოქმედებდა დამოკიდებულებაზე საბჭოებთან და მათ პროფკავშირებთან. ასეთივე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი 1924 წლის ზაფხულში, როდესაც კონსერვატიული პრესა დაწვრილებით ათავსებდა ცნობებს საქართველოს სოციალ დემოკრატების აჯანყების მსვლელობის შესახებ, ხოლო მუშათა პრესა, ან ჩუმათ იყო, ან და სცდილობდა დაემტკიცებია, რომ აჯანყებას ხელმძღვანელობენ მეფის ყოფილი ოფიცრები ყოფილ მემამულეთა სასარგებლოდ. მდგომარეობა მით უფრო გამწვავებულ ხასიათს ღებულობდა, რომ მაკდონალდი, იმ დროს მუშათა მთავრობის პრემიერ-მინისტრი, საქართველოს დამოუკიდებლობის გულმოდგინე მომხრე იყო და ერთ დროს მხურვალე მონაწილეობას იღებდა საქართველოს კონსტიტუციის ტექსტის გამომუშავებაში. ალბად, იმიტომ გამოსთქვამდენ მაშინ აქ აზრს, რომ ქართველებმა მხოლოდ იმიტომ გადაასწყვიტეს აჯანყება, რომ მაკდონალდის ვანდერველდის და ერიოს დახმარების იმედი ჰქონდათ.

უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელ საქართველოს აღდგენის იდეა მეტად პოპულიარულია აქაურ ამერიკელ ნავთის ფინანსიურ მაგნატებს შორის, შეიძლება ითქვას, რომ ისინი მზად არიან გაიღონ მეტად დიდი თანხები, თუ ამ გზით შეიძლება საქართველოს განთავისუფლება ბოლშევიკებისაგან და კონტროლის ხელში ჩაგდება ნავთის წყაროებზე და მადნებზე. კონსერვატიულ და ლიბერალურ მოღვაწეთა უმეტესობა დადებითად მოეკიდებოდა ასეთ გეგმას, ხოლო მუშათა პარტია და ყველა მემარცხენეები ენერგიულ პროტესტს განაცხადებდენ მისი განხორციელების წინააღმდეგ, რადგან ამაში დაინახავდენ საბჭოთა ხელისუფლების შესუსტებას რუსეთში".

დაბოლოს, წერილში 1926 წლის 10 დეკემბრის თარიღით, საბლინი სწერს:

„ჩინეთის ამბები კვლავ სერიოზულ საფრთხეს გვინერგავენ, ხოლო ბრიტანეთის სახელმწიფოებრივი პირნი ჩვეულებრივად მისდევენ თავის ძველებურ ტრადიციას—არ მოჰკიდონ რამოდენიმე საქმეს ერთად ხელი, ჯერ მთელი ძალა და ყურადღება მიმართონ გადაუდებელ საკითხზე და შემდეგ [illegible] ხელი მოჰკიდონ მეორე გადაუდებელ საქმეს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთმა მოხელემ გუშინ სიტყვა-სიტყვით მითხრა შემდეგი:

„რა აზრი აქვს ბოლშევიკებთან კავშირის გაწყვეტას მაშინ, როდესაც სულ ცოტა ხნის შემდეგ, აუცილებელი გახდება დამოკიდებულების გაბმა რუსეთთან? გაცილებით სწორი იქნებოდა გვეფიქრა არა უცხოელ, არამედ საკუთარ ბოლშევიკებზე. თუ გვინდა საკუთარი თავის უზრუნველყოფა, უკეთესი არ იქნება კისერში მოვცხოთ იმათ, ვისი ხელიც ტრიალებს ჩვენს ოჯახში, ვიდრე იმათ, რომლებიც სადღაც თქვენს მიუწვდომელ სამშობლოში არიან".

შუბლმაგართა კამპანიის წინააღმდეგ

ლონდონი, 18 თებერვალი. დღეს შესდგა მუშათა გაერთიანებულ ნაციონალურ საბჭოს სხდომა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მუშათა პარტიის აღმასკომი და პროფკავშირთა საბჭო. ინგლის-საბჭოთა დამოკიდებულების საკითხზე მიღებულია შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია: **„მუშათა გაერთიანებული ნაციონალური საბჭო აცხადებს, რომ აგიტაციის განახლება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტის მიზნით, წარმოადგენს აშკარა საფრთხეს საერთაშორისო მშვიდობიანობისთვის. მუშათა მოძრაობა ვალდებულია ყოველმხრივ ხელი შეუშალოს ამას.** მუშათა მოძრაობა მოუწოდებს უფრო მეგობრულ დამოკიდებულების დამყარებისაკენ საბჭოთა კავშირთან, რომ ამით თავიდან იქნას აცილებული ყოველგვარი გაუგებრობა და შეხლა-შემოხლის შესაძლებლობა. ამიტომ გაერთიანებული ნაციონალური საბჭო გამოსთქვამს იმედს, რომ ახლო მომავალში დანიშნული იქნება საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელი და დაუყოვნებლივ დაიწყება მოლაპარაკება ურთიერთ პრეტენზიების მოსაწესრიგებლად". (ადს).

„ანტიბრიტანული პროპაგანდის"

კიდევ ერთი საშუალება

ლონდონი, 18 თებერვალი. კონსერვატიული პარტიის დეპუტატმა კლარიმ თემთა პალატაში შემდეგი შეკითხვა მისცა ჯოინსონ ხიქსს:

„იცის თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომ არკოსის გემებს გადაჰყავთ ინგლისში საიდუმლო ანტი-ბრიტანული აგენტები, რომლებიც მოდიან კანონიერ რეგისტრაციაში გატარებულ მეზღვაურთა სახით, და რომლებიც ენერგიულ პროპაგანდას აწარმოებენ ინგლისელ მეზღვაურებში, და თუ იცის, რა ზომების მიღებას აპირობს მინისტრი აგენტების ასეთი საქმიანობის წინააღმდეგ"?

ხიქსმა უპასუხა:

„მე არ ვიცოდი, თუ სანაოსნო საზოგადოება „არკოსის" ან კიდევ სხვა რომელიმე გემები, რომლებიც აწარმოებენ ვაჭრობას რუსეთთან, აწარმოებდენ აგენტების გადაყვანას. საბჭოთა ხელისუფალთ მიცემული აქვთ უსასტიკესი ინსტრუქციები რუსეთთან მოვაჭრე ასეთი გემების კომანდების შესახებ, და არ მაქვს საბუთი ეჭვი მივიტანო იმაზე, რომ ამ ინსტრუქციებს არ ახორციელებენ ყველა ინგლისურ ნავთსადგურებში.

შემდეგ კლარი შეეკითხა ვაჭრობის მინისტრს—იცის თუ არა მან, რომ „არკოსის" გემები ფაქტიურად გადაქცეული არიან საპროპაგანდო საშუალებათ ინგლისელ მეზღვაურებში, ხომ არ ცნობს შესაძლებლად ვაჭრობის მინისტრი ამ გემებისთვის მიცემულ პრივილეგიების გაუქმებას („არკოსის" გემები დადიან ინგლისის დროშით)?

ვაჭრობის მინისტრმა კენლიფ ლისტერმა მიუთითა ჯოინსონ ხიქსის პასუხზე იმავე შეკითხვის გარშემო და თავის მხრივ დაუმატა, რომ არ შეიძლება რომელიმე გემის გამორიცხვა ბრიტანეთის სავაჭრო ფლოტიდან, თუ ეს გემები აკმაყოფილებენ სავაჭრო ნაოსნობის ყველა მოთხოვნილებებს. (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო ცაკის მესამე სესია

ამხ. ოსინსკის მოხსენება

მოსახლეობის საკავშირო აღწერის წინასწარი შედეგების შესახებ

მოსკოვი, 18 თებერვალი. ამხ. ენუქიძის მოხსენების მიხედვით მიღებულ კანონების დამტკიცების შემდეგ, ცაკის სესიამ მოისმინა ამხ. ოსინსკის მოხსენება მოსახლეობის საკავშირო აღწერის წინასწარ შედეგების შესახებ.

„სრულიად საკავშირო აღწერა, განაცხადა ამხ. ოსინსკიმ, რაიონების უმეტეს ნაწილში დამთავრდა. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ აღწერა დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. ძველი სტატისტიკოსების აზრით 1926 წლის აღწერა მოგვცემს გაცილებით უფრო სრულ მასალებს, ვინემ წარსულ წლების აღწერები.

კავშირის მოსახლეობის საერთო რიცხვი წინასწარი ცნობების მიხედვით უდრის 144.805.000 კაცს. ცალკე რესპუბლიკებში აღწერა შემდეგ სურათს იძლევა: საბჭოთა რუსეთში—99.670.000 კაცი, საბჭოთა უკრაინაში—28.879.000 კაცი, ა. ქ. ს. ს. ფ. რესპუბლიკაში—5.791.000 კაცი, საბჭოთა ბელორუსიაში 4,926.000 კაცი. რევოლიუციამდე (1914 წელს) საბჭოთა კავშირის ეხლანდელ ტერიტორიაზე ირიცხებოდა 135 ნახ. მილ. კაცი. ქალაქის მოსახლეობის ზრდამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. გასულ 8 წლის განმავლობაში ქალაქის მოსახლეობა გაიზარდა 24 პროცენტით ე. ი. 5 მილ. კაცით. 3 მილიონ კაცზე მეტი ქალაქს შეემატა სოფლიდან.

ზრდის ასეთი ტემპი გვაგონებს ამერიკის ქალაქების ზრდის ტემპს".

ეხება რა აღწერის მასალების დამუშავების პროგრამას ამხ. ოსინსკი აღნიშნავს, რომ აღწერა მოგვცემს მოსახლეობის და მის ცალკე შემადგენელ ელემენტების ზოგად კვალიფიკაციას.

„აღწერას ვერ მოსთხოვთ ამომწურავ ცნობებს სოციალურ შემადგენლობის შესახებ. აღწერის მასალების დამუშავება მეტად ძნელი და რთული საქმეა. ამას მოუნდება 2 ნახ. წელი. ეს ვადა მინიმალურია".

ეხება რა აღწერის დამუშავების ცალკე დეტალების დახასიათებას, ამხ. ოსინსკი შესაძლოთ სთვლის 1 ოქტომბრისათვის დამუშავებულ იქნეს ზოგიერთი ცნობები სქესის, ეროვნების და ენის შესახებ, 15 ოქტომბრისათვის—წერა-კითხვის ცოდნის შესახებ და სხვ., ისე, რომ 1928 წლის დასაწყისში დამთავრებულ იქნეს ამ ცნობების გამოქვეყნება. (ადს).

სესიის დღიური

მოსკოვი, 18 თებერვალი. 17 თებერვალს საღამოს სხდომაზე ცაკის სესიაზე კამათის შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ოსინსკი, რის შემდეგ სესიამ დიდის ყურადღებით მოისმინა გზათა სახ. კომისარის რუძუტაკის მოხსენება საბჭოთა კავშირის, სატრანსპორტო მეურნეობის მდგომარეობის და განვითარების პერსპექტივების შესახებ.

ოსინსკის მოხსენება, როგორც საინფორმაციო სესიამ მიიღო ცნობათ.

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ვაჭრობა.

ვარშავა, 18 თებერვალი. პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატამ მოაწყო პოლონეთში საბჭოთა კავშირის სავაჭრო რწმუნებულის ამხ. ფირსოვის მოხსენება პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის საკითხების შესახებ.

მომხსენებელმა ამხ. ფირსოვმა დაახასიათა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობანი და აღნიშნა, რომ საბჭოთა შეკვეთების უზრუნველსაყოფად საჭიროა გრძელვადიანი კრედიტების საკითხის მოგვარება. მოხსენებაზე შემოტანილ იქნა წინადადება საექსპორტო სინდიკატის დაარსების შესახებ, საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის გაცხოველების მიზნით (ადს).

„მოსკოვის ტრიუმფი".

ვარშავა, 17 თებერვალი. ბარტელთან ახლოს მყოფი „კურიერ ვილენსკიმ" გამოაქვეყნა წერილი პოლონეთის პოლიტიკის შესახებ ეროვნულ საკითხში.

„უკრაინის და ბელორუსიის საკითხები,—ამბობს გაზეთი,—არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს შინაურ საკითხებად. ჩვენ ხშირად გვავიწყდება ამ საკითხების მნიშვნელობა რუსეთთან დამოკიდებულების საქმეში, ძეფე იქნება იქ, თუ ბოლშევიკები. რუსეთმა გენიალურად გამოიყენა პოლონეთის საზოგადოების ვიწრო შოვინიზმი და უკრაინის და ბელორუსიის საკითხი გამოიყენა, როგორც მძლე იარაღი, პოლონეთის სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ. ამას წინათ ბელორუსიაში მომხდარი დაპატიმრებანი არის მოსკოვის პოლიტიკის ნამდვილი ტრიუმფი" (ადს).

ბრძოლა პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

რეფორმისტები ძირს უთხრიან მთლიანობას

პარიზი, 17 თებერვალი. შრომის საყოველთაო კონფედერაციამ (რეფორმისტულმა) უარყო უნიტარულ (რევოლიუციონურ) კონფედერაციის წინადადება ორივე კონფედერაციის გაერთიანების პირობების შესამუშავებლად პარიტეტული კომისიის შექმნის შესახებ. (ადს).

მუშები სოციალ-გამყიდველთა წინააღმდეგ

პარიზი, 17 თებერვალი. სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში რადიკალებთან ბლოკის განახლების ტენდენციების გაძლიერების გამო. **ჩრდილოეთ საფრანგეთის მუშებს შორის ფართოვდება მოძრაობა კომუნისტებთან მთლიანი ფრონტის შექმნის სასარგებლოდ.** ვალანსიენში სოციალისტებმა ბლოკი შეჰკრეს კომუნისტებთან მუნიციპალურ არჩევნებზე გაერთიანებულ გამოსვლისათვის. დიუნკირხენში **გემების მშენებელთა ორგანიზაციამ, რომელმაც წარსულ ზაფხულში დიდი გაფიცვა ჩაატარა, დასტოვა რეფორმისტული კონფედერაცია და შეუერთდა უნიტარულს.** სოციალისტების ბელადებმა დაიწყეს გაძლიერებული კამპანია კომუნისტების წინააღმდეგ. სოციალისტებს მხარს უჭერს ადგილობრივი ბურჟუაზიული პრესა, რომელიც აცხადებს, რომ სოციალისტები მოსკოვის დამღუპველ კონცესიებს უარყოფენ და მათ ამჯობინებენ სოციალ-კაპიტალისტურ მოღვაწეობას". (ადს).

პოლონეთი და გერმანია

„ავი მეზობელი".

ვარშავა, 17 თებერვალი. პოზნანის ქალაქის სამმართველოში პრეზიდენტ მოსციცკის პატივსაცემად გამართულ საუზმეზე სიტყვით გამოვიდა პოზნანის ქალაქის თავი რატაისკი, რომელმაც განაცხადა:

„პოზნანი და მისი მოსაზღვრე დასავლეთის რაიონები მით განირჩევიან პოლონეთის სხვა რაიონებისაგან, რომ მისი საზღვრიდან 10 მილის მოშორებით იწყება იმ მეზობლის საზღვარი, რომელიც არ სცნობს ვერსალის ზავით გავლებულ საზღვრებს. საზოგადოებაში განვითარდა შიში დასავლეთიდან".

საპასუხო სიტყვაში მოსციცკიმ განაცხადა, რომ ძველთაგანვე მოდის ბრძოლა სილეზიისა ბალტიის სანაპირო მხარისათვის. დღეს პოლონეთი, ევროპის სხვა სახელმწიფოებთან ერთად, შეუდგა საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცებას სავალდებულო ხელშეკრულებათა განხორციელებით და ხელშეკრულებით დაწესებულ საზღვრების დაცვით; ამასთანავე პოლონეთი არ ივიწყებს ქვეყნის თავდაცვის საჭიროებას (ადს).

ოსმალეთში

ოსმალეთ-ამერიკის მოლაპარაკება

ანგორა, 17 თებერვალი. მოლაპარაკება ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრ ტევფიკ რუშდი-ბეის და ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატების ადმირალ ბრისტოლს შორის პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის მოგვარების შესახებ, დღეს საღამოთი დამთავრდა შეთანხმებით, რომ მოხდეს სათანადო ნოტების გაცვლა-გამოცვლა.

სახალხო პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა რა ტევფიკ რუშდი ბეის მოხსენება ამ საკითხის შესახებ, დაადასტურა უკანასკნელის მოქმედება. (ადს).

ევროპიულ კოსტიუმისათვის

ანგორა, 17 თებერვალი. ოსმალეთში უკანასკნელ ხანებში ტარდება ქალების ტანისამოსის რეფორმა. რეფორმა გულისხმობს, ჩადრის გაუქმებას და შარვალის შეცვლას კაბით. რეფორმა გატარებულ იქნება ადგილობრივ თვითმმართველობის მიერ (მამაკაცთა ტანისამოსის რეფორმა, კერძოდ ფესკის ტარების გაუქმება, მთავრობის მიერ გატარებულ იქნა საკანონმდებლო წესით).

სამსუნში, ადა ბაზარში და კუტახიაში უკვე აკრძალულია ჩადრების ტარება. ზოგიერთ სხვა ვილაიეტებში უკვე გამოცემულია ბრძანება შარვალის შეცვლის შესახებ კაბით. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

საკავშირო კომპარტიის შემადგენლობა

მოსკოვი, 18 თებერვალი. 1926 წლის 1 ნოემბრისათვის საკავშირო კომპარტიაში ირიცხებოდა 700.000 კაცი—პარტიის წევრი და 411.000 კანდიდატი. ამ რიცხვში არ შედიან სამხედრო კომუნისტები და საზღვარ-გარეთ საბჭოთა დაწესებულებებში მომუშავე კომუნისტები. (ადს).

ამხ. რიკოვი შვებულებაში

მოსკოვი, 18 თებ. საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. რიკოვი გაემგზავრა ორი კვირის შვებულებაში. (ადს).

ლემპსონის „ლოღიკა"

ლონდონი, 18 თებერვალი. ლოკერ ლემპსონმა განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ მას არ მიუღია ფულები რუს ემიგრანტებისაგან არც ინგლისში და არც რომელიმე სხვა ქვეყანაში. „მაგიამ—დაუმატა ლემპსონმა,—რატომ არ შეუძლიათ რუს ემიგრანტებს ფინანსიური დახმარება გაუწიონ იმ საქმეს, რომლისთვისაც იბრძვიან". (ადს).

ჩ. ა. შ. შ. მანევრები მექსიკის საზღვართან

ვაშინგტონი, 18 თებერვალი. ჩ. ა. შ. შ. განზრახული აქვს აპრილში მექსიკის საზღვრებთან ჩაატაროს სამხედრო მანევრები, რომელშიაც მნიშვნელოვანი საჰაერო ძალებიც მიიღებენ მონაწილეობას. (ადს).

სუნ-ჩუან-ფანის ჯარები უწესრიგოთ იხევენ უკან

ნიუ-იორკი, 18 თებერვალი. შანხაიდან მიღებული ცნობებით, სუნ-ჩუან-ფანის ჯარებმა უწესრიგოთ და ძარცვა-გლეჯით დაიხიეს ხანჩოუდან. შანხაიში იწყეს თავმოყრა სუნ-ჩუან-ფანის არმიის დეზერტირებმა და დაჭრილებმა. ნინბო (ხან-ჩოუდან აღმოსავლეთისაკენ მიმავალ სარკინიგზო ხაზის საბოლოო პუნქტი) აიღეს ნაციონალურმა ჯარებმა წინააღმდეგობის გაუწევლად. (ადს)

ანტიიმპერიალისტური ლიგის აღმასკომი

ბერლინი, 18 თებერვალი. ანტიიმპერიალისტური ლიგის აღმასკომმა თავის თავმჯდომარედ აირჩია ლენსბერი, ხოლო მის მოადგილედ—ფიმმენი. ლენსბერი დათანხმდა თავმჯდომარის ადგილის დაჭერაზე.

ჩინეთის პროფკავშირების სამ წარმომადგენელს, რომლებსაც ლენსბერისა და ლონდონის პროფკავშირების წინადადებით, სურდათ ინგლისის დათვალიერება, აუკრძალეს ინგლისში შესვლა. ლიგის პრეზიდიუმმა განაცხადა პროტესტი აკრძალვის წინააღმდეგ (ადს).

ამერიკელი სტუდენტების დელეგაცია.

ნიუ-იორკი, 18 თებერვალი. ნიუ-იორკის სტუდენტთა საბჭო, რომელიც აერთიანებს ნიუ-იორკის ყველა სტუდენტების წარმომადგენლებს, ზაფხულზე აგზავნის სტუდენტთა დელეგაციას საბჭოთა კავშირში. დელეგაცია დარჩება საბჭოთა კავშირში, დაახლოვებით, ორი თვე (ადს).

„ერთად-ერთი წერილი"

ლონდონი, 18 თებერვალი. „დეილი ნიუსი" და „ტაიმსი" აქვეყნებენ ერთად-ერთ, როგორც ისინი ამტკიცებენ, წერილს, რომელიც 1925 წლის 25 მაისს გაუგზავნა ინგლისის შინაგან საქმეთა სამინისტრომ საბლინს პასუხად მის ცნობებზე 20 მაისის თარიღით. წერილში აღნიშნულია შემდეგი: „სერვილიამმა (ხიქსი) დიდი ინტერესით გაიგო, რომ რამდენიმე თქვენს თანამემამულეს, მოხალისის სახით, შეუსრულებია სხვადასხვა მუშაობა გაფიცვის დროს, და დარწმუნებულია, რომ მათ დაიმსახურეს იმათი მადლობა, ვისაც გაუწიეს სამსახური". (ადს).

ამერიკელნი შანხაიში.

ნიუ-იორკი, 18 თებერვალი. ჩ.-ა. შ. შ. შანხაისაკენ გაგზავნა საზღვაო ფეხოსანი ჯარის ახალი რაზმი 1.200 კაცის შემადგენლობით. შანხაიში რაზმი უნდა ჩავიდეს 24 თებერვალს. წინათ გაგზავნილ ჯარებთან ერთად, ჩ.-ა. შ. შ. ჯარების რიცხვი ჩინეთში აღწევს 8.800 კაცს. (ადს).

„მოსკოვს არ სძინავს".

ლონდონი, 18 თებერვალი. [illegible] მონდმა, ცნობილმა ინგლისელმა მრეწველმა ლიდსში განაცხადა: „ჩვენ მტრებს მოსკოვში არას დროს არ სძინავთ. ისინი ყოველ ძალას ხმარობენ, რომ დაანგრიონ ინგლისი და ბრიტანეთის იმპერია. მთავრობა არ იღებს ზომებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, იმიტომ, რომ სურთ გამოსცადონ თავის მომხრეთა მოთმინება (ადს).

კაშენს აუკრძალეს რუმინეთში შესვლა

ვენა, 18 თებერვალი. რუმინეთის მთავრობის განკარგულებით, სანაპირო რაზმელებმა არ შეუშვეს კაშენი რუმინეთის საზღვრებში (ადს).

საფრანგეთ - გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულება

პარიზი, 17 თებერვალი. იუწყებიან, რომ საფრანგეთ-გერმანიის დროებით სავაჭრო ხელშეკრულების ვადის 3 თვით გაგრძელების გამო, საფრანგეთმა დაიტოვა უფლება გააუქმოს ხელშეკრულება 31 მარტს, იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთის ღვინოებზე არ იქნება გავრცელებული ის შეღავათები, რომლებსაც გერმანია აძლევს ესპანეთს და იტალიას. (ადს).

თემთა პალატაში

ინგლისს არ დაუმტკიცებია ბესარაბიის ანექსიის ოქმი

ლონდონი, 17 თებერვ. ლიბერალური პარტიის დეპუტატმა მაიორ არჩიბალდ სინკლერმა თემთა პალატაში მთავრობას მისცა შეკითხვა: დამტკიცებულია თუ არა ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, რუმინიის და იაპონიის მიერ უკვე ხელმოწერილი ოქმი რუმინეთის მიერ ბესარაბიის ანექსიის ცნობის შესახებ; შევიდა თუ არა უკვე ეს ოქმი კანონიერ ძალაში და წარდგენილია თუ არა იგი ერთა ლიგაში?

გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ლოკერ ლემპსონმა უარყოფითი პასუხი გასცა ყველა ამ კითხვებზე (ადს).

„ინგლისი არაფერს დაჰკარგავდა"...

ლონდონი, 18 თებერვ. როცა თემთა პალატაში ირჩეოდა საკითხი 7.000 გირვ. სტერლინგის დამატებითი გადადების შესახებ იორკის ჰერცოგის და მისი მეუღლის (იორკის ჰერცოგი ინგლისის მეფის მეორე შვილია) ავსტრალიაში გასამგზავრებელ ხარჯების დასაფარავად, ადგილი ჰქონდა რამდენიმე ინციდენტს. მუშათა პარტიის დეპუტატების ნაწილმა პროტესტი განაცხადა „სამხედრო-საზღვაო პარადის" და იმ განსაკუთრებული ხარჯების წინააღმდეგ, რომლებსაც იწვევს ეს პარადები. მუშათა პარტიის დეპუტატს კირკვუდს წესრიგისაკენ მოუწოდეს შემდეგი შენიშვნის გამო:

„რომ ჰერცოგი და ჰერცოგის მეუღლე არასოდეს არ დაბრუნებულიყვნენ ინგლისში, ამით ინგლისი არაფერს დაჰკარგავდა".

კონსერვატიული დეპუტატები და მუშათა პარტიის ერთი დეპუტატი მხურვალედ იცავდნენ იორკის ჰერცოგის და ჰერცოგის მეუღლის როგორც „იმპერიის მიერ წარგზავნილთა" გამგზავრებას.

თანხის გადადება პალატამ მიიღო (ადს).

მზადება ამერიკის მემაღაროეთა გაფიცვისათვის

მოსკოვი, 18 თებერვალი. 1-ლ აპრილს თავდება. 1924 წელს ამერიკელ მაღაროს მეპატრონეთა და მემაღაროეთა შორის დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულების ვადა. ამის გამო ამერიკელი მაღაროების მეპატრონეები სცდილობენ გამოიყენონ ეს მომენტი და შეამცირონ მუშების ხელფასი 20 პროცენტით.

საერთაშორისო პროპაგანდისა და მოქმედების კომიტეტმა მიმართა მთელი ქვეყნის მემაღაროეთა რევოლიუციონურ კავშირებს მზად იყვნენ დახმარება გაუწიონ ამერიკელ ამხანაგებს, თუ მათ მოუხდათ გაფიცვის გამოცხადება (ადს).

საარჩევნო კამპანიის შეცდომები

მოსკოვი, 18 თებერვალი. რ. ს. ფ. ს. რ. ცაკმა მიმართა ადგილებს ცირკულიარული წერილით, რომელშიაც აღნიშნულია მიმდინარე საარჩევნო კამპანიის ძირითადი ნაკლი: მთელ რიგ ქალაქებში ამომრჩეველთა აქტივობის შესუსტება წარსულ წელთან შედარებით გლეხთა მასების აქტივობის არა საკმაო ზრდა. საშუალო [illegible] გლეხებთან დაკავშირების შესახებ დირექტივის სუსტად გატარება.

წერილში ნათქვამია, რომ სოფლის საბჭოში 30 პროცენტი ღარიბების და მხოლოდ 20 პროცენტი საშუალოების გაყვანა უნდა ჩაითვალოს დიდ პოლიტიკურ შეცდომათ. ცაკის პრეზიდიუმი წინადადებას იძლევა მიიღონ ზომები ასეთი შეცდომების თავიდან ასაცილებლად და მოახდინონ საარჩევნო უფლებას მოკლებულთა სიების ხელახალი გადასინჯვა, რომ დაუბრუნდეს საარჩევნო უფლებები მათ, ვისაც ასეთი უკანონოთ წაერთვა. (ადს).

საბჭოთა არჩევნები

რამდენ პირს ჩამოერთვა ხმა საქართველოში

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სტატისტიკურმა სამმართველომ შეიმუშავა ცნობები საარჩევნო ხმის უფლების მოკლებულ მოქალაქეთა შესახებ.

ამ ცნობების მიხედვით საქართველოს მაზრებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში საარჩევნო ხმის უფლება ჩამორთმეული აქვს:

ახალქალაქის მაზრაში 1926 წელს ჩამორთმეული ჰქონდა 1.408 მოქალაქეს, 1927 წელში—2897 მოქალაქეს; საარჩევნო ხმის უფლება მოკლებულ მოქალაქეთა რიცხვი წელს შარშანდელთან შედარებით გაიზარდა 105,8 პროცენტით.

—ახალციხის მაზრაში—1115—2147 (92,6 პროცენტ.), ბორჩალოში—964—2205 (123,9 პროც.), გორში—2505—5194 (119,3 პროც.), თელავში—1765—6269 (255.2 პროც.), სიღნაღში—1229—5362 (337,9 პროც.), ზემო-სვანეთში—136—214 (57,3 პროც.), ზუგდიდში—891—3324 (273,1 პროც.), ლეჩხუმში—525—1162 (121,3 პროც.), ოზურგეთში—997—2500 (150,8 პროც.), რაჭა—763—2400 (214,5 პროც.), სენაკში—1345—3545 (163,6 პროც.), შორაპანში—2919—5344 (83,1 პროც.), ქუთაისში—7133—13700 (92,1 პროც.), ფოთის რაიონში—637—726 (14,0 პროც.), სამხრეთ-ოსეთში—676—1258 (85,0 პროც.), სამხრეთ-ოსეთიდან მიღებული არ არის ცნობები ახალგორის თემიდან. აჭარისტანში—6432—8740 (35.9 პროც.) და აფხაზეთში—2302—5310 (130,7 პროც.).

სულ მთელს რესპუბლიკაში **1926 წელში** საარჩევნო ხმის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა **33742 მოქალაქეს, 1927 წელში კი—72618 მოქალაქეს**; წელს საარჩევნო ხმის უფლება მოკლებულ მოქალაქეთა რიცხვი შარშანდელთან შედარებით მეტია **115,2 პროც.**

როგორ მიმდინარეობს არჩევნები თბილისში

გუშინ არჩევნები ჩატარდა

კეთილმოწყობის განყოფილების მუშაკთა კრება

გუშინ საღამოს 4 საათზე, შესდგა თბილისის აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილების მუშა მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრების საერთო საარჩევნო კრება. რომელსაც დაესწრო 400 კაცამდე. დეპუტატებათ თბილისის საბჭოში აირჩიეს: 1) **ვასილ სახარულიძე** (კომ.) 2) **ბაგრატ გასპაროვი** (კომ. მუშა), 3) **გარენ ოვნატანოვი** (კ. კ. წევრი მუშა), 4) **არამ ოსიპოვი** (უპარტიო მუშა).

სახელმწიფო უნივერსიტეტში

გუშინ საღამოს 7 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიურ აუდიტორიაში შესდგა სოციალ ეკონომიურ ფაკულტეტის სტუდენტთა საარჩევნო კრება, რომელსაც დაესწრო 1000-მდე ამომრჩეველი.

კრებაზე წაკითხული იქნა „ნაკაზი", რომელიც მიღებული იქნა შემდეგი დამატებებით: 1) თბილისის საბჭომ ყურადღება უნდა მიაქციოს სტუდენტთა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას 2) უნივერსიტეტის რაიონში აშენდეს სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი ბინა. 3) გამწვანდეს სახელმწ. უნივერსიტეტის ეზოში ბაღი, 4) ყოფილი სემინარიის შენობამდე, სადაც ეხლა სახელმწ. უნივერსიტეტს აქვს დათმობილი რამოდენიმე ბინა გაყვანილ იქნეს ტრამვაის ხაზი, 5) პროლეტარიო სტუდენტობას შეღავათიან ფასებ. მიეცეს ტრამ. ბილეთ. და 6) კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის საწარმოებლად, უნივერსიტეტის დიდი დარბაზი გადაკეთებულ იქნეს კლუბად.

„ნაკაზი"-ს დამტკიცების შემდეგ თბილისის საბჭოს დეპუტატებად არჩეულნი იქნენ. 1) **ვარლამ მესხი** (თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი), 2) **პროფესორი შალვა ნუცუბიძე** (უპარტიო), 3) **ჩიგოგიძე** (მუშა—უპარტიო), 4) **დათიკო მავთიძე** (უპარტიო), 5) **სამსონ გეგენავა** (კომუნისტი), 6) **იაკობ მონიავა** (კომუნისტი), 7) **ბაბუციძე** (კომუნისტი), 8) **უსუფ აბაშიძე** (უპარტიო, აჭარელი), 9) **ზარამიძე** (კომუნისტი) და 10) **ჭელიძე** (კომკავშირელი).

ცენტრალურ და თბილისის პარტ-სკოლაში

ცენტრალურ პარტსკოლაში შესდგა, ცენტრალურ და თბილისის პარტსკოლების მსმენელთა და თანამშრომელთა გაერთიანებული საარჩევნო კრება, რომელსაც დაესწრო 189 ამომრჩეველი. საბჭოს დეპუტატებად აირჩიეს: 1) ამხ. **პაიჭაძე** (კომუნისტი) და 2) **ხატისკაცი** (კომუნისტი).

ცენტრალურ მუშათა კლუბში

გუშინ საღამოს კლუბის ერთ-ერთ დარბაზში თავი მოიყარეს საარჩევნო კრებაზე ამიერ-კავკასიის ფინანსიური კონტროლის, სარძევე არტელის, საბაჟოს, სამხედროვაჭრობის აფთიაქის მაღაზიების და აბრეშუმის ტრესტის მუშა მოსამსახურეებმა და მათი ოჯახის წევრებმა, რიცხვით 400 კაცმა თბილისის საბჭოს დეპუტატებათ აირჩიეს: 1) **შალვა ცქიტიშვილი** (უპარტიო აგრონომი), აბრეშუმის ტრესტიდან, 2) **გიორგი ავეტისოვი** (კომ.) საბაჟოდან კანდიდატებად 3) **კონსტანტინე პიროევი** (კომ.), სამხედროვაჭრობიდან, 4) **პანტელეიმონ ჩხიკვაძე** (კომ.), ფინ კონტროლიდან, 5) **მარკ არატიშკინი** (უპარტიო მუშა) სარძ. არტელიდან.

მხერხავებთან

გუშინ დილის 10 საათზე, სახერხი ქარხნის № 1-ის შენობაში შესდგა ადგილობრივი მუშა-მოსამსახურეების საარჩევნო კრება. თბილისის საბჭოში დეპუტატათ აირჩიეს: **ამხ. მაგან კუტანჯიანცი** (კომუნისტი მუშა)..

საქ. სახ. ვაჭრობის სამმართველოში

ადგილობრივ მუშა მოსამსახურეთა საარჩევნო კრებაზე დეპუტატათ ერთხმად არჩეულ იქნა **ამხ. ვასო ურუშაძე** (კომუნისტი, მუშა).

„ავტოპრომტორგში"

გუშინ დილის 10 საათზე შესდგა „ავტოპრომტორგის" ავტო-სახელოსნოების და ელექტრო-სადგურის მუშა-მოსამსახურეთა საარჩევნო კრება, რომელმაც დეპუტატებად აირჩია: 1) **ადამ ჯავახოვი** (უპარტიო მუშა), კანდიდატებად: 2) **თედორე პატაპოვი** (უპარტიო მუშა) და 3) **არშავირ ვართანოვი** (კომუნისტი მუშა).

არჩევნების ჩამტარებელთა თათბირი

18 თებერვალს თბილისის სამაზრო საარჩევნო კომისიის ბინაზე გაიმართა თბილისის მაზრაში არჩევნების ჩამტარებელთა და სხვადასხვა საარჩევნო რაიონებზე მიმაგრებულ ინსტრუქტორების თათბირი.

თათბირი გახსნა სამაზრო საარჩევნო კომისიის სახელით ამხ. ვართაპეტოვმა, რომელმაც აღნიშნა, მიმდინარე არჩევნების განსაკუთრებული მნიშვნელობა.

შემდეგ თათბირმა მოისმინა ქვემო და ზემო ბრწოს საარჩევნო რაიონში არჩევნების ხელმძღვანელათ გაგზავნილ ამხ. ალიკაშვილის მოხსენება. მომხსენებელი შეეხო არჩევნების მიმდინარეობის საერთო სურათს და აღნიშნა, რომ წელს ამ რაიონში დიდათ გაიზარდა ამრჩეველთა აქტივობა.

ამხ. წითლიძე—ეხება არჩევნებს სართიჭალისა და პატარძეულის საარჩევნო უბნებში. იგი აღნიშნავს, რომ მოსამზადებელი კამპანია კარგათ იყო ჩატარებული, მაგრამ მაინც დაურჩა ადგილი ზოგიერთ შეცდომებს. ამრჩეველთა აქტივობა საშუალოზე მეტია. არჩევნებში საშუალოთ მონაწილეობას ღებულობდა მოსახლეობის 60.7 პროცენტი.

წალკის თემიდან მოხსენებით გამოვიდა ამხ. ალიევი, რომელმაც აღნიშნა, თუ რამდენმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა, როგორი იყო არჩევნებში კულაკური ელემენტების როლი და სხვ.

ამხ. კლ. გვალია—მოხსენებას აკეთებს ასურეთის, ბოდავის და თელეთის საარჩევნო უბნებიდან. მომხსენებლის განცხადებით ამრჩეველთა აქტივობა წელს განსაკუთრებით დიდი იყო. ქალების დასწრების პროცენტი საშუალოთ უდრის 70-ს, ხოლო მამაკაცების—90 პროცენტს. აღნიშნულ რაიონებში არჩევნები დაიწყო ჯერ კიდევ იანვრის დასასრულს და გათავდა თებერვლის 10-ს.

ადგილებიდან მოხსენებების გაკეთების დასრულების შემდეგ თათბირის სხდომა დაიხურა. თათბირი კვლავ განახლდება დანარჩენ რაიონებიდან ინსტრუქტორების ჩამოსვლის შემდეგ.

ადგილებზე

არჩევნების განმეორებით დანიშვნა.

სოხუმი, 18 თებერვალი. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გააუქმა ძველი და დანიშნა ახალი არჩევნები კოდორის მაზრის აძიუბჟის რაიონში და გალის მაზრის დიხაზურგის რაიონში იმის გამო, რომ პირველ საარჩევნო კრებებზე გამოცხადდა ამომრჩეველთა 30 პროცენტზე ნაკლები (ადს).

კულაკები გააშავეს.

ბორჯომი, 18 თებერვალი. წაღვერის საარჩევნო კრებაზე კულაკებმა წამოაყენეს თავისი 6 კანდიდატი, ყველა გაშავებულ იქნა. ერთხმად იქნა მიღებული უჯრედის მიერ წარმოდგენილი სია (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს არჩევნები ჩატარდება

მეორე რაიონში

1) სახელმწიფო კინო მრეწველობის მუშა-მოსამსახურეთათვის—კინო „აპოლო"-ში დღეს 1-ლ საათზე.

2) თვალსაჩინო ხელსაწყოთა (სასწავლო) ინსტიტუტში—ნაშუადღევის 2 ნახ. ს.

3) გაერთიანებული ადგილკომი № 2 და ადგილკომი შეშის საწყობთა ერთეულებისა, ხელოსანთა კლუბში საღ. 6 ს.

4) როზა ლიუქსემბურგის ქარხნის „პროლეტარი"-ს და კოლოფების ქარხნის მუშა მოსამსახურეთა ოჯახის წევრებისათვის საღამოს 6 საათ. კლუბ „პროლეტარ"-ში.

მეოთხე რაიონში

1) სახელმწ. პოლიტ. სამმართველოს და მერვე პოლკის თანამშრომელთა ოჯახის წევრებისათვის— კლუბ „კატარ"-ში საღამოს 6 ს.

2) სამრეწველო ეკონომიური ტეხნიკუმის, 18, 3, 94, 72 შრომის სკოლებისათვის—ახალ მუშათა კლუბში დღის 1 ს.

3) განათლების მუშაკთა პროფ. კავშ. უმუშევარ წევრებისათვის—განათლების მუშაკთა კლუბში საღ. 5 ს.

არსენალის რაიონის საარჩევნო კომისია

იუწყება, რომ დღეს, დღის 1-ლ საათზე, ცენტრ. მუშათა კლუბის შენობაში (პლეხანოვის, 123) შესდგება განათლების მუშაკთა კავშირის ყველა წევრთა კრება დეპუტატების ასარჩევად.

საარჩევნო კომის. თავმჯდ. ფანცულაია.

სახ. უნივერსიტეტში

დღეს, საღამოს 5 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში შესდგება პედაგოგიურ ფაკულტეტის სტუდენტთა და მასწავლებელთა საერთო კრება.

დღის წესრიგი: დეპუტატების არჩევა საბჭოში.

7 საათზე იმავე შენობაში შესდგება აგრონომიულ ფაკულტეტის მსმენელთა და მასწავლებელთა საერთო კრება.

მწერალთა საარჩევნო კრება

დღეს, შაბათს, საღამოს 7 სათზე ხელოვნების სასახლეში შესდგება გაერთიანებულ მწერალთა კავშირის წევრთა საზოგადო კრება თბილისის საბჭოში დეპუტატების ასარჩევად. წევრების დასწრება სავალდებულოა.

ბორჯომის თემსაბჭოში.

ბორჯომი, 18 თებერვალი. ბორჯომის თემსაბჭოში არჩეულია 78 დეპუტატი, მათგან 18 კომუნისტი, 9 კომკავშირელი, 9 ქალი და ერთი მოჯამაგირე. საარჩევნო კრებებზე გამოცხადდა ამომრჩეველთა დაახლოვებით 64 პროცენტი, იგივე შეფარდებაა ქალთა დასწრების მიმართ. შარშან ეს პროცენტი უდრიდა 52 და 28-ს.

გაიზარდა კომუნისტების პროცენტი საბჭოს შემადგენლობაში. (ადს).

მდიდარი გლეხები გარიყულია

(ქარელის თემი, გორის მაზრა)

თემში შედის 28 სოფელი. მცხოვრებთა რიცხვი უდრის 6.709 სულს, ხოლო ამომრჩეველთა 3.852. საარჩევნო უფლება მოკლებულია 395, რომელთა რიცხვიც წარსულ წელთან შედარებით გაიზარდა 200 პროც. შავი სიები გაიკრა 19 იანვარს. საარჩევნო ხმის უფლებებში აღდგენილ იქნენ 5. თემი არის დაყოფილი 26 საარჩევნო უბნათ. არჩევნები დაიწყო 26 იანვრიდან და ჩატარებულია უკვე 10 საარჩევნო უბანში. არჩევნებისთვის სამზადისი წინასწარ ყველა უბნებში ჩატარდა სათემო კომიტეტისა, ადგილობრივ პ. აქტივის, ღარიბების და საშუალო გლეხობასთან თანდასწრებით. ჩატარებულია თემაღმასკომის მიერ საანგარიშო მოხსენებები ერთი წლის მუშაობაზე სოფლებში. უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლობა აქტიურ მონაწილეობას იღებდა არჩევნების წინასწარ მოსამზადებელ მუშაობაში. წინასწარი სამი დღის დროს პარტიის ხელმძღვანელობით მოწვეულ იქნა ღარიბ და საშუალო გლეხობის კრებები, რომლის წესრიგში იდგა: 1) საბჭოს წევრების კანდიდატების შერჩევა, 2) თემაღმასკომის სარევიზიო კომისიის წევრთა შერჩევა, 3) განაწესების განხილვა ადგილობრივ პირობების მიხედვით და 4) მიმდინარე საკითხები, წინასწარი სამზადისი შეძლებულ გლეხობას, რომელიც შეადგენს თემის მცხოვრებთა 12 პროც., არ ესიამოვნა. ზოგი კიდეც გაიძახოდა: საბჭოს საარჩევნო კრებაზე რაღათ მოვიდეთ, როდესაც ჩვენ არაფერს გვკითხავენო. მიუხედავათ ამისა, არჩევნებზე ესწრება ამომრჩეველთა 85 პროც. მამაკაცები და 40-დან 50 პროც. ქალები.

ზოგიერთ კრებებზე შეძლებული გლეხები ცდილობდენ გაეყვანათ თავიანთი კანდიდატები, მაგრამ კოვზი ნაცარში უვარდებოდათ. თითქმის მთელი კრება ილაშქრებდა მათ წინააღმდეგ და ისინი. რაკი ასეთ სურათს ხედავდენ. შემდეგ თითონაც მხარს უჭერდენ ღარიბების კანდიდატებს.

არჩევნები თემში ამ დღეებში დამთავრდება. სათემო საბჭოს კრება მოხდება 25 თებერვალს.

ვ. ხეჩ—ილი.

არჩევნებზეც ცეკვა-თამაშით მოდიან

(გურიანთის თემი)

8 თებერვალს გურიანთის თემში მოხდა საბჭოთა არჩევნები. მიუხედავათ ცუდი ამინდისა, არჩევნებს დაესწრო 62 პროც. ამომრჩევლისა. ხალხი, რომ საბჭოს არჩევნებში დაინტერესებულია ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მიუხედავათ თოვლიან და წვიმიან ამინდისა, ხალხი ჯგუფ-ჯგუფად სიმღერა-თამაშით მოდიოდა საარჩევნო დარბაზში.

საბჭოში არჩეულია 27 წევრი; ამათში 2 ქალი, 25 მამაკაცი. 10 კომპ. წევრი. 2 კომკავშირელი და 15 უპარტიო.

გ. სიხარულიძე.

არჩევნები რაჭაში

ონი, 18 თებერვალი. სორის თემის საბჭოში არჩეულია 27 კაცი. მათში 10 კომუნისტი, 3 ახკომკავშირელი და 1 ქალი. თემაღმასკომის თავმჯდომარეთ არჩეულია კომუნისტი.

ზვარეთის თემსაბჭოში აირჩიეს 56 დეპუტატი. მათში 4 კომუნისტი, 2 კომკავშირელი და 1 ქალი. თემაღმასკომის თავმჯდომარეთ გავიდა კომუნისტი.

წედისის თემის საბჭოში არჩეულ 26 კაციდან 5 კომუნისტია.

ზემო რაჭაში არჩევნები დამთავრდა ყველა თემებში, გარდა ერთისა, ხოლო ქვემო რაჭაში არჩევნებს შეუდგებიან 20 თებერვლიდან.

მესამეთ ნუღარ აგვირჩევთ

(საჩხერე, შორაპნის მაზრა)

[illegible] წელს და გასულ წლებსაც, ჩვენ ბევრი არა კეთილ-საიმედო პირები შეგვეპარენ საბჭოში, რომელთაც საკუთარ საქმის მოხერხება უფრო აინტერესებთ, ვიდრე საზოგადო. მაგალითისათვის ავიღოთ თემ-საბჭოს წევრი ნიკოლოზის დროის ყოფილი ვექილი კოტე აბდუშელიშვილი, რომელიც განთქმულია საჩხერის თემში, როგორც კარგი კომბინატორი. მას ჩვენ საბჭოში მინდობილი ჰქონდა საგზაო სექციის თავმჯდომარეობა. ამ სფეროში ყოფილ ვექილს არაფერი გაუკეთებია. პირიქით, ის ამხედრებდა გლეხებს საბჭოს წინააღმდეგ.

გარდა ამისა საბჭოს წევრი და „ნაფიცი ვექილი" კ. აბდუშელიშვილი თავდებათ უდგება სასამართლოებში არა კეთილსინდისიერ პირებს. ამის გამო გასულ წელს ამხ. ილიკო ზაბახიძემ განცხადებითაც კი მიმართა საბჭოს, მაგრამ მისმა განცხადებამ ჩაილურის წყალი დალია.

ეხლა მაინც მოვიცილოთ ეს ყოფილი ნაფიცი ვექილი კ. აბდუშელიშვილი, თავის დამქაშებით. ვეცადოთ, რომ ის წელსაც არ შეგვეპაროს საბჭოში.

საჩხერის ლახტი.

სამაზრო აღმასკომის ანგარიში

(თერჯოლის თემი, შორაპნის მაზრა)

ამას წინად თერჯოლის შვიდწლედის შენობაში შესდგა თემსაბჭოს გაფართოებული სხდომა გლეხობასთან ერთად. პირველ საკითხად დასმული იყო სამაზრო აღმასკომის ერთი წლის მუშაობის ანგარიში. ამ საკითხზე შინაარსიანი მოხსენება გააკეთა ამხ. ირადიონ ბურჯანაძემ. მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო აღმასკომის თვითეულ განყოფილების მოქმედებას და მთლიანად მაზრის აღმშენებლობას.

კრება კმაყოფილი დარჩა ამ მოხსენებით. ჩვენს თემს არ ახსოვს არც შავბნელი რეაქციის და არც მენშევიკურ დროიდან, რომ მათთვის სამაზრო ხელისუფლებას ანგარიში ჩაებარებინოს.

ვალ—ია.

არა დაქტილოსკოპიის და ძაღლების, არამედ სოც. უზრუნველყოფის შესახებ

(ამხ. რუბენის წერილის გამო)

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს ის გარემოება, რომ ზოგიერთი ჩვენი პასუხისმგებელი ამხანაგი ლიკვიდატორულად არის განწყობილი სოც. უზრუნველყოფის ორგანოების მიმართ. ამის მთავარი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ აღნიშნულ ამხანაგებს სრულიად შემცდარი და ყალბი წარმოდგენა აქვთ სოც. უზრუნველყოფის მიზნებისა და ამოცანების შესახებ. ნათქვამის საუცხოვო ილიუსტრაციას წარმოადგენს, სხვათა შორის, გაზ. „კომუნისტში" და „ზარია ვოსტოკა"-ში ამას წინედ მოთავსებული ამხ. რუბენის წერილი „დაქტილოსკოპიის, ძაღლების და სოც. უზრუნველყოფის შესახებ". აბა მოვუსმინოთ ავტორს:

„განა უკეთესი არ იქნებოდა გაუქმდეს ისეთი კომისარიატი (იგულისხმება სოც. უზრ. კომისარიატი), რომელიც უზრუნველჰყოფს თავის თანამშრომლებს, და ცაკთან ვიქონიოთ აპარატი, რომელსაც ადვილად შეეძლება 76.652 მან. განაწილება წლიწადში". რას ნიშნავს ეს? პირველად ყოვლისა, ეს იმას ნიშნავს, რომ **ამხ. რუბენი სოც. უზრ. კომისარიატის უმთავრეს დანიშნულებას ხედავს სახელმწიფოს მიერ გადადებულ თანხების დარიგებასა და განაწილებაში.** ეს დებულება სავსებით შემცდარი და ყალბია. როგორც სჩანს, ამხ. რუბენი არც კი იცნობს სოც. უზრ. კომისარიატის დებულებას, სადაც ნათქვამია, რომ გარდა სახელმწიფოს მიერ გადადებულ საშუალებათა განაწილებისა, სოც. უზრ. კომისარიატი ხელმძღვანელობს, კონტროლსა და ინსტრუქტორობას უწევს ადგილობრივ სოც. უზრუნველყოფის ორგანოებს,—იგი აწყობს თვითმოქმედების და ინიციატივის ნიადაგზე დამხმარე და ურთიერთ დამხმარე საზოგადოებებს, როგორც, მაგალითად, გლეხკომებს, ინვალიდთა არტელებს, ყრუ-მუნჯთა და ქალაქის გაჭირვებულთა დამხმარე საზოგადოებებს, ამუშავებს კანონებს სოც. უზრუნველყოფის სფეროში, ეძებს წყაროებს სოც. უზრუნველყოფის საშუალებათა გასაძლიერებლად და სხვ. აი რაში მდგომარეობს სოც. უზრ. კომისარიატის ჭეშმარიტი მიზანი და დანიშნულება.

ამხ. რუბენი დაგვეთანხმება ალბათ იმაში, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ნივთიერი ხელმოკლეობის გამო ჯერ-ჯერობით მაინც არ ძალუძს გაიღოს საკმაო საშუალებები სოც. უზრ. საქმისათვის. მეორეს მხრით, ფაქტია, რომ იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომის ინვალიდებს, ომში მოკლულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახებს, კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაში დასახიჩრებულ და დაღუპულ პირთა ოჯახებს, შრომის ინვალიდებს, წითელ ჯარში გაწვეულ პირთა ოჯახებს, რომლებსაც არ დარჩათ ოჯახში მუშა-ხელი, დეფექტიურ პირებს—ყრუ-მუნჯებს, ბრმებს და სხვა, რომელთა რიცხვი 15.000 აღემატება,—საბჭოთა ხელისუფლება ვერ დასტოვებს უყურადღებოდ. სად არის გამოსავალი ასეთი მდგომარეობიდან? გამოსავალი, ჩვენის აზრით, სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის ლიკვიდაციაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ მის მუშაობის განვითარებასა, გაფართოებასა და გაღრმავებაში. სხვა დასკვნის გაკეთება კომუნისტს, საბჭოთა ხელისუფლების მოამაგეს და მოჭირნახულეს არ შეუძლია, ვინაიდან მშრომელთა უზრუნველყოფის საკითხს აქვს არა მარტო მორალური, არამედ უაღრესი პოლიტიკური მნიშვნელობა. ამხ. რუბენის წერილი, ჩვენი ღრმა რწმენით, სასოწარკვეთილების და პესიმისტური იერის მატარებელია. ეს წერილი გაჭირვებაში ჩავარდნილ მასებს რწმენას უკარგავს თავის მდგომარეობის გაუმჯობესებაში, რადგან სოციალურ უზრუნველყოფის მოცულობას და ფარგლებს ამხ. რუბენი საზღვრავს მხოლოდ იმ მცირე თანხით (70.000 მანეთით), რომელსაც იძლევა საბჭოთა სახელმწიფო. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის მუშაობა იქითკენ უნდა იქნეს მიმართული, რომ შევავსოთ დანაკლისი, რომელიც გამომდინარეობს ჩვენი სახელმწიფოს ფინანსიური ხელმოკლეობიდან, გავადიდოთ და გავაძლიეროთ სოციალურ უზრუნველყოფის ფონდი; შევუმსუბუქოთ მდგომარეობა იმ აუარებელ პირებს, რომლებიც სახელმწიფოს მიერ გადადებულ თანხიდან ვერ კმაყოფილდებიან. სინამდვილეში ეს ასეც არის. მაგალითისათვის მოვიყვან ზოგიერთ ფაქტებს: 1925—26 საბიუჯეტო წელში სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატმა სხვადასხვა გზით და საშუალებებით მოიპოვა სახსრები, რომელიც **248.000 მანეთს აღემატება**, მაშინ, როდესაც სახელმწიფომ ამავე წელში გაიღო სოციალურ უზრუნველყოფაზე ბიუჯეტით მხოლოდ 94.000 მან. მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან 1 თებერვლამდე, ე. ი. 4 თვის განმავლობაში სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატში შემოვიდა სპეციალური საშუალებებიდან **150.000 მანეთი**, რომლიდანაც სოც. უზრუნველყოფაზე უკვე დაიხარჯა **80.000 მანეთამდე**, სახელმწიფო ბიუჯეტით კი პენსიებზე და დახმარებებზე მთელი წლის განმავლობაში გადადებულია მხოლოდ 76.652 მანეთი.

გლეხკომებმა, რომლებიც ჩვენი უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობენ, დახარჯეს სოციალურ უზრუნველყოფაზე 1925—26 საბიუჯეტო წლის განმავლობაში 120.600 მანეთი. გარდა გლეხკომების ხელმძღვანელობისა და წყაროების მოპოვებისა, სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატი უაღრეს ყურადღებას აქცევს ინვალიდთა შრომის გამოყენებას. ამ საქმისათვის იგი აწყობს და აარსებს არტელებს. საქართველოში ამჟამად მოქმედებს სულ 31 არტელი, რომელშიაც მუშაობს 411 ინვალიდი; თვითეული მათგანი იღებს ხელფასს საშუალოდ 40—70 მანეთს. მარტო თბილისში ჩვენ მოვაწყვეთ პაპიროსების გამსაღებელი არტელი, სადაც მუშაობს 300 შრომის და ომის ინვალიდი.

სოც. უზრუნველყოფის კომისარიატი ხელმძღვანელობას უწევს აგრეთვე თბილისის ყრუ-მუნჯების საზოგადოებას. უახლოეს დროში ჩვენი თაოსნობით ეწყობა თბილისში ეგრედ წოდ. ღარიბთა დამხმარე საზოგადოება, რომლის უმთავრესი მიზანია დაეხმაროს იმ პირებს, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით ვერ იღებენ დახმარებას სოციალურ უზრუნველყოფის და სოციალურ დაზღვევის ორგანოებიდან.

ამ მუშაობის გარდა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, სოც. უზრ. კომისარიატი ხელმძღვანელობას და კონტროლს უწევს ადგილობრივ სოც. უზრუნველყოფის ინსპექციებს, მათი საშუალებით აწარმოებს ომის ინვალიდთა, ომში მოკლულთა ოჯახების და სხვა გაჭირვებულ პირთა აღრიცხვას, იმუშავებს სოც. უზრუნველყოფის წესებს, სცემს ცირკულიარებს, დებულებებს სოც. უზრუნველყოფის სფეროში და სხვა. ასეთია მოკლეთ ის მრავალფეროვანი მუშაობა, რომელსაც მძიმე მატერიალურ პირობებში აწარმოებს სოც. უზრ. კომისარიატი. შესაძლებელია, ჩვენ ცუდ ხელმძღვანელობას ვუწევთ ჩამოთვლილ ორგანიზაციებს, არ ვმალავთ აგრეთვე, რომ ჩვენს მუშაობაში ადგილი აქვს შეცდომებს და ნაკლულოვანებებს, მაგრამ აქედან ის დასკვნა კი არ უნდა გაკეთდეს, რომ საჭიროა გაუქმებულ იქნეს სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატი, არამედ ის, რომ გაუმჯობესდეს ხელმძღვანელობა, გამოსწორდეს ნაკლი და შეცდომები. ამნაირად აშკარაა, რომ 41.269 მანეთს ჩვენ ვხარჯავთ მარტო იმისათვის კი არა, რომ გავანაწილოთ 70.000 მანეთი, როგორც ეს ამხ. რუბენს მგონია, არამედ სხვა უფრო სერიოზულ და საპასუხისმგებლო მუშაობაზე.

ეხლა შევეხოთ ამხ. რუბენის მეორე არგუმენტს, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ სოციალურ უზრუნველყოფის აპარატზე იხარჯება შემოსავლის უდიდესი ნაწილი. მართალია ეს? გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არა. აი ამის დასამტკიცებელი ფაქტები: მიმდინარე საბიუჯეტო წელში სოც.-უზრუნველყოფის კომისარიატს ნავარაუდევი აქვს შემოსავალი სპეციალურ წყაროებიდან **300.000 მანეთი** (ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ 4 თვის განმავლობაში ფაქტიური შემოსავალი სპეც. საშუალებებიდან უდრიდა 150.000 მანეთს). ამას თუ მივუმატებთ სახელმწიფო ბიუჯეტით გადადებულ თანხას **141.595 მანეთს**. მივიღებთ მთლიან შემოსავალს **441.595 მანეთს**. აპარატის შენახვაზე კი გვეხარჯება 41.296 მანეთი. თუ ამ ციფრს დაუპირდაპირებთ მთელს შემოსავალს—441.595 მანეთს, მივიღებთ აპარატის ხარჯებს 9 პროცენტს. ამხ. რუბენი კი შეცდომით ანგარიშობს 29 პროცენტს, ვინაიდან იგი მხედველობაში ღებულობს მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხებს და გვერდს უვლის ჩვენს **სპეციალურ საშუალებებს**, ამხ. რუბენი სხვა მხრივათაც სცდება. 1926—27 წლის სოციალურ უზრუნველყოფის ბიუჯეტი—141.595 მან. რაოდენობით მას მიაჩნია ნორმალურად. ჩვენ კი ვამბობთ, რომ ეს ბიუჯეტი სრულიადაც არ გამოხატავს სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის ნამდვილ მოთხოვნილებას. მთელ სახელმწიფო ბიუჯეტში სოც. უზრ. ხარჯებს უკავია 0,61 პროცენტი; მოსახლეობის თითო სულზე სოციალურ უზრუნველყოფის ხარჯები მოდის ჩვენში 11 კაპეიკი, რუსეთში კი—25 კაპ. ნუ თუ ასეთი მდგომარეობა ამხ. რუბენს მიაჩნია ნორმალურად? წლევანდელ ბიუჯეტში, სხვათა შორის, არ არის შეტანილი ხარჯები აგვისტოს გამოსვლებში დაღუპულ პირთა ოჯახებისათვის, ძველ რევოლიუციონერებისათვის (388 კაცი) და საზოგადო მოღვაწეთათვის, ბანდიტებთან ბრძოლაში დაღუპულ პირთა ოჯახებისათვის, ინვალიდთა მიმოსვლისათვის, კლიმატიურ ექიმობისათვის და სხვ.

ნორმალურ პირობებში არც ერთი დასახელებულ ხარჯის გამორიცხვა ბიუჯეტიდან არ შეიძლებოდა. და აი, თუ მხედველობაში იქნება მიღებული ჩვენს მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვა 664.564 მანეთის რაოდენობით და ამ თანხას მივუმატებთ სოც. უზრ. კომისარიატის მიერ ნავარაუდევ შემოსავალს სპეც. საშუალებებიდან (300.000 მან.), მაშინ აპარატზე გაწეული ხარჯები იქნება 4 პროცენტი. ამხ. რუბენი გვპირდება, რომ სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის გაუქმებით შეიძლება 41.000 მან. დაზოგვაო, მაგრამ დაზოგვაც არის და დაზოგვაც. თუ სრულიად გავაუქმებთ სოციალურ უზრუნველყოფას, მაშინ დავზოგავთ არა 41.000 მანეთს, არამედ მთელ იმ თანხას, რომელიც გადადებულია სოც. უზრუნველყოფაზე, მაგრამ განა ეს მიზანშეწონილი იქნება! წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. იმ შემთხვევაში, თუ დავსტოვებთ ჩვენში სოციალურ უზრუნველყოფას, მაშინ ვეჭვობთ, რომ რაიმე სარგებლობა მოგვიტანოს იმ „აპარატის გამარტივებამ" და „რაციონალიზაციამ", რომელზედაც სწერს ამხ. რუბენი. მართლაც და რა ეკონომიას მოგვცემს სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის გაუქმება და ცაკთან „პატარა აპარატის" მოწყობა? ამხ. რუბენის ანგარიშით, ამ ღონისძიებით შეიძლება ხარჯების შემცირება 41.000 მანეთით. სინამდვილეში ეს ასე არ არის. ამ თანხაში შედის საინვალიდო სახლის 11 თანამშრომლის ხელფასი—4.801 მანეთი და ამავე სახლის საჭიროებისათვის გათვალისწინებული ადმინისტრატიულ - სამეურნეო ხარჯები—8.823 მანეთი, სულ 13.124 მანეთი. ცხადია, რომ სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის გაუქმებით და ცაკთან პატარა აპარატის მოწყობით ეს 13.124 მანეთი ერთი კაპეიკითაც არ შემცირდება, თუ, რა თქმა უნდა, საინვალიდო სახლი, როგორც სოც. უზრუნველყოფის ერთ-ერთი ფორმა, იარსებებს; მაშასადამე, შეიძლება დაზოგვილ იქნეს არა 41.296 მანეთი, როგორც ეს ამხ. რუბენს აქვს გამოანგარიშებული, არამედ 41.296—13.124=28.145 მანეთი. ეს ციფრი კიდევ უნდა შემცირდეს სულ ცოტა 10.000 მანეთით მაინც, ვინაიდან „პატარა აპარატი" ცაკთან, რომელმაც, ამხ. რუბენის სიტყვით, უნდა გაანაწილოს 70.000 მანეთი, გამოიწვევს განსაზღვრულ ხარჯებს. საბოლოო ანგარიშით ჩვენ შევამცირებთ ხარჯებს—18.148 მანეთით, მაგრამ სამაგიეროდ დავკარგავთ ბევრ რამეს. უპირველეს ყოვლისა, სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის გაუქმებით ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობის გარეშე დარჩებიან საზოგადოებრივი ორგანიზაციები—გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტები, ინვალიდთა არტელები, ქალაქის გაჭირვებულთა დამხმარე და ყრუ-მუნჯთა საზოგადოებები და სხვა, რაც არ იქნება მიზანშეწონილი როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიური თვალსაზრისით. ამავე მიზეზით შეფერხდება ადგილობრივ სოც. უზრუნველყოფის განყოფილებების მუშაობა, გაძლიერდება ინვალიდთა და გაჭირვებულ პირთა უწესრიგო მიმოსვლა პერიფერიიდან ცენტრში, ცაკი, რომელიც ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა, დაიტვირთება ტეხნიკური მუშაობით, ხელიდან გამოგვეცლება სპეციალური საშუალებები, რომელსაც ჩვენ ვპოულობთ სხვადასხვა გზით და საშუალებებით, საბჭოთა ხელისუფლების მტრებს მივსცემთ საბაბს გამოიყენონ ეს შემთხვევა ჩვენს საწინააღმდეგოთ, პოლიტიკური კაპიტალის შესაძენათ და სხვა.

ერთი სიტყვით, რაციონალიზაციის და აპარატის გამარტივების მაგივრად მივიღებთ სოც. უზრუნველყოფის საქმის გაუარესებას და საბჭოთა ხელისუფლების პრესტიჟის დაცემას ფართო მასების თვალში. ყოველივე ამის თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცაკთან არსებულ „პატარა აპარატს" დაეკისრება არა მარტო 70.000 მანეთის განაწილება, არამედ მთელი იმ მრავალფეროვანი მუშაობის წარმოება, რომელიც ჩვენ ზემოთ ჩამოვთვალეთ. **მაგრამ მაშინ ამხ. რუბენმა უეჭველად ხელი უნდა აიღოს იმ 18.000 მანეთზედაც, რომლის დაზოგვა ვითომდა შესაძლებელი იქნებოდა სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის გაუქმებით.**

ამნაირად, სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის გაუქმება საქართველოში არაფრით არ შეიძლება გამართლებულ იქნეს. ამას ჩვენ გვალაპარაკებს არა უწყებრივი პატრიოტიზმი, არამედ სახელმწიფოს და პარტიის ინტერესი. ამხ. ლენინმა 1922 წელში სთქვა: „სოციალური უზრუნველყოფა ჩვენ გვესაჭიროება. მართალია, ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება საკმარისი საშუალებები იმისათვის, რომ სრულიად უზრუნველვყოთ ინვალიდები და მათი ოჯახები, მაგრამ, როგორც კი გვექნება ეს სახსრები, ჩვენ მას არ დავიშურებთ ამ მიზნისათვის".

ჩვენ ვფიქრობთ, რომ უკვე დადგა დრო, როდესაც უნდა ვიზრუნოთ სოციალურ უზრუნველყოფის ორგანოების გაუქმებაზე კი არა, არამედ მათ დახმარებასა, ხელის შეწყობასა და წინსვლაზე. ამას გულისხმობს ლენინის ზემოაღნიშნული სიტყვები, ამას გვიკარნახებს, სხვათა შორის, დღევანდელი გართულებული საერთაშორისო მდგომარეობა და ჩვენი ზურგის გამაგრების და განმტკიცების ინტერესი.

კ. ხომერიკი.

ამხ. კ. ხომერიკის პასუხის გამო

ამხ. ხომერიკს სოციალურ უზრუნველყოფის შესახებ აღძრულ საკითხზე მოჰყავს მთელი რიგი საწინააღმდეგო მოსაზრებები, რომელნიც შემდეგ ძირითად აზრს შეიცავენ:

1. ამხ. რუბენს წარმოდგენაც არა აქვს სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის მუშაობის შესახებ.
2. სოც. უზრუნველყოფის კომისარიატი ხელმძღვანელობს (საშუალებათა განაწილების გარდა) გლეხკომებს, აწყობს დამხმარე და ურთიერთ დამხმარე საზოგადოებებს, ეძებს და პოულობს წყაროებს საშუალებათა გასაძლიერებლად და სხვა.
3. ამხ. რუბენი შეუპყრია პესიმიზმსა და სასოწარკვეთილებას, „გაჭირვებაში ჩავარდნილ მასებს რწმენას უკარგავს თავის მდგომარეობის გაუმჯობესებაში" (თავბრუდამხვევი დასკვნა).
4. სოც. უზრუნველყოფის კომისარიატი ფიქრობს დამატებითი წყაროებიდან მიიღოს კიდევ 300.000 მანეთი.
5. ამხ. რუბენი „1926—27 წლის ბიუჯეტს 141.595 მანეთის რაოდენობით, სთვლის ნორმალურად" (არა ნაკლებ თავბრუდამხვევი დასკვნა).
6. ბიუჯეტით გადადებული 141.595 მანეთი არ არის რეალური. „რეალური ხარჯთაღრიცხვა არის 664.564 მანეთი პლიუს 300.000 მანეთი. მაშინ აპარატის ხარჯები იქნება 4 პროცენტი (თავისებური წარმოდგენა „რეალობაზე").
7. არ შეიძლება ცაკის დატვირთვა მუშაობით. გაქრება საშუალებები.
8. ამხ. რუბენის წინადადება ხელსაყრელია საბჭოთა ხელისუფლების მტრებისათვის.
9. მეტია წყლის ნაყვა 18 ათასი მანეთის დაზოგველისათვის.
10. რუბენის წინადადება ანგარიშს არ უწევს საერთაშორისო მდგომარეობას (!).

ასეთია ამხ. ხომერიკის საპასუხო წერილის „ათი მცნება".

წინასწარი შენიშვნები: ამხ. ხომერიკმა ვერ გააბათილა ციფრები, კრინტიც არ დასძრა ავტონომიურ რესპუბლიკების შესახებ მოყვანილ ცნობებზე; ამოიკითხა ის, რის შესახებაც ჩემს წერილში ერთი სიტყვაც არ არის დაძრული, და თავის დასაცველად მოიყვანა ისეთი განსაცვიფრებელი არგუმენტები, რომელთა ახსნა შეიძლება მხოლოდ პანიკური განწყობილებით.

„ნორმალური" ბიუჯეტის შესახებ

სად ამოიკითხა ამხ. ხომერიკმა, რომ მე 1926—27 წლის ბიუჯეტს „ნორმალურად" ვთვლი. სხვა სიტყვებით: მე ვსთვლი, რომ საჭიროება სოციალურუზრუნველყოფის დარგში 141.595 მანეთს არ აღემატება. საიდან გაჩნდა ასეთი თავბრუდამხვევი არგუმენტი? ამხ. ხომერიკის წერილის დაახლოვებით ერთი-მესამედი მიძღვნილი ამ საკითხისადმი. უპირველეს ყოვლისა, ამხ. ხომერიკს ესაჭიროება „უზრუნველჰყოს" თავისთავი იმის ამოკითხვის უნარით, რაც სწერია, და არ დასწეროს იმის შესახებ, რაც მე არ დამიწერია.

რისთვის დასჭირდა მას ასეთი არგუმენტი? იმისთვის, რომ მიჰქმალოს აღძრული საკითხის არსებითი მხარე. [illegible].

„რეალური" ბიუჯეტის შესახებ

ამხ. ხომერიკი რეალურ ბიუჯეტად სთვლის არა იმას, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით მიეცემათ კომისარიატისათვის, არამედ იმ ხარჯთაღრიცხვას, რომელიც მან შეადგინა და, რომელიც ალბად არ გავიდა: რეალურად სთვლის არა 141.595 მანეთს, არამედ 664.564 მანეთს. სწორედ საკვირვლად თავისებური მიდგომაა „რეალობისადმი". მე ეჭვი არ მეპარება, რომ უზრუნველყოფის საჭიროებისათვის კომისარიატს ესაჭიროება არა 600.000 მანეთი, არამედ მეტი, მაგრამ ჩემის აზრით, რეალურად ითვლება ის, რაც გაცემულია 1926—27 წლის ბიუჯეტით (დამატებითი, ბიუჯეტ გარეშე წყაროები რომ არ ჩავთვალოთ).

ამხ. ხომერიკი მსჯელობს რა რეალურად „რეალურ" ბიუჯეტზე, აკეთებს მეტად „რეალურ" დასკვნას:

„თუ მხედველობაში იქნება მიღებული ჩვენს მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვა 664.564 მანეთის რაოდენობით და ამ თანხას მივუმატებთ სოცუზრუნველყოფის კომისარიატის მიერ ნავარაუდევ შემოსავალს სპეც-საშუალებებიდან 300.000 მან., **მაშინ აპარატზე გაწეული ხარჯები იქნება 4 პროცენტი**" (ხაზგასმულია ჩემ მიერ რ.) **მაგრამ იძლევიან არა 600.000 მანეთს, არამედ 140.000 მანეთს.** ხომ არ შეიძლება დავემყაროთ იმ ხარჯთაღრიცხვას, რომელიც დამტკიცებული არ არის. შეიძლება უფრო შორს წასვლა და შემდეგის მტკიცება: თუ სოციალურუზრუნველყოფის კომისარიატი დედამიწის მარსთან შეხების შემდეგ მიიღებს კიდევ 600.000 მანეთს, მაშინ აპარატის ხარჯები იქნება არა 4 პროცენტი, არამედ 1 პროცენტზე ნაკლები. ამხ. ხომერიკო, ნუ მიფრინავთ მარსზე, დაეშვით ჩვენ ცოდვილ მიწაზე!

სპეციალურ საშუალებების შესახებ

იმ მიზნით, რომ გაამართლოს აპარატზე თანხების მიზანშეუწონელი ხარჯვა, ამხ. ხომერიკი ლაპარაკობს დამატებით საშუალებებზე, რომელთაც სოციალური უზრუნველყოფის სალარო 300.000 მანეთით უნდა შეავსონ. თუ ეს წმინდა შემოსავალია, თუ ამ 300.000 მანეთიდან საჭირო არ იქნება კიდევ დამატებით აპარატზე დამატებითი თანხების ხარჯვა,—ეს ძალიან კარგი ამბავია.—მაგრამ, პირველ ყოვლისა, ეს თანხა პრობლემატიურია, მეორეთ, იგი წარმატებით შეიძლება განაწილებული იქნეს იმავე შემოკლებული აპარატის საშუალებით, რომლის შესახებ მე ვწერდი. საეჭვოა, რომ ამ პრობლემატიურმა 300.000 მანეთმა გიხსნან თქვენ ამხ. ხომერიკო! თქვენ დაგვიმტკიცეთ რეალური ციფრების საშუალებით და არა ნავარაუდევი ციფრებით, რომ თქვენი აპარატი ნთქავს უფრო ნაკლებ თანხებს.

და, ბოლოს ინტერესს არ არის მოკლებული იმის გაგება, თუ როგორ იხარჯება არა საბიუჯეტო წყაროებიდან მიღებული თანხები. ოთხ თვეში, როგორც ამას გადმოგვცემს ამხ. ხომერიკი, (1926 წ. 1-ლ ოქტომბრიდან მიმდინარე წლის 1-ლ თებერვლამდე), მიღებულია 150.000 მან., რომლიდანაც სოც. უზრუნველყოფაზე დახარჯულია 80.000 მანეთი. სად არის დანარჩენი 70.000 მან.? არის თუ არა ის სოც. უზრ. სახ. კომისარიატის სალაროში თუ მისი ბედი ისეთივეა, როგორც იმ თანხების, რომლებსაც ის ბიუჯეტით ღებულობს? ძნელია არითმეტიკის დაძლევა, განსაკუთრებით სოც. უზრ. კომ. გადმოცემაში!

რეალური ციფრები

თვით ამხ. ხომერიკის რეალური ციფრი არის 18.000 მანეთის დაზოგვა აპარატის შემცირების საშუალებით. მე არ ვკისრულობ დავამტკიცო ამ ციფრის სისწორე. მაგრამ თვით ხომერიკმა დაასახელა იგი. ამასთან ერთად იგი წინადადებას იძლევა გვერდი ავუხვიოთ ასეთ დაზოგვას, რომ არ ჩაიშალოს მუშაობა სოციალურუზრუნველყოფის დარგში. დიდი ტანჯვა-წამების მიუხედავად, ჩემის აზრით, მან ვერ შესძლო დაემტკიცებინა ამ დაზოგვის მიზანშეუწონლობა, „ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობის გარეშე დარჩება საზოგადოებრივი ორგანიზაციები—გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტები, ინვალიდთა არტელები და სხვა". რატომ დარჩებიან ხელმძღვანელობის გარეშე? არ შეიძლება მარტო ლიტონი სიტყვებით მსჯელობა. საჭიროა ამის დამტკიცება. საჭირო, იყო ამხ. ხომერიკის კომისარიატის შტატის ანალიზის მოცემა, დამტკიცება, რომ ეს შტატი აუცილებელია, რომ ცაკთან მოწყობილი პატარა აპარატი ვერ შესძლებს საქმის გაძღოლას (განსაკუთრებით ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკებში,. ჩვენ დროში რომ ცარიელ სიტყვას არავინ არ უჯერის. თუ უზრუნველყოფის საქმე გადაეცემა ცაკთან მოწყობილ პატარა აპარატს (აპარატი, უმთავრესად კი მუშაობის სისტემა,—უსათუოდ უნდა იქნეს რაციონალიზაციქმნილი), მაშინ, ამხ. ხომერიკის თეორიის მიხედვით, დაიწრიტებიან სპეციალური საშუალებანი.

რატომ დაიწრიტებიან? განა ეს საშუალებანი, ყოველ შემთხვევაში, მათი ნაწილი, არ წარმოადგენს სხვადასხვა ორგანიზაციების კანონიერი ანარიცხების ნაყოფს?

სიტყვა-სიტყვით ამხ. ხომერიკის ყველა მოსაზრებები, აგებულია ამ ნავარაუდევ ციფრებზე, ან ლიტონ სიტყვებზე, რომლებიც არავის არაფერს არ ეუბნებიან. მისი დასკვნები ყოველ შემთხვევაში ისეთივე რეალურია, როგორც „რეალურიც" არის ამხ. ხომერიკის ბიუჯეტი. ხოლო 18.000 მან. (თუ მეტი არა) ეს კი რეალური ციფრია.

არ შეიძლება, ამხ. ხომერიკო, ათასების ასე გულგრილად ფანტვა. აპარატის გამარტივების საშუალებით დაზოგვის შესახებ ლაპარაკი ხომ ცარიელი სიტყვები არ არის, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა ის, რომ გადახალისებული, განმარტივებული, რაციონალიზაციაქმნილი აპარატი ისეთივე წარმატებით უხელმძღვანელებს ინვალიდთა არტელებს, საზოგადოებებს და სხვას.

საჭიროა აღმოფხვრილ იქნას კონსერვატიული შეხედულება აპარატის გამარტივების შესახებ. ამხ. ხომერიკმა ხომ ერთი კრინტიც არ დასძრა თავისი აპარატის გამარტივების და შემცირების შესაძლებლობის შესახებ? თითქოს ყველაფერი რიგზეა. აპარატი სრულყოფილია. საქართველოში საბიუჯეტო თანხებიდან აპარატზე იხარჯება 60.000 მანეთზე მეტი, ამ აპარატით კი ნაწილდება 80.000 მანეთი. რაც შეეხება 18.000 მანეთის შესაძლებელ დაზოგვას, ეს ისეთი წვრილმანია, რომ მასზე ლაპარაკიც არ ღირს.

ეს არის კონსერვატიზმი, ჩამორჩენილობა, აპარატით გატაცება.

შტატები.

უკეთესია ვილაპარაკოთ პრაქტიკული ენით. ჩვენ წინ არის ცენტრალურ სახალხო კომისარიატის შტატები. საინვალიდო სახლის გარეშე—22 კაცი. ამ 22 კაცზე—არის სახ. კომისარიც, მისი **მოადგილეც** და მათ გარდა კიდევ სამი განყოფილების გამგე (ადმინისტრატიულსამეურნეო, სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილება და საზოგადო ურთიერთ დახმარების განყოფილება).

განა არ შეიძლება მოადგილის თანამდებობის გაუქმება და მისი მოვალეობის დაკისრება განყოფილების ერთ-ერთ გამგეზე? შტატში არის 22 კაცი, ხოლო თვითეულ განყოფილებაში საკუთარი საქმისმწარმოებელი. არ შეიძლება ერთი საქმისმწარმოებლით დაკმაყოფილება?

საზოგადოებრივი ურთიერთ დახმარების განყოფილებაშია 4 კაცი, განყოფილების გამგის გარდა, **კიდევ ერთი კოლეგიის წევრი**. არ შეიძლება, რომ საჭირო არ გახდეს კოლეგია რამდენიმე არტელისა და ორი-სამი საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახელმძღვანელოდ? ხოლო კოლეგიის ერთ წევრს გარდა, **კიდევ ერთი ინსტრუქტორი** (!). არის აგრეთვე ინსტრუქტორი სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაშიც. ხომ ხელგაშლილობაა ეს, ამხ. ხომერიკო? ჩვენ აღარ ვლაპარაკობთ განკვეთებზე და ჯამაგირებზე. აქ, რასაკვირველია, ყველაფერი ჩვეულებრივ სახალხო კომისარიატისებურადაა. უდავოა, რომ საკმაოდ ბევრად შეიძლება აპარატის შენახვის ხარჯების შემცირება. ხოლო თუ მოვხსნით სახალხო კომისარიატის აზრს და ცაკთან ვიყოლიებთ პატარა აპარატს, მაშინ, შესაძლებელია, ზედმეტი გახდეს ბუხჰალტერიაც და სამეურნეო განყოფილების გამგეც. იგივე დანიშნულების შესრულება, და საკმაო წარმატებითაც, შეუძლია [illegible] სამეურნეო-ტეხნიკურ აპარატს ცაკთან. დაზარალდება ამით სოციალური უზრუნველყოფა? პირიქით, არა თუ არ დაზარალდება,—**მოიგებს კიდეც.**

ჯილდოს ღირსი არგუმენტი.

მე ჩემს წერილში ვწერდი: „...თანხები, რომლებსაც ნთქავს აპარატი, უფრო მეტის რაოდენობით და უფრო მიზანშეწონილად განაწილდება ინვალიდებში, რევოლიუციისათვის მებრძოლთა ოჯახებსა და სხვ. შორის".

ამხ. ხომერიკი მიპასუხებს:

„ამხ. რუბენის წერილი ჩვენი ღრმა რწმენით, სასოწარკვეთილების და პესიმისტური იერის მატარებელია. ეს წერილი გაჭირვებაში ჩავარდნილ მასებს რწმენას უკარგავს თავის მდგომარეობის გაუმჯობესებაში".

წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია... „ხაბუდისწერი" არგუმენტი. პესიმიზმი, სასოწარკვეთილება, „რწმენის დაკარგვა" სოციალურ უზრუნველყოფაში. გასაკვირია, რატომ ამხ. ხომერიკმა, ჩემი წერილის საფუძველზე, არ დამაბრალა, ვსთქვათ, ტროცკიზმი, რწმენის დაკარგვა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობაში, ან ჩინეთის რევოლიუციის ჩაქრობის ცდა, ან და კაპიტულაციის სურვილი სეით დევლარიანის წინაშე. თუ სერიოზულ წერილში შეიძლება ლაპარაკი ისეთ უბრალო რამეზე, როგორიც, მაგალითად, იმ გროშების წართმევა გაჭირვებულ მასებისაგან, რომლებსაც ისინი ღებულობენ, რატომ არ შეიძლება ვილაპარაკოთ კეთილი იმედის კონცხზე, ჯაზ-ბანდზე „ორიანტ"-ის რესტორანში, ან და „შიშველა" ბალეტზე „სამსონ და დალილა"-ზე? მეტი, რომ არ ვსთქვათ, სუსტია ამხ. ხომერიკო.

საერთაშორისო და შინაურ გართულებებზე.

ამხ. ხომერიკის წერილში არის ისეთი „საშინელი" რამე, როგორც „პოლიტიკური კაპიტალის შეძენა ჩვენი შინაური მტრების მიერ" და „ზურგის გამაგრების საჭიროება გართულებულ საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით"... თუ ჩვენ გავამარტივებთ და გავაიაფებთ სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის აპარატს.

ძალიან შეტოპეთ და შორს წახვედით, ამხ. ხომერიკო, და, ბოლოს რა საჭიროა ჩვენი დიპლომატიური საიდუმლოების ასე აშკარად გამხელა?.. რომ მართლა შევამციროთ და გავამარტივოთ? მაშინ ხომ ჩემბერლენს მიემატება კიდევ ერთი არგუმენტი დამოკიდებულების შესწყვეტისათვის საბჭოთა კავშირთან.

საჭიროა სიფრთხილე, ამხ. ხომერიკო.

ბიუროკრატიული პასუხი

ამხ. ხომერიკის პასუხი, ჩვენის აზრით, არის, არც მეტი, არც ნაკლები,—ბიუროკრატიული პასუხი. მრავალია ზედმეტი დასმული საკითხის მისაჩქმალავად, მრავალია საერთო მსჯელობა, ფაქტიური დაუსაბუთებლობა, პროცენტული გამოანგარიშება არ არსებულ, არა რეალურ ციფრებიდან, საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა, ერთი სიტყვით ყველაფერი,—**გარდა აპარატის გამარტივების პრობლემისა.** ამაზე არც ერთი სიტყვა.

ამხ. ხომერიკის პასუხი ძალიან დამახასიათებელია. ამ პასუხში ამხ. ხომერიკმა ასახა ის წინააღმდეგობის ელემენტები რომლებიც ასე გავრცელებულნი არიან ჩვენს სახელმწიფო აპარატში. ამხ. ხომერიკი თავის აპარატის ტყვეობაშია. ჩვენ მიზანშეწონილად ვსთვლით პრაქტიკულად დავსვათ საკითხი ამ აპარატის გამარტივების შესაძლებლობის შესახებ, რომლის დანიშნულებასაც სოციალური უზრუნველყოფა შეადგენს.

რაც შეეხება მორალს იმის შესახებ, რომ „სხვა დასკვნის გაკეთება კომუნისტს, საბჭოთა ხელისუფლების მოამაგეს და მოჭირნახულეს, არ შეუძლია" (ლაპარაკია ამხ. ხომერიკის დასკვნებზე)—მორალზე მადლობელი ვარო. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ კომუნისტური მორალი, პარტიის მიერ დასმულ სერიოზულ საკითხის განხილვის დროს მოითხოვს არა ბიუროკრატიულ პასუხს, არა ჩინოვნიკურ თვით კმაყოფილებას, არამედ პრაქტიკულ საქმეს აპარატის გამარტივებისათვის. რაც შეეხება ჩემს „უზრდელობას" სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მუშაობის საკითხზე, მე დიდ ბოდიშს ვიხდი ამხ. ხომერიკის წინაშე და შევეცდები, თუ კომისარიატი შემდეგშიც იარსებებს, **დაწვრილებით გავეცნო მას.**

რუბენ.

პარტიული ცხოვრება

თბილისის კომიტეტის პლენუმი

მეორე სხდომა

პლენუმის გუშინდელ სხდომაზე გაირჩა ორი საკითხი: 1) ეკონომ. და საწარმოო თათბირების შესახებ და 2) საბჭოების გადარჩევების კამპანიის მსვლელობის შესახებ თბილისში და მის მაზრაში. პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ყურულაშვილი.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ გასული წლის ბოლოს თბილისში ეკონომ. და საწარმოო თათბირები მუშაობდენ სულ 135 წარმოება-დაწესებულებასთან. თათბირების მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 25.000 მუშა-მოსამსახურე. მთელი წლის განმავლობაში მოხდა 376 სხდომა, რომლებზედაც დასწრეთა რიცხვი უდრიდა 14.500 კაცს. განათლების და ხელოვნების მუშაკთა კავშირებში, საწარმოო თათბირები სრულიად არ მუშაობდენ.

ეხება რა საწარმოო და ეკონომ. თათბირთა წინადადებების ცხოვრებაში გატარებას, მომხსენებელი ამბობს, წინადადებების უმეტესი ნაწილი გატარდენ ცხოვრებაში და კარგი ნაყოფიც გამოიღეს. ასე მაგ. ა.-კ. რკ. გზათა მთავარ სახელოსნოში საწარმოო თათბირის წინადადებათა განხორციელებამ ერთი წლის განმავლობაში მოგვცა 80.000 მანეთის ეკონომია.

მიღწევები მრავალია,—განაგრძობს ამხ. ყურულაშვილი, მაგრამ მათი ჩამოთვლა დიდ დროს წაგვართმევს და მაინცდამაინც არც იმდენათ საჭიროა.

შემდეგ მომხსენებელი გადადის იმ ნაკლულოვანებათა დახასიათებაზე, რომლებსაც ადგილი აქვთ საწარმოო თათბირების მუშაობაში. ძირითად ნაკლად ორატორს მიაჩნია საწარმოო თათბირთა ქსელის სივიწროვე. წინად, ამბობს მომხსენებელი, კავშირები თათბირებს აწყობდენ მხოლოდ ისეთ წარმოება-დაწესებულებაში, სადაც თანამშრომელთა რიცხვი 50-ს აღემატებოდა. ასეთი წარმოებები კი საქართველოს სინამდვილეში ძალიან ცოტაა, რის გამოც ეკ. და საწ. თათბირების რიცხვი ფრიად განსაზღვრული იყო. ამ ნაკლის გამოსასწორებლად ს. პ. კ. საბჭომ მისცა კავშირებს დირექტივა, რომლის მიხედვითაც საწ. თათბირი უნდა დაარსდეს ყველა იმ წარმოება-დაწესებულებასთან, სადაც არის პროფუჯრედი. განათლების მუშაკთა კავშირში ჯერ-ჯერობით მაინც არ მოხერხდა ამ თათბირების ჩამოყალიბება, თუმცა ამ კავშირში არიან ისეთი სამეურნეო ორგანოები, როგორიცაა გამომცემლობები, რომლებიც ყველაზედ მეტად საჭიროებენ რაციონალიზაციას.

ზოგ ადგილებში შემჩნეულია საწარმოო თათბირთა მუშაობის მხოლოდ კომისიების მუშაობით შეცვლა. ეს უარყოფითი მოვლენაა და მას უნდა ვებრძოლოთ, საწ. თათბირთა მუშაობა უნდა იყოს მასიური. საჭიროა ცეხური თათბირების შექმნა, გარდა რკ. გზელთა კავშირისა ასეთი ჩვენ ჯერ არა გვაქვს. თათბირების მუშაობაში გასული წლის მეორე ნახევრამდე არ იყო გეგმიანობა და თანმიმდევრობა, რის გამოც საკითხების გარჩევა ატარებდა შემთხვევით ხასიათს და გადაწყვეტილებები დაუმუშავებელი იყო. 26 წ. მეორე ნახევრიდან ჩვენ ვხედავთ ცდას ამ ნაკლულოვანების აღმოსაფხვრელად.

რომ საწ. და ეკ. თათბირების მუშაობა წარმატებით მიმდინარეობდეს, ამისთვის საჭიროა პროფკავშირების, სამ. ორგანოების მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ჩვენი პრესის დახმარება. მ. და გ. ინსპექცია დღემდე არავითარ მონაწილეობას არ იღებდა ამ მუშაობაში, პრესაც არ ათავსებდა სათანადო მასალებს, საჭიროა ამ ნაკლის გამოსწორება.

შემდეგ მომხსენებელი ჩერდება იმაზე, რომ გამომგონებლებს არ ექცევა სათანადო ყურადღება, მისი აზრით საჭიროა გამომგონებელთა ჯილდოებისათვის სპეც. ფონდების შექმნა.

ს. პ. კ. საბჭო, ამბობს მომხსენებელი, ყოველგვარ ზომებს ღებულობს საწარმოო თათბირთა მუშაობის გასაძლიერებლად; იძლევა დირექტივებს, ისმენს ანგარიშებს, რომელთა გარშემო გამოაქვს კონკრეტიული ღონისძიებები, მაგრამ რამდენად ტარდება ეს ღონისძიებები ადგილებზე ჯერ-ჯერობით შემოწმებული არ არის.

დასასრულ მომხსენებელი გამოსთქვამს იმედს, რომ სამ. მუშაკების, მ. და გ. ინსპექციის და პრესის დახმარებით საწარმოო ეკ. თათბირთა მუშაობა გაცხოველდება, რაც უაღრესად ხელს შეუწყობს ჩვენი წარმოება-დაწესებულებების სათანადო სიმაღლეზე დაყენებას.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდა 4 ამხანაგი, რომლებმაც უმთავრესად ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ პასუხისმგებელი მუშაკები ანგარიშს არ უწევენ საწარმოო თათბირთა მუშაობას. ამხ. ჩოდრიშვილი შეჩერდა გამომგონებელთა საკითხზე და აღნიშნა, რომ მათთვის საჭიროა ტეხნიკურ ლიტერატურის შექმნა და ფიზიკ. კაბინეტის დაარსება.

საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებულ იქმნა შესაფერი რეზოლიუცია.

მეორე საკითხის—საბჭოების გადარჩევის კამპანიის შესახებ—მოხსენება გააკეთა ამხ. სვანიძემ.

მიმდინარე გადარჩევის დამახასიათებელ მოვლენაა—დაიწყო მომხსენებელმა, მოსახლეობის ყველა ფენათა გაზრდილი აქტივობა. განსაკუთრებით გაიზარდა მუშების აქტივობა ქალაქში და სოფლად კი—მოჯამაგირეების. ანტისაბჭოთა ელემენტების გამოსვლები—არაა შემჩნეული, რაც იმას ამტკიცებს, რომ მათ აღარა აქვთ გავლენა.

თუ ავიღებთ ცალ-ცალკე სოფელსა და ქალაქს, ჩვენ გვექნება შემდეგი სურათი:

ქალაქში—საარჩევნო უფლება წართმეულია მოსახლეობის 10 პროც.. მუშური მასა იჩენდა დიდ აქტივობას, მათი დასწრება უდრიდა 90 პროც.; მოსამსახურეთა დასწრება აღწევდა 70 პროცენტამდე. არაჩვეულებრივად გაზრდილია ქალების აქტივობა. ხელოსნების მასამ, წარსულთან შედარებით, გამოიჩინა დიდი აქტივობა. წინასწარი გამოანგარიშებით საბჭოში არჩეულია—479 დეპუტატი, აქედან: პარტიულები 52 პროც., კომკავშირელები 9.6 პროც. და უპ. 38 პროცენტი.

სოფლად—გასულ წელში საარჩევნო უფლება წართმეული ჰქონდა მხოლოდ 0,8 პროც.. წელს დახლოვებით პროცენტი იქნება 2-3. განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა ღარიბთა კრებების წინასწარ მოწვევის სისტემა. გლეხობის ყველა ფენები იჩენენ დიდ აქტივობას. დიდ აქტივობას იჩენს კულაკიც, მაგრამ სწორი პარტ ხელმძღვანელობისა და ღარიბი და საშ. გლეხების კავშირის წინააღმდეგობის გამო იგი არჩევნებიდან დამარცხებული გამოვიდა.

საარჩევნო კრებებზე დასწრება უდრიდა 45-48 პროც., ზოგ თემებში 55-მდე აღწევდა. ყარაიაზის გამოკლებით უჩვეულო აქტივობას იჩენენ ქალები. სოფ. საბჭოების შემადგენლობის ცვლილება წინასწარი ციფრებით ასეთია: წინად იყო ქალები 5.7 პროც.. ეხლა 15.9 პროც., პარტიულები—20 პროც., ეხლა—23 პროც., კომკავშირელები—6.5 პროც., ეხლა—7.5 პროც.

ამხ. სვანიძის მოხსენების გარშემო რეზოლიუციის მიღების შემდეგ თბ. კომიტეტის პლენუმი დაიხურა.

ქ. სურმუშელი.

პლენუმის რეზოლიუცია

საბჭოთა გადარჩევის კამპანიის წინასწარი შედეგების შესახებ ქ. თბილისში და მის მაზრაში

მოისმინა რა ამხ. სვანიძის მოხსენება საბჭოთა გადარჩევის კამპანიის წინასწარი შედეგების შესახებ, საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის მეორე პლენუმი აღნიშნავს:

1. საბჭოთა გადარჩევის მიმდინარე კამპანიამ ცხადჰყო მუშურ-გლეხური მასების აქტივობის ზრდა, ხელი შეუწყო საბჭოების ჭეშმარიტ განმტკიცების და გაუმჯობესების საქმეს და საბჭოების გარშემო ქალაქის და სოფლის მშრომელ მასების შემოკრებას.

2. მუშათა მასების აქტივობამ ქალაქში, ღარიბი გლეხობის და მოჯამაგირეების აქტივობამ სოფლად პარტიის ხელმძღვანელი როლის გაძლიერებასთან ერთად უზრუნველყო პროლეტარული ხელმძღვანელობა საბჭოთა გადარჩევის მსვლელობაში.

3. ქალაქში საგრძნობლად გაიზარდა შეუკავშირებელ ჯგუფების და წვრილი ბურჟუაზიის მშრომელ ფენების (მუშების ცოლების, ხელოსნების, შინამრეწველების და სხვ.) მონაწილეობა საბჭოთა არჩევნებში. შეუკავშირებელ ფენების მონაწილეობა 50-60 პროცენტს აღწევს. შეუკავშირებელ ფენების ხარჯზე ქალაქში გაიზარდა ამომრჩეველთა რაოდენობა (104 ათასიდან 145 ათასამდე), რაც უნდა აღინიშნოს, როგორც განსაკუთრებული მიღწევა.

4. პარტიული ხელმძღვანელობა საბჭოებისგადარჩევის კამპანიის მსვლელობაში საგრძნობლად გაძლიერდა. პარტიულმა ორგანიზაციებმა თავის დროზე გაითვალისწინეს წარსული საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელობის ნაკლულოვანებანი და ეხლანდელ არჩევნებში უფრო მომზადებული და შეკავშირებული გამოვიდნენ. მოსამზადებელი კამპანიის პროცესში პარტორგანიზაციებმა შესძლეს მუშათა მასების, ღარიბი გლეხობის, მოჯამაგირეების და საშუალო გლეხობის შემოკრება პარტიის გარშემო და პარტიული ხელმძღვანელობის ხაზის სისწორით გატარება საარჩევნო კრებებზე (კანდიდატების წამოყენება უჯრედის სახელით მათ დასაცავად გამოსვლა და სხვ.) ყოველგან მოსამზადებელი კამპანიის პერიოდში ქალაქად მოწვეული იყო მუშათა აქტივის წინასწარი საარჩევნო კრებები, სოფლად კი—ღარიბი გლეხობის და მოჯამაგირეების, აგრეთვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციების (პროფკავშირების, გლეხკომების, კომკავშირის, ქალთა განყოფილებების და სხვ.) კრებები.

5. საარჩევნო უფლებების წართმევა საარჩევნო ინსტრუქციის თანახმად საერთოდ სწორად იქმნა ჩატარებული, რამაც ხელი შეუწყო ქალაქად ბურჟუაზიულ ელემენტების და სოფლად კულაკების პოლიტიკურ გარიყვას. მაგრამ მაზრის ცალკე თემებში ინსტრუქციის გაფართოვებულმა გაგებამ გამოიწვია საშუალო გლეხობის ნაწილისათვის საარჩევნო უფლებების წართმევა, რაც შემდეგში გამოსწორებული უნდა იქნეს.

6. კულაკურ ჯგუფების აქტივობას, მათ გამოსვლას არჩევნებში ღირსეული წინააღმდეგობით ხვდებოდა ღარიბ და საშუალო გლეხობის ბლოკი. ასეთ პოლიტიკურ პირობებში ანტისაბჭოთა გამოსვლებს საბჭოთა გადარჩევის პროცესში ადგილი არ ჰქონია. უკეთესს რა წინასწარ ჯამს მიმდინარე საბჭოთა გადარჩევის კამპანიას, თბილისის კომიტეტის მე-2-ე პლენუმი აღიარებს, რომ პარტიულმა ორგანიზაციამ შეასრულა პარტიის ძირითადი დირექტივები საბჭოთა გადარჩევის შესახებ და მის შემდგომ ამოცანებს გადარჩევის დამთავრების და საბჭოების ახალ შემადგენლობათა მუშაობის საქმეში წარმოადგენენ:

1. შეუსუსტებელი ყურადღება და ხელმძღვანელობა არჩევნებისადმი კამპანიის დამთავრებამდე, საბჭოების გარშემო მასების ფართოდ შემოკრების და თვით საბჭოების შემადგენლობის გაუმჯობესების მიღწევა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოთა სათემო და სამაზრო-საქალაქო ყრილობების მომზადებას და ჩატარებას, საბჭოს სახელმძღვანელო სამუშაოზე უპარტიოების ახალი კადრების წამოყენებას, აღმასკომის მიერ ყრილობებისათვის ანგარიშის ჩაბარება.

ყრილობებმა მაქსიმალური ყურადღება უნდა მიაქციონ მშრომელთა ხმას.

თემაღმასკომების და თბილისის აღმასკომის შემადგენლობაში დაახლოვებით ერთ მესამედს უნდა შეადგენდენ უპარტიო გლეხები და მუშები.

2. ახალი საბჭოების მუშაობის გამოცოცხლება უნდა წარმოადგენდეს პარტიული ორგანიზაციის მთავარ ამოცანას, ახალი საბჭოები უნდა იქცენ სოციალისტური მშენებლობის კიდევ უფრო ძლიერ ბერკეტებად. საბჭოების მუშაობა დაკავშირებული უნდა იქნეს მუშათა და გლეხთა მასების ყველა ორგანიზაციებთან: პროფკავშირებს, კოოპერატივებს, გლეხკომებს და სხვ. მუშაობასთან. საბჭოები სულ უფრო და უფრო უნდა იქცენ მთელი მუშურ-გლეხური საზოგადოებრიობის ორგანიზაციულ-პოლიტიკურ და სამეურნეო ცენტრებად.

ა.-კ. აგიტპროპ-ს განყოფილებათა გამგეების თათბირი

მე-5 სხდომაზე მოხსენებით პარტაქტივის მუშაობის შესახებ გამოვიდა ამხ. ფუქსი. მომხსენებ. დაასურათა ბაქოს პარტორგანიზაციის მიერ პარტაქტივთან ჩატარებული მუშაობა.

მთელ პარტიულ აქტივს მომხსენებელი ჰყოფს სამ ძირითად ჯგუფად: პირველი ჯგუფი—აქტივის ზედაფენა, ყველაზე მომზადებული ნაწილი, პასუხისმგებელი მუშაკები და სხ.; მეორე ჯგუფი—რაიონული მასშტაბის მუშაკთა აქტივი და, ბოლოს, მესამე—უჯრედის დაბალი აქტივი.

ძირითადი მუშაობა პარტაქტივთან ტარდება კრებებზე და წრეებში. რაიონულ კრებებზე დაისვა და განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორიც, მაგალითად, სამუშაო ხელფასის საკითხი, კოლექტიური ხელშეკრულებები და სხ.

სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული წრეების მუშაობა. მთელი რიგი წრეები არჩევენ ლენინიზმის, მიმდინარე პოლიტიკის საკითხებს და სხ. ზოგიერთი წრეები ამუშავებენ სამეურნეო მშენებლობის საკითხებს.

ბაქოს ორგანიზაციაში არის 75 ასეთი წრე, რომლებიც 1.465 მეტ მსმენელს აერთიანებენ. გარდა ამისა საღამოს და დილის სკოლებში მეცადინეობს 500 მეტი კაცი.

უჯრედის აქტივის მუშაობა ტარდება უმთავრესად, უჯრედის ყოველგვარ კომისიებში, ქვედა აქტივი მზადდება აგიტატორთა წრეების გზით და სხ. საგრძნობია, აგრეთვე, უჯრედის აქტივის გაძლიერებული ლტოლვა პოლიტსკოლებში.

მომხსენებელი წინადადებას იძლევა, რომ მთელი ამიერ-კავკასიის სიმართ გამოყენებულ იქნას ბაქოს ორგანიზაციის გამოცდილება პარტაქტივთან მუშაობის დარგში.

ამხ. ფუქსის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. გიულმანოვმა, ბუდილევმა, შაბაევმა, ლისოვსკიმ, დანიელიანმა, შლემოვმა და სხ.

თათბირის საღამოს სხდომამ განიხილა განათლების სახალხო კომისარიატების ხელმძღვანელობის საკითხები საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებების მიერ, ადგილებზე ა. კ. კომ. უნივერს. სტუდენტთა გამოყენებისა და მომავალ სასწავლო წლისთვის სახელმწიფო გამომცემლობათა მომზადების საკითხი და სხ.

განათლების სახალხო კომისარიატებზე ხელმძღვანელობის საკითხის გარშემო თათბირმა დაადგინა მიიღოს ზომები იმისთვის, რომ ცხოვრებაში გატარდეს გან. სახ. კომისართა თათბირის რეზოლიუციები, და მათი მუშაობა მოაქციოს თავისი ზედამხედველობის ქვეშ.

სასწავლო წლისთვის სახელმწიფო გამომცემლობათა მომზადების საკითხის გარშემო თათბირმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნავს, რომ გასულმა სასწავლო წელმა ჩაიარა ადგილობრივ ენებზე შედგენილ სასწავლო ნივთების არა თავის დროზე მომარაგების პირობებში.

მომავალ სასწავლო წლისთვის მოსამზადებლად და თავის დროზე სასწავლო წიგნების გამოსაშვებად თათბირმა საჭიროდ სცნო, რომ როგორც სარედაქციო შემადგენლობა, ისე სტამბებიც საკმაოდ განტვირთულ იქნან 1927 წლის 1-ლ აპრილისთვის.

ამავე დროს ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებას და ქალაქის კომიტეტებს წინადადება ეძლევათ წარადგინონ სახელმწიფო გამომცემლობებში გამომცემლობის ექვსთვიური გეგმები, რომლებშიაც ჩამოთვლილ უნდა იქნას საჭირო სამეცნიერო წიგნები.

ამასთან ერთად, უნდა გამოიყოს კომისიები, რომლებიც გადაათვალიერებენ დღემდე გამოცემულ სასწავლო წიგნებს პირველ და მეორე საფეხურის სკოლებისთვის, მუშათა, პარტიულ. პროფესიონალურ განათლებისთვის და სხ.

ორშაბათს, 21 თებერვალს, საღამოს 6 საათზე,
ლენინის რაიონში პლეხანოვის სახ. კლუბის სალექციო დარბაზში შესდგება

თბილისის ახალგაზრდების რწმუნებულთა თათბირი

დღის წესრიგი:

1) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე;
2) უჯიფ. მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილების მუშაობის წლიური ანგარიში;
3) მომავალი სამუშაო გეგმა და
4) მიმდინარე საკითხები.

საბჭოთა საქართველო

წერილები

ამხ. ფილიპეს სახელობის სახლი

(წერილი ქიზიყიდან)

მაჩხაანში არ არის დარჩენილი არც ერთი დარგი სოფლის მეურნეობისა, რომ ხელისუფლებას სათანადო და საჭირო ხელმძღვანელობას არ უწევდეს.

ჩვენს კუთხეს დღეს ამშვენებს სასოფლო-სამეურნეო მომხმარებელი და საკრედიტო ამხანაგობები. სოფლის მცხოვრებნი მეტად გაუმჯობესებულ პირობებში გრძნობენ თავს გზების და წყლების გაყვანით. ამ მხრით დღეს მაჩხაანი არ ჩამორჩება სხვა დაწინაურებულ მხარეებს

ჯერ კიდევ 1922 წელს, შუაგულ ქიზიყში ქვემო მაჩხაანში, დაწყებულ იქნა უზარმაზარი სახლის აგება, რომლის მსგავსი არამც თუ ისეთ სოფელში, როგორც მაჩხაანია, არამედ სხვა მაზრებშიც იშვიათია. შენობა უკვე დახურულია და დღეს მუშაობა სწარმოებს შიგნით მოსაწყობათ, რაზედაც ენერგიულად მუშაობს საამშენებლო კომისია.

ვინაიდან შენობა მეტად დიდია,—განზრახულია მის ნახევარში მოთავსდეს შვიდწლიანი სკოლა, ხოლო ნახევარი დარჩეს სახალხო სახლად.

31 წლის წინეთ, როცა ამხ. ფილიპე მახარაძე მუშაობდა ქვემო მაჩხაანში, განზრახული იყო აეგოთ აქ სახალხო სახლი, მაგრამ ასეთი ვერ მოხერხდა მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზების გამო. იმ იდეას, რომელიც 1896 წელს ვერ განხორციელდა, საძირკველი ჩაეყარა 1922 წელს და განხორციელდა 1927 წელს. სახლის აშენებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ქიზიყის შრომელ ხალხს და ის მომავალშიაც არ დაიშურებს თავის წვლილის ამ საგანზე გაღებას.

იანვრის 8-ს შესდგა საამშენებლო კომისიის სხდომა, სადაც დაესწრნენ: სოფლის საბჭოს წევრები და რაიონში მომუშავე ამხანაგები. კრებამ გამოიტანა დადგენილება, რომლითაც სახალხო სახლის ყოველ მხრივ მოწყობა უნდა დამთავრდეს მიმდინარე წელს და სახლის ნახევარი დაეთმოს შვიდწლიან სკოლას, ხოლო სახელად ერთსაცა და მეორესაც დაერქვას „ფილიპე მახარაძის სახელობის“ სახლი, იმ ფილიპე მახარაძის, რომელსაც რამდენიმე წელი უმუშავნია ამ რაიონის ხალხის გათვითცნობიერება-გარევოლიუციონერებაში.

დადგენილება კრების მიერ ერთხმად და მხურვალე ტაშით იქნა მიღებული.

ქიზიყოშვილი.

მკითხავების მსხვერპლი

(დიდი-ჯიხაიში, ქუთ. მ.)

მკითხაობა რომ სარფიანი ხელობაა, ეს უკვე კარგა ხანია ცნობილია. სხვისი გულის მესაიდუმლეობა, იმის ცოდნა და გაგება, რაც სხვას ძილშიაც არ მოეჩვენება, აი რას იჩემებენ ყოველთვის მკითხავები და მათ შორის,—რასაკვირველია, დიდი ჯიხაიშის მკითხავებიც. განსაკუთრებით გაწვრთნილი აქვთ ხელი აქაურ მარჩიელებს ბოროტმოქმედთა ძებნაში. ნემსი ისე არ დაიკარგება ჯიხაიშში, რომ ჩვენმა მკითხავებმა არ განიშნონ, ვინაა მისი ქურდი.

„შენი საქონელი წაილო ქერივმა, შავგვრემანმა ქალმა. შენი ცხენი წაიყვანა ორშვილიანმა, ქერა კაცმა. შენი თავშალი მოიპარა ჭაღარა დაელმამ ქალმა“ და ასე დაუსრულებლივ. აი ჩვეულებრივი პასუხი, რომელსაც აძლევს საზოგადოთ მარჩიელი დაზარალებულებს. ამის შემდეგ იწყება მითქმა-მოთქმა, ეჭვი და თვალ-თვალი. თუ მარჩიელმა ქურდათ შეიცნო ორშვილიანი ქერა კაცი, ყველა ქერამ, ვისაც ორი შვილი ჰყავს და ვისაც ოდესმე დაზარალებულის მახლობლათ კი გაუვლია, სადმე თავი უნდა შეაფაროს, თორემ ეჭვი არ უნდა, რომ ის უთუოდ მოხვდება [illegible] საბრალმდებლო სკამზე.

ამნაირ „ცეცხლში“ ჩავარდა ამას წინათ ერთი აქაური ოჯახი. ოლია და შურა ნუცუბიძეებს დაეკარგათ ოქროულობა. ხელად მარჩიელი დ. [illegible] ჯანი. გადიშალა ბანქო, შეიქნა „ჩათქმები და ამოთქმები“, ბოლოს მარჩიელმა, ისეთი ნიშნები ამოშაქრა, რომ ოღონდ ადექი წადი, ქურდს ნაქურდალით პირდაპირ თავზე წაადგები.

დიდ ხანს არ გაუვლია, რომ შურამ და ოლიამ მთელ კუთხეს მოსდევს: „ძმამ და რძალმა დაგვკლა უდანოთ, მაგათ მოგვპარეს ჩვენი სარჩო საბადებელიო“. საბუთიც მზათ ჰქონდათ: „მარჩიელის ნიშნები“.

როგორც გინდა იმართლე თავი ამ ბრალდებიდან. ბევრს ვერაფერს გახდები. მარჩიელმა ყველაზე უკეთ იცის ვინცაა დანაშავე, მარჩიელი ტყუილ-უბრალოთ არავის არაფერს შესწამებს.

თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ, რომ გაიგოს ჯიხაიშელ მარჩიელების ამგვარი გულთმისნობა, ყველა მძებნარ ძაღლებს შტატის შემცირებაში მოაყოლებდა. ჯერ-ჯერობით ადგილობრივი ხელისუფლება იმდენ ყურადღებას მაინც იჩენს მარჩიელებისადმი, რომ მათ ამბავსაც კი არ კითხულობს.

ქურდებათ მონათლული გლეხები კი დარცხვენილი დაიარებიან. ვინ, აბა როგორ უნდა დააჯერონ მათ თავიანთ უდანაშაულობაში. რით უნდა შეაჩერონ მათ ჭორიკანა სოფლის ენა? იქნებ ამაზე მაინც გასცეს პასუხი ადგილობრივ ხელისუფლებამ.

მეჯა.

„განახლების“ მუშაობა

(თამაკ. თემი, სენ. მაზ.)

არც ისე დიდი ხანია, რაც თამაკონის თემში დაარსდა კოოპერატივი „განახლება“. მას თავიდან დაეტყო რიგიანი მუშაობა და გახსნა განყოფილებები დიდი ჭყონში და კურზუში. შემოდგომის პერიოდში კი კოოპერატივს დაეტყო ნელი ტემპით წინსვლა და ვერ მიაწოდა მომხმარებლებს საჭირო საქონელი, რამაც გამოიწვია წევრებში უკმაყოფილება. აქ ნაკლებობაა ფართლეულ ნაწარმოებზე, რასაც უნდა მიაქციონ მთავარი ყურადღება, როგორც გამგეობამ ისე მომწოდებელმა დაწესებულებებმა.

კოოპერატივი ემსახურება სენაკის მაზრის ჩრდილოეთის მთაგორიან კუთხეს, სადაც ბუდობენ კერძო ვაჭრები და ტყავს აძრობენ გლეხებს. თუმცა ამ უკანასკნელ ხანებში კოოპერატივმა მიიღო ფართლეული და ხელ-ახლა გამოაცოცხლა თავისი მუშაობა, მაგრამ ასეთი უნდა განმეორდეს რამოდენიმეჯერ, რომ მომხმარებლები დაკმაყოფილდეს და არ ჩაუვარდეს ხელში კერძო ჩარჩ-ვაჭრებს.

წევრი.

ტოლუმბაში ექიმი

(ხიდისთავი, გურია)

ხიდისთავი თვალსაჩინო თემია ოზურგეთის მაზრაში. აქ სხვა კულტურულ და ადმინისტრატიულ დაწესებულებებთან ერთად არსებობს საექიმო პუნქტი, რომლის გამგეთ ითვლება ეალ. ჩიგოგიძე. კაცი „პურმარილიანი“ და ახოვანი. ის ყოვლად შეუფერებელია ამ დიდ საპასუხისმგებლო პოსტის.

ამ ვაჟბატონს სასტიკათ განსაზღვრული აქვს სამუშაო დრო. შემდეგ მას ვერ ნახავთ. კიდეც რომ ნახოთ, რათ გინდათ „ნუნუა“ გადაკრული და გონება დაფანტული? ან კი, რა ქნას, როცა კაცი ბუნებით ტოლუმბაშია და არა ექიმი?

შ. მიქაძე.

მუშათა ცხოვრება

ბნელ სარდაფში

იმ დროს, როდესაც ქალაქის ქუჩები ხალხით სავსე იყო, ქარხანა-ფაბრიკებში ისმოდა მძლავრი მანქანების გუგუნ-გრიალი, მშრომელთ ოფლი ღაპა-ღუპით გადმოდიოდა შუბლიდან, ამ დროს პავლე და რუბენი ბნელ სარდაფში ტკბილად უდარდელათ ხვრინავდენ.

— ვინ იყვნენ ესენი, ან რათ იყვნენ სარდაფში? ესენი იყვნენ თბილისის საყუდის მემანქანე თავის თანაშემწით, რომლებმაც ორთქლმავალი ორთქლმავალს დააჯახეს და დაამსხვრიეს.

ის იყო დღის სინათლე უკვე მიწურულიყო რომ პავლემ ერთი მძიმეთ ამოიხვნეშა და გამოიღვიძა. მან მიიხედ-მოიხედა, ჯერ ვერ გაარჩია, თუ სად იყო, შემდეგ თვალების ფშვნეტით აქა-იქ რაღაცა დაინახა და გვერდზე მწოლარე რუბენიც გამოაღვიძა.

— რუბენ, რუბენ ადექი, რა დროს ძილია.

— აქ რათა ვართ... ისინი ვინ არიან? ეკითხებოდა რუბენი.

— ჩვენისთანავე ოხრები, ქურდები და სხ.

— როგორ მეც მათთან ერთად.

— შენც და მეც როგორც მოღალატენი.

— როგორ თუ მოღალატე.

— დიახ როგორც მოღალატე, ორი ორთქლმავალი დავამსხვრიეთ.

— მერე და ჩვენ გვინდოდა?

— ისე როგორც სიმთვრალე.

— ოხ, უმგზავსო სიმთვრალევ, ვინ მოგიგონა —სთქვა პავლემ. ვაი სირცხვილო, ვაი ცოლშვილო ღარიბ ღატაკო, მე დაგღუპეთ მე ვარ დამნაშავე, მე პიროტყვი, მხეცი, შეუბრალებელი, ლოთი უმგზავსი, ხალხის მოღალატე, სთქვა და იქვე ჩამოჯდა იატაკზედ.

— ღალატი, მერე ვისი ღალატი, მშრომელი კლასისა—დაუმატა რუბენმა.

ძალ ერთხანს იყვნენ ჩაფიქრებული.

მათ თავში სხვადასხვა ნაირი სურათები ირეოდნენ ელვის სისწრაფით. თვალწინ ედგათ გულგრილობისთვის და დაუდევრობისათვის გასამართლებული მემანქანე ჩახავა, ტიტვინიძე და სხვა მრავალნი. ახლა თვითონ უნდა გახდნენ საჩვენებელი, როგორც უსაშინელესი საქმის ჩამდენი და ღრმად იყვნენ დარწმუნებული, რომ მათ გამართლებას ვერვინ შესძლებს.

— მძლავრათ დავაჯახეთ?

— ერთი, სულ მთლათ დაიმსხვრა.

— მეორე, ჩემი „პარავოზი“?

— კაპიტალური შეკეთება სჭირდება.

უნდა დავისაჯოთ, სახალხოთ უნდა გაგვასამართლონ გაიგონ სხვებმაც, რომ ჩვენ ლოთობის გამო ზარალი მივაყენეთ სახელმწიფოს—ამბობდა პავლე. ის იყო კიდე რაღაცა უნდა ეთქვა, რომ ამ დროს კარი გაიღო და მემანქანე პავლეს და რუბენს გამოუძახეს გამომძიებელთან.

ვნახოთ რას იტყვის სასამართლო.

მუშკორი შავსოფლელი.

დააგეთ ახალი ლიანდაგი

რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში არის რკ. გზის ლიანდაგი, რომელიც რამდენიმე სამქროს აერთებს.

საუბედუროდ ყველა ეს ხაზები, მამა-პაპის დროს არის დაგებული და ამიტომაა, რომ არც ერთი მათი შპალი არ ვარგა და ყველა ამ ლიანდაგის რელსები მიწაშია ჩაფლული. ეს კი ძლიერ უშლის ხელს წარმოების აწევას. ვინაიდან აქ მუშა დიდ დროს და დიდ შრომას ხარჯავს ერთი რომელიმე რონოდის ან დატვირთული ვაგონეტკის გადატანის დროს, რადგან რონოდას რელსის მაგივრად მიწაზე სჭირდება თრევა. საჭიროა ამას მიაქციოს ყურადღება როგორც ადმინისტრაციამ, ისე ადგილკომმა და ეს დეფექტი გამოასწორონ ლიანდაგის გასუფთავებით და ახალი შპალების გამოცვლით.

მუშა სიონელი.

„ალმასკომის მეთვალყურეს“ რედკოლეგიის განმარტება

[illegible] იანვრის გაზეთ მუშას № 1257 მოთავსებული იყო შენიშვნა ბ. ჭ. ფსევდონიმით, ავტორი გვისაყვედურებს, რომ კედლის გაზ. „ალმასკომის მეთვალყურეს“ მე-15 ნომერში ადგილი უმთავრესად დიდრონ წერილებს ჰქონდა დათმობილიო. ასეთივე შენიშვნები იყო გაზეთ „კომუნისტში“ და „მარტაკოჩშიაც“.

აღნიშნულ წერილების ავტორების საყურადღებოთ უნდა განვაცხადოთ, რომ „ალმასკომის მეთვალყურეს“ მე-15 ნომერი სპეციალური ნომერი იყო. სპეციალური ნომერი გამოვიდა ორჯელ: მე-15 ნომერში წავიდა შობის დღესასწაულებში ანტი-რელიგიური კამპანია მე-16 ნომერში კი ამხ. ლენინის სამი წლის გარდაცვალების თავი და რემედასის განყოფილება, რადგანაც 18 იანვარი რემედასის დღე იყო.

„ალმასკ. მეთვალყურეს“ სარედაქციო კოლეგია.

როდის ელირსება

შორს მიმავალ ტვირთის მატარებელში მიჰყვება დამრიგებელი მემუხრუჯენი.

მათ უკავიათ ცალკე რონოდა. მაგრამ ასეთ სიცივეში არავინ ზრუნავს იმაზე რომ რონოდის გასათბობად მათ თავის დროზე მიაწოდონ შეშა.

პროფორგანიზაციებმა მოითხოვეს ამ საკითხის მოგვარება, მაგრამ არაფერი ეშველა მისი დადებითად გადაჭრას. დამრიგებლები კვლავ ამავე მდგომარეობაში არიან „სამსახურის ასრულების დროს.

რკ. გზის გამგეობამ ეს საკითხი უნდა მოაგვაროს.

ხევდიანი.

„ალმასკომის მეთვალყურეს“ რედკოლეგიის განმარტების გამო

ამ რამდენიმე კვირის წინ. ჩვენს გაზეთში მოთავსებულ იყო პატარა შენიშვნა კედლის გაზეთ „ალმასკომის მეთვალყურის“ მე-15 ნომრის შესახებ. შენიშვნაში აღნიშნული იყო შემდეგი დეფექტები: 1) გაზეთის მთელი ნომერი დათმობილი აქვს ანტირელიგიური ხასიათის წერილებს; 2) ძლიერ მცირე ადგილი აქვს დათმობილი წარმოებისა და მუშა-მოსამსახურეების ყოფა-ცხოვრების საკითხებს; გაზეთში მოთავსებულია გრძელი წერილები.

დღეს ჩვენ ვათავსებთ „ალმასკომის მეთვალყურის“ რედკოლეგიის განმარტებას. როგორც ამ განმარტებიდან სჩანს რედ-კოლეგია საერთოდ ეთანხმება შენიშვნის ავტორს გაზეთის დეფექტების შეფასებაში, მაგრამ ამ დეფექტებს იგი იმით ხსნის, რომ მე-15 ნომერი სპეციალური იყო. ამ განმარტებას ჩვენ ვერ დავეთანხმებით. ჯერ ერთი უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი კამპანიის ჩატარების დროს შეუძლებელია ყოველთვის კედლის გაზეთის სპეციალური ნომრის გამოშვება. კედლის გაზეთი უმთავრესად გამოდის თვეში ერთხელ. ჩვენ ყოველთვეში ვატარებთ თითო კამპანიას მაინც და თუ ყოველი კამპანიის ჩატარებას თითო სპეციალური ნომერი მიუძღვნით, ჩვენი კედლის გაზეთები სპეციალურ ნომრებად გადაიქცეოდა. ცხადია ყოველმა კამპანიამ უნდა ჰპოვოს გამოძახილი კედლის გაზეთში, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მთელი ნომერი ერთ სპეციალურ საკითხს ჰქონდეს დათმობილი. ასეთ შემთხვევებში 4—5 პატარა კედლის გაზეთისთვის შესაფერი წერილი უნდა ეთმობოდეს სპეციალურ საკითხს, დანარჩენი კი ადგილობრივი ხასიათის კორესპონდენციებს, როგორიცაა წარმოების, მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის საკითხები და სხ. შემდეგ დაუშვებელია ზედი-ზედ ორჯერ სპეციალური ნომრის გამოშვება. როგორც რედკოლეგიის განმარტებიდან სჩანს „ალმასკომის მეთვალყურეს“ ორი ნომერი სპეციალურ საკითხებს ქონებია დათმობილი და ადგილობრივი ხასიათის საკითხები შიგ არ გაშუქებულა, რაც ხელს უწყობს მუშა-მოსამსახურების გაზეთიდან ჩამოშორებას. ამ შემთხვევაში რედკოლეგიას სპეციალური ნომერი უნდა გამოეშვა დიდი ბელადის გარდაცვალების წლის თავზე, რელიგიის შესახებ კი არ იყო სპეციალური ნომრის გამოშვება საჭირო. რელიგიის წინააღმდეგ კედლის გაზეთის ყოველ ნომერში უნდა ვაწარმოებდეთ კამპანიას, და ამიტომ შობის დღესასწაულებზე შეიძლებოდა რამდენიმე წერილის მოთავსებით დაკმაყოფილება.

გარდა ამისა კედლის გაზეთში არ შეიძლება დიდი წერილების მოთავსება სპეციალური იქნება ნომერი თუ ჩვეულებრივი. კედლის გაზეთში უსათუოდ პატარ-პატარა წერილები უნდა თავსდებოდეს.

მუშათა ქრონიკა

— **თათბირი.** სამშაბათს, 22 თებერვალს დანიშნულია რკ. გზ. ადგილკომების შრ. დაცვის კომისიების თათბირი. დღის წესრიგში სდგას: რკ. გზ. მთავარ სახელოსნოს, საყუდის და მ.-გ. შრ. დაც. კომისიების მოხსენებები.

— **სასადილო.** აბრეშუმის ქარხნის ადმინისტრაციამ ქარხანასთან მოაწყო სასადილო.

— **„ჯანყი გურიაში“** ხვალ ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბში წარმოდგენილი იქნება „ჯანყი გურიაში“.

— **ამავე კლუბში,** დღეს ნაჩვენები იქნება კინო-სურათი „დედა“.

— **საწარმოო თათბირი.** ახლო მომავალში საუბნო კომიტეტი მოიწვევს რკ. გზ. ადგილკომების გაერთიანებულ საწარმოო თათბირს.

— **მუშა-მოსამსახ. რაოდენობა.** თბილისის საყუდის მუშა-მოსამსახ. რაოდენობა უდრის 2068 კაცს.

წევრთა რიცხვი. ამჟამად პლეხანოვის სახ. კლუბში 2300-დე წევრი ითვლება.

— **კითხვა-პასუხის საღამო.** სად. თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომმა დაადგინა თვეში ერთხელ მოაწყოს კითხვა-პასუხის საღამო.

— **გასამართლება.** სად. თბილისის კედლის გაზეთ „ნიშანსვეტის“ სარედ. კოლეგია ამ დღეებში მოაწყობს საჩვენებელ გასამართლებას კედლის გაზეთში მოთავსებულ წერილის გამო.

— **თავმჯდომარე.** ამხ. ორჯონიკიძის სახ. კლუბის გამგეობამ თავმჯდომარეთ გამოყო ამხ. ნინუა.

„ზაქტპო“ ანგარიშს აბარებს

დღეს გაიხსნება ა.-კ. სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზოგადოების—„ზაქტპო“-ს მეშვიდე ჩვეულებრივი წლიური სადელეგატო ყრილობა, სადაც გამგეობა ჩააბარებს 1925—26 წლის სამეურნეო სამოქმედო ანგარიშს.

საანგარიშო წლის განმავლობაში საზოგადოების გამგეობა თავის საქმიანობას მიმართავდა [illegible] დელეგატთა მეექვსე ყრილობის, მთავრობის უმაღლეს ორგანოების და კოოპერატიულ გაერთიანების ცენტრის—ცენტროსოიუზის და ტრანსსექციის განკარგულებებისა და დირექტივების თანახმად.

საანგარიშო ხნის განმავლობაში საზოგადოების საქმიანობა ხასიათდება მტკიცე გეგმიანობით.

მრავალგვარი ობიექტიური პირობების მიუხედავათ, რაც ხელს უშლიდა საზოგადოების საქმიანობას—„ზაქტპო“-ს წინსვლა და კოოპერატიული საქმიანობის სიმტკიცე აშკარაა შემდეგიდან:

გამგეობის მთავარი ყურადღება მიქცეული იყო იქით, რომ ნივთიერი დაინტერესებით, დროზე და ხელსაყრელ ფასებში პირველი მოთხოვნილების საქონლის მიწოდებით შემოეკრიფა საზოგადოების გარშემო, როგორც წევრები, მთელი ა.-კ. რკინის გზის მოსახლეობა.

თუ 1 ოქტომ.—1925 წ. ზაქტპოს წევრთა რიცხვი უდრიდა 21.898 რკინისგზელს, 1 ოქტ.—1926 წ. ეს რიცხვი ავიდა 24.530 კაცამდე. რაც შეადგენს 95 პროც. მთელ რკინისგზელთა რაოდენობასთან შეფარდებით.

წევრთა რიცხვის ზრდასთან დაკავშირებულია საწევრო თანხის ზრდა, და თუ 1 ოქტ.—25 წ. საწევრო გადასახადი უდრიდა 77.661 მან. 05 კ., ანუ საშუალო რიცხვით თითო წევრზე—3 მ. 55 კ.-ს. 1 ოქტ.—26 წ. საპაიო თანხა უდრის —112.579 მ. 07 კ., ანუ თითო წევრზე საშუალოთ მოდის 4 მან. 59 კაპ., იმ მიზნით, რომ კოოპერაციის სამეურნეო საქმიანობა დაახლოებოდა მომხმარებელს, ცენტრში მაღაზიის და ფარდულის დახურვით გადიდებულ იქნა სავაჭრო ერთეულთა რიცხვი ხაზზე 6 ფარდულის და 5 რონოდა-დუქნის ამუშავებით.

საანგარიშო წლის განმავლობაში გამგეობამ გაატარა ცხოვრებაში თანამშრომელთა საქმიანი დატვირთვა. რასაც შედეგად მოჰყვა მოსამსახურეთა საერთო რიცხვის 35 თანამშრომლით შემცირება: თუ 1 ოქტ.—25 წ. თანამშრომელთა საერთო რიცხვი იყო 754 კაცი, 1 ოქტ.—26 წ. ეს რიცხვი უდრის 719-ს.

წევრებთან ცოცხალი კავშირის და საქმიანობის გასაძლიერებლად გამგეობა სისტემატიურათ ატარებდა გამგეობის წევრებისა და ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით წევრთა საერთო კრებებს; ასეთი კრებები წლის განმავლობაში იყო გამართული 228.

მეტად სასარგებლო და საქმიან მოკავშირეთ გამგეობასა და წევრებ შორის უნდა ვაღიაროთ სადუქნო საკონტროლო კომისიის ინსტიტუტი, რომელიც მუშაობს უსასყიდლოთ და მეტად უწყობს ხელს კოოპერატიულ საზოგადოებრიობის შექმნა-განმტკიცებას. ზაქტპოს სავაჭრო ერთეულებს საანგარიშო წლის განმავლობაში თავს დასტრიალებდა 65 სად. საკ. კომისია 455 წევრით და ამათში მუშაობდა 130 წევრი ქალი.

ზაქტპო ჯეროვან ყურადღებას აქცევდა კოოპერატიულ განათლების საქმეს. საზოგადოებამ საანგარიშო დროის განმავლობაში გაატარა „ზაკსოიუზის“ კოოპერატიულ კურსებზე თანამშრომელთა ნაწილი; ჰყავდა უმაღლეს კოოპერატიულ მოსკოვის კურსებზე 3 ახალგაზრდა, ჰყავდა ორი კოოპერატიული წრე და წლის ბოლოს შეუთანხმდა ა.-კ. საგზაო კომიტეტს კოოპერატიული განათლების ამიერ-კავკასიის მასშტაბით ფართოდ გატარების შესახებ.

არც აპარატის გამარტივება და მომჭირნეობის რეჟიმი დაუტოვებია გამგეობას უყურადღებოთ, საკუთარი თანხის სიმცირის მიუხედავათ—მეექვსე ყრილობის დავალება გამგეობას შეუსრულებია თითქმის 100 პროც.: თუ 1924—25 საანგარიშო წლის განმავლობაში სავაჭრო ბრუნვა უდრიდა—7.806.000 მანეთს, 1925—26 წლის განმავლობაში კი ის უდრის—9.017.000 მანეთს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქონლის ასორტიმენტში კვების პროდუქტი შეადგენდა 55.5 პროც.. ფართლეული. შეკერილი ტანისამოსი და ფეხსაცმელი—40,2 პროც., ხოლო დანარჩენი—4,3 პროც.

თუ ხარჯები საერთო ბრუნვასთან 24—25 წლის განმავლობაში 10.25 პროც. უდრიდა. 25—26 წლის განმავლობაში დაწეულია 9,19 პროცენტამდე.

ეს არის მომჭირნობის რეჟიმის და კოოპერატიული საქმიანობის გაჯანსაღების შედეგი.

თუ საზოგადოებამ 24—25 საანგარიშო წელი ზარალით დაასრულა და თუ გათლანგვა მოარულ სენივით თან ახლდა მას, 25—26 საანგარიშო წელი მომგებიანია; გათლანგვას არ ჰქონია ადგილი და ბალანსი საზოგადოების საღია.

მეშვიდე სადელეგატო ყრილობა შესაფერი გულისყურით მოისმენს გამგეობის ანგარიშს და სათანადო დირექტივებს მისცემს ახალ გამგეობას. ვუსურვოთ ყრილობას ნაყოფიერი საქმიანობა.

ა. მი—ლი.

განახლდა მოლაპარაკება

მემაღაროეთა კავშირის ც. ბ. და „საქ. მარგანეცს“ შორის

მოლაპარაკება ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დადების შესახებ საქ. მემაღაროეთა კავშირის წარმომადგენლებსა და საკონცესიო საზ-ბა „საქართველოს მარგანეცს“ შორის. რომელიც შესწყდა 21 იანვარს განახლდა გუშინ საღამოს.

მოლაპარაკებას აწარმოებენ საბჭ. კავშირის მემაღაროეთა ცენტრალური კომიტეტის რწმუნებული ამხ. გ. ყურულაშვილი (საქ. საბჭოს თავმჯდომარე) და ხვედელიძე (საქ. მემაღაროეთა კავშირის თავმჯდომარე) ხოლო მეორეს მხრივ საზ-ბა „საქართველოს მარგანეცის“ რწმუნებული—მიურსბერგი და ჟაფარიძე.

მთავარ პირობათ ძველი კოლექტიური ხელშეკრულების გაგრძელებისათვის ივლისამდე ცვლავინდებურად რჩება—ხელფასის გადიდება ივლისამდე (პირველ თანრიგის განაკვეთის გადიდება 20 მ. 50 კაპ.—23 მან. 50 კაპეიკამდე), სპეცტანსაცმლების დამატებითი მიცემა მუშების იმ ჯგუფებისათვის, რომელთაც ასეთი არ მიუღიათ და სპეცტანსაცმლის ტარების ვადის შემცირება.

სასკოლო მუშაკების

პირველი კონფერენცია

გუშინ გაიხსნა და მუშაობა დაიწყო სრულიად საქართველოს განათლების ინსტრუქტორთა პირველმა კონფერენციამ.

კონფერენციის გახსნისას,—ინსტრუქტორთა ამოცანების შესახებ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა განათლების სახალხო კომისარის მოადგილემ ამხ. მარიამ ორახელაშვილმა.

შემდეგ კონფერენციამ დაამტკიცა დღის წესრიგი, რომელიც შეიცავს მოხსენებებს ადგილებიდან, განათლების სახალხო კომისარიატის საცდელ-საჩვენებელ სკოლების და თბილისის განათლების განყოფილების სკოლების და სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა დათვალიერებას, თათბირსა და აზრთა გაცვლა-გამოცვლას დათვალიერებულ დაწესებულებების შესახებ, მოხსენებებს ინსტრუქტორთა მუშაობის ფორმებისა და მეთოდების, კომპლექტიური სისტემის და მასწავლებელთა შორის მუშაობის შესახებ.

პირველ ორ სხდომაზე კონფერენცია ისმენდა მოხსენებებს ადგილებიდან.

ელექტრო-ენერგიის

ტარიფის მოწესრიგება

საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პროექტი

მტკიცედ განსაზღვრული წესი ელექტრო-ენერგიაზე ტარიფის დასაწესებლად დღემდე არ არსებობს. ამ ნიადაგზე სამეურნეო ორგანოებსა, აღმასკომებსა და სხვა დაწესებულებებს შორის ხშირათ აქვს ადგილი უთანხმოებას.

საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, რომლის პროექტი მოკლე ხანში გარჩეული იქნება საკავშირო სახკომსაბჭოში, საჭიროდ თვლის, რომ საკავშირო მნიშვნელობის რაიონულ ელექ.-სადგ. ენერგიის ტარიფები, რომლებიც სამრეწველო-ფინანსიური გეგმების განუყრელ ნაწილს წარმოადგენენ, ამ უკანასკნელთან ერთად მტკიცდებოდეს საკავშირო სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოში.

ამ წინადადებას ს. ს. მ. უ. ს. იმით ასაბუთებს, რომ მრეწველობა ყოველწლიურად ადიდებს ელექტრო-ენერგიის მოხმარებას და ამიტომ იგი დაინტერესებულია ტარიფების შემუშავებაში. ამჟამად რაიონული სადგურები გამომუშავებული ენერგიის 60 პროც. მრეწველობას აწვდიან, 1930 წლისათვის ეს პროცენტი 90-დე გაიზრდება.

პროექტით გათვალისწინებულია განათების ტარიფების შეთანხმება ადგილობ. აღმასკომებთან. ტარიფის რაოდენობის განსაზღვრის დროს თუ უთანხმოებას დაურჩა ადგილი, საბოლოო გადაწყვეტილება გამოაქვს შრომისა და თავდაცვის საბჭოს.

ტყიბულის მაღაროების

საწარმოო პროგრამა

ს. მ. უ. ს. დაამტკიცა ტყიბულის მაღაროების საწარმოო პროგრამა 1926—27 საანგარიშო წლისათვის.

პროგრამაში გათვალისწინებულია, რომ წლის განმავლობაში, მაღაროებში გაჩენილ ხანძრის ცუდი შედეგების გამო ამოღებულ უნდა იქნას 5.004.000 ფუთი ქვანახშირი.

ამასთანავე საწარმოო პროგრამაში გათვალისწინებულია ქვანახშირის გასაყიდებელი მტკიცე ფასები, რომელიც დასამტკიცებლათ წარედგინება უმაღ. ეკ. საბჭოს.

ქვანახშირი გაიყიდება შემდეგ ფასებში: რკინისგზებისათვის და გზათა სახალხო კომისარიატის ორგანოებისათვის ფრანკო - ვაგონი ტყიბულში — 11 მან. 52 კ. ტონა, „ნოვოროსცემენტს“ — 11 მან. 20 კ. ტონა და დანარჩენ სახელმწიფო ორგანოებს და კოოპერატიულ დაწესებულებებს 12 მ. 20 კაპ. ტონა, იმავე დაწესებულებებს ნამტვრევი ქვანახშირი — იმავე ფასში, ხოლო ფხვნილი ქვანახშირი — 9 მან. 75 კ. ტონა.

კერძო პირებს ნახშირი დაეთმობათ: მსხვილი ხარისხის — 13 მან. 80 კ. ტონა, ნამტვრევი იმავე ფასში, ხოლო ფხვნილი — 10 მან. 75 კაპ. ტონა.

სოხუმის ნავსადგურში

600.000 მანეთი სოხუმში ნავთსადგურის მოსაწყობათ

სოხუმში ნავთსაყუდის მოწყობის შესახებ ცენტრში გამოტანილ დადგენილების თანახმად, ა.-კ. ნავთსადგურების განყოფილება, შეუდგა წინასწარი მუშაობას ნავთსაყუდის მოსაწყობათ.

როგორც ვიცით უკანასკნელ დრომდე სოხუმში ნავთსაყუდი არ არსებობდა; გემებს შეჩერება უხდებოდათ რეიდზე. ამის გამო გემების საქონლით დატვირთვა და განტვირთვა საგრძნობლად ძვირი ჯდებოდა. ძნელი ხდებოდა აგრეთვე რეიდიდან მგზავრების გადმოსხმა-გადაყვანა. განსაკუთრებით ცუდათ მოქმედებდა მგზავრების გადაყვან-გადმოყვანა სოხუმში ჩამოსულ ავადმყოფებზე. ნავთსადგურის მოწყობის შემდეგ ყველა ეს უხერხულობა ისპობა.

ნავთსადგურების სამმართველოს მიერ უკვე შედგენილია ნავთსაყუდის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა, რომელიც უდრის 600.000 მანეთს. ამ თანხიდან წლევანდელი სამუშაოებისათვის გადადებულია ორასი ათასი მანეთი.

სოცდაზღვევა

დროებით მუშების დაზღვევა

ა.-კ. სოცდაზღვევის სამმართველომ დაადგინა დააზღვიოს ის დროებითი და სეზონური მუშები, რომლებიც მუშაობენ ფრინველების მოვლა - მოშენებაზე საბჭოთა სასოფლო - სამეურნეო ამხანაგობებში.

პროფკავშირებში

8 მარტისათვის

საქართველოს პროფსაბჭომ უკვე დაუგზავნა ცირკულიარი ყველა პროფორგანიზაციებს ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის ჩატარების შესახებ. ცირკულიარში აღნიშნულია, თუ როგორ უნდა ჩატარდეს ეს დღე, რას უნდა მიექცეს უმთავრესად ყურადღება და როგორი უნდა იქნეს პროფკავშირების მონაწილეობა ამ დღის ჩატარებაში.

პირველად ყოვლისა წინასწარ უნდა დავიწყოთ საგიტაციო კამპანია. წარმოება-დაწესებულებებში პროფორგანოების თაოსნობით უნდა მოეწყოს მუშა-მოსამსახურეთა კრებები, სადაც გაშუქებული უნდა იქნეს, თუ რა პირობებში იმყოფებიან მუშა-ქალები ბურჟუაზიულ ქვეყნებში, რა პირობებში არიან საბჭოთა რესპუბლიკებში; კრებებზე ხაზი უნდა გაესვას იმ მდგომარეობას, რომ მხოლოდ მუშურ სახელმწიფომ გაანთავისუფლა ქალები მონობისაგან და აქ სარგებლობენ ისინი სრული უფლებით.

კიდევ არიან ისეთი მუშები, რომელთაც არ სწამთ ქალის მამაკაცთან გათანასწორება, წინააღმდეგი არიან ქალის საბჭოებში გაყვანის, პროფორგანოებში არჩევის, ქალის ამა თუ იმ საპასუხისმგებლო ადგილზე დანიშვნის, თუ გინდ ის საკმაოდ მომზადებული და უნარის მქონე იყოს. განსაკუთრებით მუშათა ასეთ ფენებში უნდა გავაჩაღოთ მუშაობა. ყოველ მუშას უნდა შევაგნებინოთ, რომ ქალი ისეთივე უფლებებითაა აღჭურვილი და ისე სარგებლობს საბჭოთა კანონის დაცვით, როგორც მამა-კაცი. ყოველ მუშას უნდა ჩავუნერგოთ, რომ საბჭოთა რესპუბლიკა მაშინ გაიმარჯვებს, როდესაც მის მშენებლობაში და წარმატებაში ერთნაირად იქნება დაინტერესებული ყველა—ქალიც და კაციც.

ადგილკომებში, პროფკავშირების გამგეობებში და სხვადასხვა კომისიებში ქალების ჯერ კიდევ მცირე რიცხვია ჩაბმული. 8 მარტის ერთ მთავარ ლოზუნგათ მიჩნეული უნდა იქნეს ქალთა აქტივის წამოყენება პროფკავშირების სხვადასხვა ორგანოებში, საწარმოო და ეკონომიურ თათბირებში, საკონფლიქტო კომისიებში და სხვ.

ქალთა დიდი ნაწილი ჩამორჩენილია. პროფკავშირებმა ამ მდგომარეობას ყურადღება უნდა მიაქციონ და გააჩაღონ მუშა-ქალთა შორის კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა.

8 მარტი პროფკავშირებმა უნდა გამოიყენონ ქალთა შორის მუშაობის გასაძლიერებლად, ქალთა აქტივობის ასაწევად, მუშა ქალების პროფორგანოების მუშაობაში ჩასაბმელად. როგორც ცირკულიარი ამბობს „პროფორგანიზაციებმა ამ დღის ჩატარებაში უდიდესი აქტიურობა უნდა გამოიჩინონ“.

პროფტეხნიკური კურსები მუშებისათვის

საქ. სამთო-მადნო კავშირის მორიგ პლენუმზე, ჭიათურის სამრეწველო რაიონში მუშების მოსამზადებელი 8-თვიანი პროფტეხნიკური კურსების გახსნის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გოგავამ. როგორც მომხსენებელმა ამხ. ალ. გოგავამ აღნიშნა, პროფტეხნიკურ კურსებს აქვს მიზნათ მოამზადოს და გადაამზადოს არა კვალიფიციური მუშები, რაც ეხლანდელ პირობებში დიდ საჭიროებას წარმოადგენს, კვალიფიკაციის მქონე მუშა ხელის სიმცირის გამო.

ჭიათურაში გაიხსნება მოკლე 8 თვიანი კურსები, პროგრამა კურსების შემუშავებულია ჭიათურის სინამდვილესთან და საჭიროებასთან შეფარდებით და უკვე დამტკიცებულია საქართველოს პროფსაბჭოს მიერ.

სწავლის პირობები ჩვენში ძნელია, საჭიროა სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე უქონლობის გამო; ჩვენი სამუშაო რაიონები მოცილებულია ცენტრს, რაც აძნელებს გამოცდილ ხელმძღვანელების შოვნას. მაგრამ მაინც შეიძლება საქმის მოგვარება და მივაღწიოთ იმას, რომ მუშამ ამ მოკლე ხანში მიიღოს საჭირო თეორეტიული და პრაქტიკული ცოდნა. რომ ადვილად [illegible] წარმოების საკითხებში.

ამხ. გოგავას მოხსენების ირგვლივ სამთო-მადნო კავშირის პლენუმმა დაადგინა აღნიშნული სკოლა გაიხსნას ჭიათურაში სამ ადგილას ყოფილ კარტოს მაღაროებთან, და თბილის წყალთან. მასწავლებელთათვის პლენუმმა თვეში გაიღო 500 მანეთი.

პროფქრონიკა

—**1000 მან. დახმარება.** საქ. პროფსაბჭომ პრეზიდიუმის დადგენილებით მოჯამაგირეთა შორის პროფაქტივის მომზადებისათვის, კულტფონდიდან მიწა-ტყის კავშირის ც. გ. მიეცა 1000 მან. დახმარება.

— **ნებართვა.** საქპროფსაბჭოს დადგენილებით ნება დაერთო ს. პ. კ. ს. კულტ-განყოფილებას მსოფლიო სპარტაკიადის 1928 წ. ფონდის სასარგებლოდ მსოფლიო მარკების თავისუფალ გავრცელებაში.

— **დავალება.** საქპროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ს. პ. კ. ს. სატარიფო - საეკონომიო განყოფილებას, გამოარკვიოს საკითხი, რამდენად სრულდება არსებითად მოთხოვნა ქ. თბილისში არსებულ არტელების დაარსების შესახებ და რამდენად საჭიროა მათი დაარსება-გაფართოება.

— **ქალთა ყოფა-ცხოვრება.** ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმმა დაავალა შრომის ბირჟის კომიტეტს ქალთა კომისიასთან ერთად აწარმოოს აღრიცხვა ქალთა სამუშაოზე გაგზავნის შესახებ.

ჩვენი მიღწევები კულტურულ ფრონტზე

გამოფენა სახელმწიფო უნივერსიტეტში

საქართველოს გასაბჭოების 6 წლის თავზე, 25 თებერვალს, სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში გაიმართება კულტურულ მიღწევათა გამოფენა. განათლების კომისარიატმა გამოფენის მოსაწყობათ შეადგინა სპეციალური კომისია განათლების კომისარის დ. კანდელაკის თავმჯდომარეობით. კომისიაში წევრებათ შედიან სახელმწიფო უნივერსიტეტის ორი წარმომადგენელი და განათლების კომისარიატიდან ერთი წარმომადგენელი.

გამოფენაზე, კომისიის მიერ შემუშავებული გეგმით, გამოფენილი იქნება: პირველ განყოფილებაში — წიგნები გამოცემული მენშევიკებისა და საბჭოთა ხელისუფლების დროს; საგაზეთო გამოცემები, პოლიტიკური ხასიათის ჟურნალები და გაზეთები 1921 წლამდე და საბჭოთა ხელისუფლების დროს.

მეორე განყოფილებაში: სამხატვრო ეროვნულ გალერეიაში და მუზეუმებში 1921 წლის შემდეგ მიღებული სურათები; კინოს, სამეცნიერო ექსპედიციების, სხვადასხვა ლაბორატორიების და კაბინეტების, გეოფიზიკურ ობსერვატორიის და თეატრების მუშაობების და მიღწევების სურათები. ამგვე განყოფილებაში გამოფენილი იქნება გეოგრაფიული საზ-ბის მიერ შედგენილი და გამოცემული რუკები.

შემდეგ განყოფილებებში გამოფენილი იქნება:

ქანდაკებანი: ქართულ მოქანდაკეთა მიერ დამზადებული ქანდაკებები და ბიუსტები და აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა ძეგლების მოდელები.

კარტოგრამები: კარტოგრამებში წარმოდგენილი იქნება სასკოლო ქსელის მდგომარეობა და სასკოლო [illegible] 1921 წლამდე და ეხლა.

დიაგრამებში: [illegible] განათლების მდგომარეობა; პოლიტგანათლების დაწესებულებათა ქსელი და საბჭოთა ხელისუფლების დროს გამოცემულ წიგნების რიცხვი და ტირაჟი; შემდეგ წარმოდგენილი იქნება 1921 წლამდე და ამჟამად არსებულ სპეცტეხნიკუმების რიცხვი, მასწავლებელთა და მოსწავლეთა რაოდენობა წ.-კითხვის უცოდინართა და მცირე მცოდნეთა რაოდენობა, ლიკსკოლების რიცხვი, ქოხ-სამკითხველოების რიცხვი, სახ. უნივერსიტეტი სტუდენტებისა და პროფესორების შემადგენლობით; დანარჩენი უმაღლესი სასწავლებლები; უმაღლეს სასწავლებლებში მიღებულ და კურს დამთავრებულთა მოძრაობა წლების მიხედვით; სამეცნიერო დაწესებულებათა რაოდენობა; ეროვნულ უმცირესობათა სკოლების რიცხვი; სწავლა - განათლების ბიუჯეტი და მასწავლებელთა ხელფასი. გამოფენის ფართოდ და სრულიად მოსაწყობათ მოწვეულნი არიან ხელოვანთა წარმომადგენელნი და სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელნი.

წიგნების გამოფენის განყოფილების მოსაწყობად დაარსებულია ქვე - კომისია მ. ბერძნიშვილის, პ. ჭანიშვილის და ივ. ციციშვილის შემადგენლობით.

მხატვრულ ექსპონატების განყოფილებას ხელმძღვანელობს რესპუბლიკის სახალხო მოქანდაკე ი. ნიკოლაძე და ვახ. კოტეტიშვილი.

გამოფენის საერთო მხატვრული ხელმძღვანელობა მინდობილი აქვს მხატვარ დ. შევარდნაძეს.

სახ. კომისართა საბჭოში

კომისიის გაუქმება

ვინაიდან მ.-გ. წითელარმიის უვადო შვებულებაში დათხოვნილ უფროს შემადგენლობის მომწყობი მთავრობის კომისიამ დაკისრებული მოვალეობა დაამთავრა, სახკომსაბჭომ საჭიროთ სცნო ხსენებულ კომისიის გაუქმება ა.-წ. თებერვლის 15-დან.

პროფესიონალურ დაავადებათა ინსტიტუტი

სახკომსაბჭომ დაამტკიცა ჯანსახკომის მიერ წარმოდგენილი პროექტი დადგენილებისა—ჯანსახკომის გამგებლობაში მყოფ პროფესიონალურ დაავადებათა ლაბორატორიის სახელწოდების შეცვლის შესახებ. ხსენებულ ლაბორატორიას ეწოდება ამიერიდან—ინსტიტუტი, რადგანაც პროფესიონალურ დაავადებათა ლაბორატორიის მუშაობას აქვს არა მარტო პრაქტიკული მნიშვნელობა, არამედ მეცნიერულიც მით, რომ იგი აწარმოებს მშრომელთა ორგანიზმზე შრომის პირობების გავლენის შესწავლას და პროფესიონალურ ავადმყოფობათა გამოკვლევას. ინსტიტუტის სათავეში იქნება დირექტორი.

სპეციალურ კომისიის მოწყობა

სახკომსაბჭოსთან მოეწყო სპეციალური კომისია, ამხ. ა. დოლიძის (თავმჯდომარე), შ. მატიკაშვილის, ი. ტალახაძის, ი. ფანცხავას და ნ. ოკუჯავას შემადგენლობით, რომელსაც დავალებული აქვს, ადგილობრივ ბიუჯეტის თაობაზე, ფინსახკომთან არსებულ საკონტროლო თათბირის გადაწყვეტილებათა გამო შეტანილ პროტესტების განხილვა.

სპეციალური სახსრების შესახებ

სახკომსაბჭომ დაავალა სოც. უზრუნველყოფის, მიწათმოქმედების, ჯანმრთელობის და განათლ. სახ. კომისარიატებს წარმოადგინონ დასამტკიცებლად 1926—27 წლის სპეციალურ სახსრების შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა.

ნაოსნობა მდ. რიონზე

ნავთსადგურების სამმართველოს გამოანგარიშებით, რომ თუ რიონზე ნაოსნობა იქნება აღდგენილი, პირველი წლების განმავლობაში წყლის ტრანსპორტის საშუალებით გადაზიდულ იქნება 5 მილიონამდე ფუთი სხვადასხვა ტვირთი და გადაყვანილი იქნება 250.000 კაცამდე მგზავრი. ამგვარათ ნაოსნობა გაამართლებს ყველა გაწეულ ხარჯებს და შემოსავალიც დარჩება.

ნაოსნობა რიონზე, ნავთსადგურების სამმართველოს მიერ შედგენილი გეგმის თანახმად, უნდა მოეწყოს ორგვარი ტიპის — თვითმცურავი გემები და მისაბმელი გემები. გემის კონსტრუქცია ისეთი უნდა იყოს, რომ იგი იჯდეს წყალში არა უმაღლეს 3,5 ფუტისა.

ნაოსნობის პირობების პრაქტიკულათ შესწავლის მიზნით, ნავთსადგურების სამმართველო შეუდგება მდინარის გამოკვლევას მაისის პირველ რიცხვებში. გამოკვლევა დამთავრდება მიმდინარე წლის მიწურულებში. მდინარის გამოკვლევის და შესწავლის პროექტი უკვე შედგენილი და დამუშავებულია.

„ბინათ-კავშირში“

ამხანაგობათა რიცხვი

ამჟამად საამშენებლო კოოპერატივთა კავშირი აერთიანებს 36 ამხანაგობას, რომელთაც ჰყავთ 1.127 წევრი. კავშირის საკუთარი თანხა უდრის 138.745 მანეთს.

საამშენებლო მუშაობა

„ბინათ კავშირში“ გაერთიანებული ამხანაგობები ამჟამად აშენებენ 30-მდე ახალ სახლს. ამ შენობათა საერთო კუბატურა უდრის 4.042 კუბიკურ საჟენს. ხოლო ღირებულება 457.500 მანეთს.

სესხი საბინაო მშენებლობისათვის

საპერსპექტივო გეგმის მიხედვით საქართველოს ბინათ კავშირი მიიღებს წელს 720.000 მანეთის სესხს, რომელიც მოხმარდება ასი ბინის აგებას.

ქრონიკა

ოსმალეთის დელეგაციის გამგზავრება

გუშინ ბათომში გაემგზავრა ოსმალეთის სავეტერინარო კონვენციის დელეგაციის წევრები—ალი-რიზა-ბეი და შევფიკ-ბეი.

ტყის გაშენების დღესასწაული

თბილისის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სასოფლო - სამეურნეო ფაკულტეტები 12 მარტს სუნჯენის რაიონში აწყობს ტყის გაშენების დღესასწაულს. ამ დღეს ფაკულტეტის სტუდენტები და პროფესორები აღნიშნულ რაიონში ჩაყრიან სატყეო სხვადასხვა მცენარეების ნერგებს და დათესავენ ელდარის ფიჭვის თესლს. ამავე ფაკულტეტმა გადასწყვიტა მიიღოს შეფობა, ამავე რაიონზე და შემდეგში უხელმძღვანელოს იქ ტყის გაშენების საქმეს.

თბილისის აღმასკომში

◆ **გზები.** მაზრებში გზებისა და ბოგირების გაყვანის საქმის სახელმძღვანელოდ აღმასკომმა შეადგინა სპეციალური შტატი, რომელშიაც შედის 3 ტეხნიკოსი, 4 ოსტატი და 23 მუშა.

◆ **შენობები სკოლებისათვის.** აღმასკომის ხარჯით ერწოს თემში აგებულ იქნა 7 სკოლისათვის ახალი შენობები.

◆ **აგურის ქარხნები.** აღმასკომმა გადასწყვიტა აამუშაოს დღემდე დაუქმებული 4 აგურის ქარხანა; ამ ქარხნებთან ერთად ქალაქში იმუშავებს სულ 11 ქარხანა.

შრომის სახალხო კომისარიატში.

◆ **შრომის ჰიგიენის ლაბორატორია** შეუდგა ლენინის სარდაფებში მომუშავეთა შრომის პირობების გამოკვლევას.

◆ **ჰაერის გამოკვლევა.** შრომის კომისარიატმა შრომის ჰიგიენის ლაბორატორიისათვის შეიძინა წარმოებებში ჰაერის მავნებლობის გამომკვლევი აპარატი.

◆ **პროფსნეულება.** შრომის ჰიგიენის ლაბორატორიამ გამოიკვლია მაკარონის ქარხნის ლილის დამამზადებელი განყოფილება და ლილის დამზადების დარგი სცნო მავნე დარგათ.

◆ **მოზარდთა მუშაობის დრო.** შრომის კომისარიატმა სახელმწიფო წარმოებებში სამუშაო დღის ხანგრძლივობა მოზარდთათვის განსაზღვრა 6 საათით, ხოლო მცირე-წლოვანთათვის —4 საათით.

განათლების სახ. კომისარიატში

◆ **სახელმწიფო გამოცდები.** პედაგოგიური ფაკულტეტის კურს დამთავრებულთათვის სახელმწიფო გამოცდები დანიშნულია მიმდინარე წლის 15 მაისიდან 15 ივნისამდე და 1 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე. ლიტერატურის, ისტორიის. საბუნებისმეტყველო, სამათემატიკო, ასტრონომიისა და საენათმეცნიერო დარგებში. ხოლო 15 აპრილიდან 15 მაისამდე და 1 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის დარგებში. განცხადებები მსურველთაგან მიიღება დღეიდანვე და შეწყდება ერთი კვირით ადრე საგამოცდო სესიის დაწყებამდე.

ახალი გამოცემანი

◆ დაიბეჭდა და გამოვიდა სახელგამის მიერ გამოცემული შემდეგი ახალი წიგნები. **გიორგი მაზნიაშვილი**—„მოგონებანი“. **ვ. ბარკაძე**—„უცნაური ამბავი“ საბავშო მოთხრობები. ინჟ. ს. ი. მეფისაშვილი—(ტფილისის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმის მასწავლებელი)—„გეომეტრიული ხაზვა“. სპეციალურ ტეხნიკუმებისათვის პრაქტიკული კურსი 95 ნახაზით. 75 გვ. ღირს 1 მან.

ვინ იგზავნება სამუშაოზე

დღეს თბილისის ბირჟიდან სამუშაოზე გასაგზავნათ უნდა გამოცხადდენ შემდეგი პირები:

საექიმო დარგის მუშაკთა სექციიდან: აივაზოვა სოფიო, წიწკულაძე ალექსანდრა, ცხვედაძე სოფიო, ტორჩილავა ნინო, ტურკინა ზინა, კრუგლოვა ალექსანდრა, კორეხნაშვილი რევაზი, კოსიკაკო ელისაბედი, გვარამია ვერა, შახნაშვილი მარიამ, ტივანოვა პოლინა, მარტინოვა ვალენტინა, შჩერბაკოვა მარიამი, კიკაბიძე ნინო, აბრალავა ლიუბა, ონიანოვი გიორგი, ჯალილოვი კონსტანტინე, ჩანტლაძე ტრიფონ, ჯაფარიძე ბიძინა, გოკიელი ივანე, კოტოშინკოვა. იოსებ, ანდრონიკაშვილი—პეიშვილი ნინო, ტუშურიანი დავითი, დრამპოვი ალექსანდრე, სოკოლოვა ევგენია, ნემსაძე სოფიო, ჟუჟიაშვილი ელენა, ჭიჭარაძე ოლღა, ედელშტეინი პოლინა, რომანიანცი ნინა, პივოვაროვი ივანე, კვირიკაშვილი—ტარნოვსკაია, სარქისოვა არუსიაკი, ვარდანოვი ლიუსია, სოკოლოვა ევგენია, ყაზარიანი ერვანდი, შახბაზიანი არტაშესი, ვანდაიადი გრიგოლი, ფილოვი ალექსანდრე, ახვერდოვი ნიკოლოზი, ბალათუროვი ვასილი, კახოიანი არუთინი, კონდისახჩევი აბგარი, შველიძე ივანე, ვასაძე ვასილი, მათეშვილი გიორგი, გუკასოვი გაირიკი, ვართანოვი აიკანუში, პოგრებეცკაია ვერა, მელნიკოვა ელენე. მილოროვი პორფილე, მინასიანი მარიამი, მიროტაძე ელენა, კვალიაშვილი მარიამი, ბიაძე ელენა.

მესამე სექცია კი ითხოვს ერთ მრეცხავს და ერთ დამუთოვებელს.

სხვადასხვა

შაბათს, 19 თებერვალს, სალ. 6 საათზე, სამეურნეო ტეხნიკუმის შენობაში, კამოს ქ. № 59, ამხ. ფანცხავა განაახლებს მეცადინეობას ქართულ პროფსკოლაში.

კრებები და მოხსენებები

◆ **კვირას,** 20 თებერვალს, დღის 12 საათზე, თბ. სახ. უნივერსიტეტის მთავარ შენობაში შესდგება ახლად დაარსებული თბ. სახ. უნივ. სტუდენტთა საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზ-ბის პირველი საერთო კრება.

ჩაუბარებელი დეპეშები

◆ ოდესიდან—კეშელაძეს; ბაქოდან—დანიელოვს; დნეპრო-პეტროვსკიდან — მოჟაროვს; ერევანიდან — საკიანცს; მანგლისიდან — იახჩინოვს; კარიაგინოდან—იაკოელევს.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **„მშვენიერა“.** გამოვიდა იოსებ იმედაშვილის ახალი პოემა „მშვენიერა“—რაჭის წარსულიდან—გამოცემა გ. მარშანიასი, 48 გვ. ფასი 25 კაპ.

◆ **სამხატვრო აკადემიაში** კვირას, 20 თებერვალს, დღის 12 საათზე მხატვარი ქალი ე. ტოლმაჩევსკაია წაიკითხავს მოხსენებას მე-17 საუკუნის რუსული ფრესკების სტილისა და ტეხნიკის თავისებურობის შესახებ. მოხსენების დროს ნაჩვენები იქნება ფრესკების ასლები.

◆ **მუშათა თეატრში** რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „დეგაევის გამცემლობა“.

◆ **რუსთაველის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „მზის დაბნელება“.

◆ **„ჭიათურთან“** არსებული დრამატიული სტუდია-ქარხანა ახლო ხანში გამართავს საჩვენებელ წარმოდგენებს.

პროლეტარულ მწერალთა შორის

◆ 26 თებ. ხელოვანთა სასახლეში გაიმართება, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობის გაფართოებული პლენუმი, პრ. მწერალთა აქტივის და ლიტერატორ კომუნისტების მონაწილეობით. თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურასა და ლიტერატურულ პოლიტიკაზე მოხსენებას გააკეთებს ამხ. გ. მუშიშვილი პლენუმზე განხილული იქნება ორგანიზაციული საკითხები და მომავალი მუშაობის გეგმა.

— დღეს შაბათს, 19 თებ. სალ. 6 საათ. ხელოვანთა სასახლეში შესდგება, პროლეტარულ მწერალთა საერთო კრება.

შემთხვევები

◆ **თვითმკვლელობის განზრახვა.** 17 თებერვალს მე-10 სამილიციო რაიონში მოქ. გიორგი ვორობიოვმა მინის ნატეხით განიზრახა ყელის გამოჭრა, მაგრამ გადაარჩინეს.

◆ **მაღაზიის გაქურდვა.** 17 თებ. დისიმონოვის მოედანზე № 31 გაქურდეს გეურკა მიკირტუმოვის რკინეულობის მაღაზია.

◆ **შეპყრობა.** 17 თებ. ქურდობისათვის დააპატიმრეს მიხეილ ილიას ძე კადნელაკი.

◆ ამავე დღეს შეიპყრეს ოგანეზ სარქისოვი, რომელმაც ანდრია მიქანიანცს ჯიბიდან ამოაცალა ფული.

◆ **ადუღებული სამოვარის მოპარვა.** 17 თებ. გრიბოედოვის ქ. № 6 აკაკი ნიკოლოზის ძე ცინცაძის ბინის აივნიდან მოიპარეს ადუღებული სამოვარი.

◆ **ქურდობა.** 17 თებერ. ვარდის უბნის ქ. № 7 გაქურდეს ილარიონ ჯანელიძის ბინა.

◆ მცხეთაში 10 თებერვალს გაქურდეს რომანოზ კაპანაძის სავაჭრო. წაიღეს 696 მ. ღირებული საქონელი. მიღებული ზომებით დააპატიმრეს ქურდები გაბო რაზმაძე და არტო ხუბუროვი.

რეციდივისტების დაპატიმრება.

გუშინ საღამოს სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა იოსებ ჩოხელია, გრიგოლ კუზნეცოვი და ნიკოლოზ ელაცოვი, რომლებსაც ქურდობის 10 რეგისტრაცია აქვთ. მათვე ბრალდებათ აგრეთვე სახმედვაჭრობის მაღაზიის (სადგურის ქ., 19) გაქურდვა.

ხანძარი

გუშინ, ღამის 12 საათზე, ხანძარი გაჩნდა „სასახლის ნომრებს“ (პუშკინის ქუჩა).

ცეცხლი გაჩნდა საკვამლე მილის გაუწმენდაობის გამო.

ხანძარი ჩააქრო 1-ლ ცეცხლის მქრობელმა რაზმმა 20 წუთის განმავლობაში.

ზარალი უმნიშვნელოა.

შეიარაღებული თავდასხმა

17 თებერვალს, ევლახის ხიდის უკანასკნელი კესონის ჩადგმის დამთავრების გამო კესონის ჩადგმაზე მომუშავე მუშებს გაუსწორეს ანგარიში და დაურიგეს ფული. სულ მუშებს დაურიგდა 23 ათასი მანეთი.

სჩანს ამას უცდიდა ადგილობრივი ბანდიტები ღამით 17 თებერვალს ისინი იარაღით დაესხენ თავს მუშებს.

თავდასხმამ ვერ შეაშინა მუშები, რომლებსაც დროზე წამოეშველენ საგზაო - სატრანსპორტო სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს აგენტები.

თავდამსხმელები დააპატიმრეს. ერთი მათგანი დაიჭრა.

შემდეგი ძიება - ძებნა მიმდინარეობს.

სასამართლო

ფოთელ პროვოკატორების საქმე

ფოთი, 18 თებერვ. დღეს მუშათა სასახლეში გაიხსნა დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს სესია, რომელიც არჩევს პროვოკატორების ვასო ლოლუას, ილია შაპიროს, საჩინო ჟვანიას, ნესტორ ქორქიას და ნიკოლოზ პრაწაშვილის საქმეს.

სასამართლოს თავმჯდომარე **ტატიშვილი.** პროკურორი ტალახაძე (ადს).

გარყვნილების ბუდე

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩა **დავით იარალოვის** საქმე.

იარალოვს 1925 წ. ბინაზე პლეხანოვის გამზირი, № 51-ში მოწყობილი ჰქონდა გარყვნილების ბუდე და ეწეოდა სხეულით ვაჭრობას.

სასამართლომ ბრალდებულ იარალოვს მიუსაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მთელი ქონების კონფისკაციით.

მოქ. რეიმანის თავგადასავალი

გუშინდელ სხდომაზე დაკითხული იქნა ბრალდებული რეიმანი, რომელმაც დამნაშავედ სცნო თავი მხოლოდ 600 მანეთის გაფლანგვაში და დასძინა, რომ 2.700 მანეთის გასამართლებელი საბუთები მას დაეკარგა.

ბრალდებულმა განაცხადა აგრეთვე, რომ ბანქოს ის ხშირად თამაშობდა. მან არ უარჰყო ისიც, რომ შეყვარებულ ე. ქ—ს ფულებს ახარჯავდა.

მოწმეების დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ბრალდებული ხელგაშლილ ცხოვრებას ეწეოდა.

სასამართლოს პროცესზე არ იყო გამოწვეული ე. ქ—ს ქალი.

სასამართლომ გამოიტანა დადგენილება ე. ქ—ს დაკითხვის შესახებ.

განაჩენის გამოტანა მოსალოდნელია დღეს.

განაჩენი ვიატკინის საქმეზე

სასამართლომ პეტრე ვიატკინი დამნაშავედ სცნო 2.024 მანეთის გაფლანგვაში და 946 მან. დაწესებულებისათვის ზარალის მიყენებაში, რისთვისაც მიუსაჯა მას 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით.

ხულიგნობისათვის

გუშინ, სახალხო სასამართლოს მორიგმა კამერამ ამხ.ი. გაბუნიას თავმჯდომარეობით, გაარჩია ანნა ქოროღლიშვილის საქმე.

ქოროღლიშვილს ბრალდებოდა ხულიგნობა.

სასამართლოში გამოირკვა, რომ ბრალდებული პროფესიონალური ხულიგანია.

სასამართლომ ქოროღლიშვილს მიუსაჯა 8 თვით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელის მოხდის შემდეგ თბილისიდან 3 წლით გასახლება.

სახსკირტის თანამშრომელთა პროცესი

გუშინ ექსპერტებისათვის შეკითხვების მიცემის გამო სხდომა არ შემდგარა.

დღეს მოსმენილი იქნება ექსპერტების დასკვნა და გაიმართება მხარეების კამათი.

მარგანეცის მოყვარულნი

(სუსლინის და სხვათა საქმე)

მეორე სხდომა

გუშინდელ სხდომაზე დასრულდა ბრალდებულ **სუსლინის** დაკითხვა. იგი თავს არ სცნობს დამნაშავედ ქრთამის აღებასა და რუსეთ-აზიის ბანკის გამგეობისათვის ყალბი ცნობების მიწოდებაში. ქრთამის მიღებას 18 გირ. სტერლინგის რაოდენობით იგი უარყოფს.

ბრალდებული აცხადებს, რომ ჭიათურიდან 500 ტონა პერაქსიდი (გაწმენდილი მარგანეცი) არ ყოფილა გაგზავნილი ინგლისის „კლაიდესდალ ბანკის„ სახელზე.

ბრალდებული **მასხულია** თავს არ სცნობს დამნაშავეთ ქრთამის მიცემაში და აღნიშნავს, რომ ფოთის ნავთსადგურის ტერიტორიაზე მყოფი შავი-ქვის რამოდენიმე პლატფორმა დაახლოვებით 700.000 ფუთი მადნით ეკუთვნოდა „კლაიდესდალ ბანკს“. ბრალდებული აცხადებს, რომ მას შემდეგ, როდესაც გაიგო, რომ აღნიშნული მადანი გადადის რუსეთ-აზიის ბანკის კლიენტის გამერ-ავგერინოს ხელში, გადასწყვიტა დაეწყო მუშაობა, რათა საქმე „კლაიდესდალ ბანკის“ სასარგებლოდ მოგვარებულიყო.

ბრალდებული **ტარხეი** თავს არ სცნობს დამნაშავეთ და დასძენს, რომ ამ საქმესთან მას საერთო არაფერი ჰქონია.

ბრალდებულთა დაკითხვის შემდეგ სასამართლო შეუდგა მოწმეების დაკითხვას.

პირველად დაკითხულ იქნა მოწმე **ფოკახი** (რუსეთ-აზიის ბანკის ყოფილი დირექტორი), რომელმაც უამბო სასამართლოს, რომ ფოთის ნავთსადგურის ტერიტორიაზე მყოფი შავი-ქვის რამოდენიმე პლატფორმა დაახლოვებით 700.00 ფუთი მადნით იყო ნაყიდი რუსეთ-აზიის ბანკის კლიენტის გომერ-ავგერინისაგან; ღირებულების 75 პროც. გადახდილ იქნა „რუსეთ-აზიის ბანკის“. ხოლო 25 პროც. კი „კლაიდესდალ ბანკის“ მიერ.

ამის გამო რუსეთ-აზიის ბანკი ვალდებული იყო აღნიშნული მადანი „კლაიდესდალ ბანკის“ ნებადაურთველად არავისთვის მიეყიდა ან გაეტანა.

რუსეთ-აზიის ბანკმა დაადასტურა შეთანხმება „გომერ-ავგერინისა“ კლაიდესდალ ბანკისათვის“ 15.000 გირვანქა სტერლინგის გადახდის შესახებ და განაცხადა აგრეთვე თანხმობა, რომ ფულს გადასცემდა რუსეთ-აზიის ბანკს დამოკიდებლად. ამ ვალის ანგარიშში ჭიათურიდან ქ. ბათუმის გზით გადაგზავნილ იქნა ინგლისში 500 ტონა პირაქსიდის (გაწმენდილი მარგანეცი), რომელსაც არ მიუღწევია დანიშნულებისამებრ.

მოწმეების დაკითხვა გრძელდება.

საექიმო კოლექტივები

თბილისის შრომის ბირჟა მედსანშრომის მუშაკთა კავშირთან ერთად უმუშევრად მყოფ მედპერსონალიდან (ექიმები, ფერშლები, მეანე ქალები, მომვლელები მოწყალების დები და სხვა) აწყობს შრომის საექიმო კოლექტივებს, რომელიც ფართე მოსახლეობას შეღავათიან ფასებში გაუწევს ყოველგვარი ხასიათის საექიმო დახმარებას. ჯერ-ჯერობით ქალაქში მოეწყობა ხუთი პუნქტი მედპერსონალის გამოსაძახებლად. მოსახლეობა პირველ მოთხოვნილებისთანავე კოლექტივიდან მიიღებს ყოველგვარი სპეციალობის ექიმს, ბებია ქალს, მომვლელს, მოწყალების დას და სხვ. კოლექტივისათვის მეტი ნდობისა და ავტორიტეტის მოსაპოვებლად კოლექტივში სამუშაოდ მოწვეული იქნება ქალაქში ცნობილი საექიმო ძალები. კოლექტივში კონსულტანტებად მოწვეულ იქნებიან აგრეთვე პროფესორები, რომელთაგან დახმარების მიღება შესაძლებელი იქნება ყოველ დროს. პუნქტებთან მოეწყობა მედპერსონალის მუდმივი მორიგეობა დღითა და ღამით.

რკინისგზებზე

ევლახის ხიდი

ევლახის ხიდის შენება წარმატებით მიმდინარეობს. ამჟამად უკანასკნელი კესონი უკვე ჩადგმულია. ხიდის ყველა ფუძეების გამაგრება დამთავრდება ერთ კვირაში.

რაციონალიზაციის ჯგუფები

ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოს ყველა განყოფილებებთან ეწყობა რაციონალიზაციის გამტარებელი ჯგუფები. ეს ჯგუფები აწარმოებენ გამოკვლევებს და ამასთანავე გამოიმუშავებენ ღონისძიებებს განყოფილებებში მუშაობის გასაუმჯობესებლად.

თითოეულ ჯგუფებში შედის სამი კაცი.

შემთხვევებთან მებრძოლ კომისიაში

შემთხვევებთან მებრძოლ საგზაო კომისიის უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა 4 საქმე: მატარებლების მიერ სადგურების ვაუჩერებლად გავლის, მატარებლის უკვერთხოდ გაგზავნის, არა სათანადო ხაზით გაგზავნის და დაჯახების შესახებ.

დამნაშავე პირები დასჯილნი არიან, ზოგი მათგანი დათხოვნილია სამსახურიდან.

ბიბლიოგრაფია

ქ. ორაგველიძე „ნამდვილი და ყალბი მარქსიზმი“ (ნოე ჟორდანიას საპასუხოდ)

სახელგამი 1927 წ. გვ. 202—ფასი 1 მ. 50 კ.

ნოე ჟორდანიას იდეური გაკოტრების და რეაქციონური მოღვაწეობის გამოსამჟღავნებლად გასული ექვსი წლის განმავლობაში ბევრი დაიწერა. ერთის შეხედვით, თითქოს ზედმეტად გეჩვენება ქართველი სოციალ-მატყუარების ამ ლიდერის შესახებ შემდეგი წერა, რადგან ნოე ჟორდანია თავისი ავანტიურისტული პარტიით დღეს საკამათო საგანს არ შეიძლება წარმოადგენდეს. ჩვენებური მენშევიზმი, ეს ქართული ჟირონდა სავსებით გამორკვეული ფიზიონომიის მატარებელია. ჟორდანია იყო ერთ დროს „მოსოციალისტ-დემოკრატო“ პარტიის ბელადი, რომელიც დროთა სრბოლამ ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიათ აქცია.

თითქოს გარეგანი გარდაქმნა, რომელიც თავიდანვე მოსალოდნელი იყო, ცოტა დაგვიანებით მოხდა. აღსრულდა ის, რაზედაც ჯერ კიდევ 1892 წლებში ლაპარაკობდა თვით ნოე ჟორდანია, როდესაც ადგენდა **საქართველოში ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის დაარსების პროექტს.** საქართველოს მენშევიკური პარტია არასოდეს არ ყოფილა მარქსისტული ორთოდოქსალობის მატარებელი.ის თავიდანვე იყო წვრილბურჟუაზიული მიმდინარეობა, რომლის პროგრამა უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში ნაციონალისტური შინაარსით აღივსო.

როდესაც ჩვენ ვახასიათებთ ნოე ჟორდანიას, ამით ვაცნობთ მკითხველს მთელ მის პარტიას, ამ პარტიის იდეოლოგიურ მრწამსს, მის ავლადიდებას. ნოე ჟორდანია არ შეიძლება გამოიყოს ამიტომ თავის პარტიიდან, არამედ ის ამ პარტიასთან ერთად უნდა დახასიათდეს, როგორც მისი „სულიერი მამა“, მისი პატრიარქი.

ამხ. ორაგველიძეს თავის ვრცელ და დამუშავებულ ნარკვევში მიზნათ დაუსახავს ნოე ჟორდანიას იდეოლოგიის სისტემატიური მხილება, იმის გამორკვევა, თუ როგორ იქცა ჟორდანია „საბოლოოდ ბურჟუაზიული დემოკრატიის მშვიდობიან თაყვანისმცემლად და მარქსიზმის დაბალი ხარისხის ვულგარიზატორად“. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამხ. ორაგველიძემ მოგვცა ნოე ჟორდანიას იდეური სილატაკის და პოლიტიკური გაიძვერობის საინტერესო კრიტიკა. ავტორი ანვითარებს თავის ძირითად აზრს, რომელიც იმის დამტკიცებაში მდგომარეობს, რომ ნოე ჟორდანიას არ განუცდია 1917 წლის შემდეგ მოულოდნელი მეტამორფოზა, მხოლოდ ამის შემდეგ არ გამხდარა ის ოპორტუნისტი და წვრილბურჟუაზიული სოციალისტი ლუი-ბლანის ტიპისა, არამედ „მისი ოპორტუნიზმის ფესვები წარსულში უნდა ვეძიოთ“.

ამის ვრცელ დასაბუთებას ანდომებს ამხ. ორაგველიძე თავისი შრომის მეტ ნაწილს. ავტორი პირველ თავებში არკვევს ნოე ჟორდანიას ექსკურსიას თეორიის დარგში და ლენინისტური მეთოდის მომარჯვებით გზა და გზა ამსხვრევს ნოეს მთელ თეორეტიულ კიდობანს. ნოე ჟორდანიას მიერ წამოყენებული თეორეტიული არგუმენტები იმდენად უსუსურია, რევოლიუციონური მარქსიზმის წინაამდეგ მიმართული ცილისწამება იმდენად მოჭორილია, ავადმყოფ თავის ისეთი თეორეტიული ფანტაზიაა, რომ ამ „დებულებათა“ უარყოფა არც ერთ რევოლიუციონერ მარქსისტისთვის არ წარმოადგენს სიძნელეს, რომელსაც კი ესმის მარქსიზმის ანბანი.

რას მიაწერს ჟორდანია ბოლშევიკებს? იმას, რომ „ბოლშევიკები არ სცნობენ მარქსის მატერიალისტურ თეორიას და სავსებით სუბიექტიურ იდეალიზმის ნიადაგზე სდგანან“. (ვ) ამ „დებულებას“ ანვითარებს ნოე ჟორდანია მენშევიზმის მატიანეში, რომელსაც სახელად „ბოლშევიზმი“ დაარქვა და თავის სხვა არალეგალურ გამოცემებში, როგორიცაა „ნამდვილი და ყალბი კომუნიზმი“, „ჩემი პასუხი“ და სხვ. ჟორდანიას თქმით არსებობს ორი კომუნიზმი—„ნამდვილი, მარქსის კომუნიზმი და ყალბი, ლენინის კომუნიზმი“. ჟორდანია „ამტკიცებს“, რომ ბოლშევიზმი შეთქმულობის იდეოლოგიაა, რომ ლენინიზმი ბლანკიზმს ჰგავს, რომ ეს ორი მოძღვრება იდენტიურია. „ბოლშევიკების ორგანიზაცია არსებითად ყოველთვის შეთქმულობის ორგანიზაცია იყო და დღემდე ასეთი დარჩა“. (ნ. ჟორდანია „ბოლშევიზმი“.) ლენინი ჟორდანიას რუსეთის ბლანკისტის ტკაჩოვის შეხედულებათა განმეორებად ჰიაჩნია. ჟორდანია არ კმაყოფილდება ამით, მას სურს მიაწეროს ბოლშევიკებს ყოველივე ის, რაც კი იყო უარყოფილი მარქსიზმის მიერ და რომლის მატარებელი არ შეიძლება გახდეს მარქსისტული პარტია. ამიტომ ლენინს ანარქიზმობასაც სწამებს. ბოლშევიზმს ანარქიზმათ ნათლავს, ანუ როგორც ავტორი ლაპარაკობს ჟორდანია „ლენინიზმისა და ანარქიზმის იგივეობის თვალსაზრისზე დგება“. ჟორდანია „აკრიტიკებს“ ბოლშევიზმის ორგანიზაციულ საფუძვლებს*). გამოსთქვამს თავის აზრს 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის მამოძრავებელ ძალების შესახებ, გვაცნობს საკუთარ ოპორტუნისტულ შეხედულებებს კლასთა ბრძოლაზე, სახელმწიფოს მოძღვრებაზე, პროლეტარიატის დიქტატურაზე და საბჭოთა ეკონომიკაზე.

—ამ მთავარ საკითხებზე გამოთქმული შეხედულებათა კრიტიკას წარმოადგენს ამხ. ორაგველიძის წიგნი. ავტორი ამხილებს, თუ როგორ წინაამდეგობაში ჩავარდა ჟორდანია, როდესაც ის ბოლშევიზმს ხან ბლანკიზმათ და ხან კიდევ ანარქიზმათ ნათლავს და ბლანკიზმის და ანარქიზმის მიწერა ლენინიზმისათვის, ჟორდანიას იმისათვის ჰსურს, რომ ამით „ასაბუთებს“ ოპორტუნისტულ ფილოსოფიას. სახელმწიფოს, როგორც კომპრომისულ, კლასთა შეთანხმების ორგანიზაციის და მშვიდობიანი, უსისხლო რევოლიუციის აუცილებლობის შესახებ—ნოე ჟორდანია ავტორის თქმით სავსებით დასცილდა მარქსიზმს და სახელმწიფოს განმარტებაში ენგელსის მაგიერ მენგერს იშველიებს. დასასრულ ავტორი არკვევს ქართული მენშევიზმის სოციალურ ბუნებასაც. დაბეჯითებით ამტკიცებს ამ პარტიის წვრილბურჟუაზიულ ხასიათს, რომლის იდეოლოგიის გამომხატველია დღეს ნოე ჟორდანია.

ამხ. ორაგველიძის მიერ მოცემული განმარტება მენშევიზმისა ჩვენ მიგვაჩნია სრულიად უდავოდ: **„ქართული მენშევიზმი არის იდეოლოგია ქართველი წვრილ-აზნაურობის მრავალრიცხოვანი არმიის, მესაკუთრე და განსაკუთრებით შეძლებული გლეხობის და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის და მუშათა კლასის იმ ნაწილის, რომელიც ჯერ კიდევ სდგას კერძო საკუთრების ნიადაგზე და რომელსაც ვერ შეუთვისებია პროლეტარული მსოფლმხედველობა“.** საყურადღებოა ავტორის მიერ ნოე ჟორდანიას ეკონომიური კრიტიკის მთელი აბდა-უბდის გამომჟღავნება. ნოე ჟორდანია თავის წერილებში და არალეგალურ ბროშურებში იმას ამტკიცებდა, რომ საბჭოთა კავშირში ხდება საწარმოო ძალების სრული განადგურება. ეკონომიური გაპარტახებაო, ხოლო უკანასკნელ დროის წერილებში იძულებულია აღიაროს, რომ „საბჭოთა ხელისუფლებამ გაათართოვა თავისი მრეწველობა, გაზარდა თავისი ქარხნეულობაო“. ასეთი წინააღმდეგობით, არაკეთილსინდისიერებით და გაბოროტებული პროვოკაციით არის აღსავსე ნოე ჟორდანიას მთელი თეორეტიული და პრაქტიკული საქმიანობა. ამხ. ორაგველიძისაც სწორედ ამის გამორკვევა ჰქონდა მიზნათ დასახული. რაიც ჩვენის ფიქრით მის მიერ ჩინებულად იქნა შესრულებული.

შრომის უარყოფით მხარეთ უნდა ჩაითვალოს მრავალსიტყვიანობა და წიგნის გაგრძელება. რაიც ბევრ დაინტერესებულ მკითხველს არ მისცემს მისი გაცნობის სათანადო საშუალებას. ამ წიგნის გამოსვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწორედ დღეს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ექვსი წლის თავზე, როდესაც ჩვენი ქვეყნის მშრომელმა მასამ უნდა აიხსნათ ქართული მენშევიზმის საბოლოო დეგრადაცია და კიდევ მისი ბელადის ნოე ჟორდანიას იდეოლოგიური სიყალბე. სახელგამმა საყურადღებოთ უნდა აღნიშნოს, რომ წიგნი აჭრელებულია კორექტურული შეცდომებით, რაიც მრავალგან აზრს პირდაპირ ამახინჯებს.

მარქსისტი.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება № 14

სრულიად საქართველოს საბჭოთა აღმასრულებელი კომიტეტისა

საბჭოთა არჩევნების ინსტრუქციის მერვე მუხლის შეცვლის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1926 წლის დეკემბრის 22-ს დამტკიცებულ ინსტრუქციაში მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობებისა მოწვევის შესახებ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება.

მერვე მუხლში სიტყვები „უკეთუ ისინი არა ნაკლებ ხუთი წლისა ეწევიან სარგო და ზოგად სასარგებლო შრომას“ შეიცვალოს შემდეგნაირად: „უკეთუ ისინი არა ნაკლებ სამი წლისა ეწევიან სარგო და ზოგად-სასარგებლო შრომას“.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

თბილისი—სასახლე.

1927 წლის თებერვლის 17.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტგანათლების ქსელის პოლიტსკოლების (და წრეების) საერთო საქალაქო კონფერენცია იხსნება კვირას, 20 თებერვალს დილის 10 საათზე მუშათა ცენტრ. კლუბში

პირველ პლენარულ სხდომის დღის წეს-რიგში სდგას ამხ. ბუდილევის მოხსენება: „[illegible] და სკოლა“.

სავალდებულოა დასწრება: ყველა ტიპის პოლიტსკოლების და მუშა ქალთა პოლიტწრეების წარმომადგენლების, რაიპროპაგანდისტების, პარტგანათლების, ქსელის სკოლების და წრეების ხელმძღვანელების და უჯრედების ავიტპროპორგანიზატორების.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ **კომუნისტ-პედაგოგების თათბირი,** რომელიც დანიშნული იყო განათლების მუშაკის სახლში—**გადატანილია ქალაქის აღმასკომის შენობაში,** სახალხო განათლების განყოფილების გამგის **ამხ. ქაცარავას კაბინეტში** იმავე დღეს საღამოს 6 საათზე.

სხდომაზე გამოწვეულ პედაგოგების სია მოთავსებული იყო გუშინდელ გაზეთებში.

— თბილისის სახ. უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ შაბათს, 19 თებერვალს. შესდგება პედაგოგიური ფაკულტეტის უჯრედის ღია კრება 5 საათზე. და აგრონომიული ფაკულტეტის—7 საათზე. დასწრება კომკავშირის წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

— დღეს, 19 თებერვალს, ნაშუადღევის 2 საათზე. საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საავიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების შენობაში შესდგება **საავიტაციო კოლეგიის სხდომა.**

— კვირას, 20 თებერვალს დილის 9 საათზე, გიტპრომმუშაკის ცენტრალურ კაბინეტში (რუსთაველის თეატრის შენობა, მესამე სართული) საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი იწვევს განათლების სახ. კომისარიატის და სახალხო განათლების განყოფილების მუშაკთა, პედაგოგების და სკოლების და ტეხნიკუმების მუშაკების—კომპარტიის წევრების და კანდიდატების და კომკავშირის მოწ-ფეთა უჯრედების მდივანთა **თათბირს.**

— სახ. უნივერსიტეტის კომკავშირის ბიურო კოლექტივი აცხადებს, რომ შაბათს, 19 თებერვალს, დღის 12 საათზე მოწვეულია ბიურო-კოლექტივის სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრონ ამ-ბი: ივანე რუხაძე, გაბრიელ მენაბდე, გიორგი იაშვილი, იონა ბოქორიშვილი, დავით ქუთათელაძე, მერი ლეჟავა, ვარლამ გიორგაძე, არკადი კიტია.

ნორჩ პიონერთა თბილისის ბიურო იუწყება, რომ სამშაბათს, 22 თებერვალს, საღამოს სრულ 8 ს. განათ. მუშაკის სახლში ბავშვთა კომუნისტურ მოძრაობის, შემსწავლელ პედაგოგთა წრის მორიგ მეცადინეობის დროს შესდგება ექ. **პიროჟკოვის მოხსენება** თემაზე: „პიონერ-მოწაფის ფიზიკური განვითარება სწავლასთან დაკავშირებით“.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საარიცხვო განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს ორი დღის ვადაში გამოცხადდნენ საარიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ისაკოვთან: 1) ვლადიმერ ანდრიასძე რაიხელ, 2) ვასილ ილიასძე ბახტაძე, 3) გაჯი-ზადე აბდულა აბას-ოღლი, 4) ნიკოლოზ ნიკოლოზისძე ფედოროვი.

— საქ. რემედასის ცეკა იუწყება, რომ დღეს, 19 თებერვალს, საღამოს 6 საათზე საქ. რემედასის ცეკას ბინაზე ლენინის ქ., № 29. შესდგება **საქ. რემედასის ცეკას პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.**

დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

ღრმად დამწუხრებულნი: შვილები—გალაქტიონ ყარამანის-ძე მეუღლით, თეოლინე ანტონის ასული მასხარაშვილები შვილებით—მარუსია, თამარა და სვიმონით, ლიდა ყარამანის ასული კანდელაკისა, ოლღა ყარამანის ასული ქმრით—პეტრე პავლეს-ძე ბერუჩაშვილი და თეო ყარამანის ასული ქმრით—ივანე ნიკოლოზის-ძე კანდელაკი; შვილიშვილები: ვარლამ დავითის-ძე მეუღლით—ნადეჟდა ანდრიას ასული კანდელაკი, ელენე დავითის ასული და სერგო შარაძენიძეები, თამარა და ზაზულია გაბაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 16 თებერვალს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

სარა ალმასხანის ასული მასხარაშვილისა

დაკრძალვა სამშაბათს, 22 თებერვალს, სოფ. ბაჯში (რაჭის მაზრა).

1728

ღრმად დამწუხრებულნი ძმ ბი გალაქტიონ და ვარლამ კაციას-ძე გელოვანები, დები ქრისტინა ჩიქოვანისა და ელეონორა გელოვანის ასული, რძალი ანასტასია მიხეილის ასული გელოვანისა, სიძე ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე ჩიქოვანი თავის შვილებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხუთშაბათს, 17 თებერვალს, საღამოს 4 საათზე მთავარ (ყოფილ მიხეილის) საავადმყოფოში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი

კონსტანტ ნე (კოწია) კაციას-ძე გელოვანი

გამოსვენება მთავარ საავადმყოფოდან შაბათს, საღამოს 4 საათზე, გურამიშვილის (ტერ-გუკასოვის) ქუჩაზე № 14, საოქალაქო პანაშვიდი საღამოს 6 საათზე. გამოსვენება ბინიდან და დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე 20 თებერვალს, ნაშუადღევის პირველ საათზე. 1729 2—1

ღრმად დამწუხრებულნი ბიძაშვილი ანიჩკა კონსტანტინეს ასული და მეუღლე მისი ექიმი იოსებ ნიკოლოზის-ძე ჭიჭინაძე თავის შვილებით, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს მათთვის უძვირფასეს ბიძაშვილის

კონსტანტინე (კოწია) კაციას-ძე გელოვანის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 20 თებერვალს, ნაშუადღევის პირველ საათზე, გურამიშვილის (ტერ-გუკასოვის) ქუჩა № 14, დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 1730

საქართველოს კოოპერატიულ საბჭოს სამოსწავლო სექცია, ლექტორთა კოლეგია და კოოპერატიული კურსების მსმენელები ღრმად დამწუხრებულნი აუწყებენ ყველა მეგობრებსა და ნაცნობებს კოოპერატიული კურსების მსმენელის ამხ.

კოწია კაციას ძე გელოვანის

უდროოდ გარდაცვალებას ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ. გამოსვენება მოხდება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან შაბათს, 19 თებერვალს, საღამოს 4 საათზე—საკუთარ ბინაზე გურამიშვილის (ყოფ. ტერ-გუკასოვის) ქ. № 14 საოქალაქო პანაშვიდი—დღეს, საღამოს 6 საათზე. გამოსვენება ბინიდან და დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე 20 თებერვალს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე. (ე.)

ღრმად დამწუხრებული და ზინა არჩილის ასული, სიძე ნიკოლოზ ძერაბისძე და დისწულები შურა და აჩიკო კილასონიები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ მათი დაუვიწყარი და საყვარელი

ანთიმოზ არჩილის ძე აზვლედიანის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის აღსანიშნავი წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება ქ. ქუთაისში, მთავარ „ანგელოზას ეკლესიაში თებერვლის 20-ს, დილის 12 საათზე 2—1 1720

ღრმა მწუხარებაში მყოფნი ძაძა მათე იოსების-ძე მალანია, დ და მარიამ ნიკოლოზის ასული, დები: ნინო და დარეჯანი განუსაზღვრელ მადლობას უძღვნიან **მეგობრებს** და ყველა მათ, ვინც წერილობით ან პირადი დასწრებით უკანასკნელად პატივი სცა მათთვის უძვირფასეს და დაუვიწყარ

თინა (თინიკო) მალანიას

როგორც დასაფლავების დღეს, ისე ორმოცი დღის აღსანიშნავ პანაშვიდზე. 1733

სახელმწიფო დრამა

შაბათს, 19 თებერვალს, ანტონოვის

მზის დაბნელება საქართველოში

კომედია 3 მოქმედებად.

დადგმა კ. მარჯანიშვილის. დეკორაციები: სიდამონ ერისთავის.

კვირას 20 თებერ. ნ. შიუკაშვილის **ამერიკელი ძია**

ორიგინალური კომედია 4 მოქმედ. და 3 ინტერმედიით

დადგმა ალ. ახმეტელის.

მხატვარი: მ. შავიშვილი.

სა ხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

3—1 ნ. 677

სახელმწიფო დრამა 686

პიესა „საჩე მარცხნივ“-ის გენერალურ რეპეტიციის გამო 22 თებერვლი (სამშაბათი) მორიგი წარმოდ. „ამერიკელი ძია“ გადადებულია 1 მარტისათვის, ბილეთები აღებული 22 თებერვლისათ. გამოდგება ამ დღისათვის

ხუთშაბათს, 24 თებერვალს პრემიერა ბილ-ბელოცერკოვსკის

საჩე მარცხნივ! 4 მოქ. 16 სურათი თარგმანი ს. ჩიქოვანის

დადგმა: ალ. ახმეტელისა.

მუსიკა ვ. იპოლიტოვის. კონსტრუქცია და კოსტიუმები ირ. გამრეკელის

სახელმწიფო ოპერა ნ. 679

სამშაბათს 22 თებ. ლენინგრადის და მოსკოვის აკადემიურ ოპერის

პრემიერ-ქალის ე. ა. სტეპანოვას 1-ლი გასტროლი

ლ ა კ მ ე

ბილეთები იყიდება

სახელმწიფო ოპერა ნ. 678

დღეს, 19 თებერვალს, პრემიერა **ტ რ უ ბ ა დ უ რ ი**

ბოგოლეპოვას, ვოლჩანეცკაიას, ქუმსიაშვილის და ივენაძის მონ.

დირიჟორი მელიქ ფაშაევი

კვირას, 20 თებერვალს. **კ ა რ მ ე ნ**

სკიბიცკაიას, ვიტინგისა და სანდრო ინაშვილის მონაწილეობით.

დირიჟორი სტოლერმანი

სამშაბათს 22 თებერვალს

ე. ა. სტეპანოვას 1-ლი გასტროლი **ლ ა კ მ ე**

ცირკი ძმ. ტანტების 1—1 ნ. 680 ტელ. 16—67

ს.ს.ს. რესპ.დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელობ.

შაბათს, 19-ს და კვირას 20 თებერვალს

განსაკუთრებული დახიშნულების სანახაობანი; დასის სრული შემადგენლობა. დამსახ. მსახ. ლეო ტანტის ხელმძღვანელობით

ფრიად საინტერესო პროგრამა. **ჭიდაობს 4 წყვილი**

შ ა ბ ა თ ი

გადამწყვეტი შ უ ლ ც ი—გ. სიდიუკი საბოლოო შედეგამდე ნიღაბი ფენომენ – ნიკოლას და კიდევ 2 წყვილი

კ ვ ი რ ა

გადამწყვეტი, საბოლოო შედეგამდე, ერტნერის გამოწვევა შ უ ლ ც ი—ე რ ტ ნ ე რ ი ნიღაბი ჰერკულესი ს. ქელეზნიაკი და კიდევ 2 წყვილი

კვირას 20 თებერვ-ლს ყველასათვის ხელმისაწვდომი ს ბავშვო დ ი ლ ა. ახალი პროგრამა საჩუქრები. დასაწყისი 1 ნ.ხ. საათზე.

ადმ. ხელმძ. მ. ი. ტ ა დ ე.

აპოლო ტელ. 7—61.

არფასიტო ტელ. 13—22.

ს ო ლ ე ი ტელ. 20—14.

დ ა რ ბ ა ზ ი ტელ. 14—04

0—12 ნ. 587

ბ ე ლ ა

„ჩვენი დროის გმირი„-ს ციკლიდან (ლერმონტოვის ნაწარმოების მიხედვით). ყოველდღიური ანშლაგები

დადგმა **ვ. ბარსკის**

ოპერატორები. ა. კოლოკოლ ჩი, ფ. ვერელე

მთავარ როლებში: თინა ჟაჟავარიანი, ნ. პროზოროვსკაი, ა. თაყაიშვილი, ვ. ოგოლევსკი.

საუკეთესო სურათი აღმოსავლეთის ცხოვრებიდან

„ქონტეცუმას ქალი“

ხაგარტის რომანის მიხედვით

მუშათა თეატრი (ყოფ. სახალხო სახლი)

დღეს, 1927 წ. 19 თებერვალს

ვინ არის დამნაშავე?

დადგმა ალ. წუწუნავასი

1737

თბილისის ქალაქის ბირჟა გადავიდა

ახალ ბინაზე, სოლოლაკის და სერგეევის ქუჩის კუთხე. შესავალი სერგიევის ქუჩიდან № 2

ნ. 687

ზაჰესის სამუშაოთა სამმართველო

აცხადებს, რომ დანიშნულია გასასყიდად მსუბუქი სრულიად ვარგისი ავტო-მანქანა „მერსედეს“ მოტ-ირი № 14903. ცნობების მიღება შეიძლება ზაჰესკომის სამასალო ნაწილში, ლ. დუმბაძის ქუჩა № 3.

2—1 ნის. 682

---

20 თებერვალს, ნაშუადღევის 5 საათზე, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგება ყველა კავშირების (რკინისგზელებს გარდა) უმუშევარ წევრთა კრებები ყოფაზე მყოფ. საარჩევნო უფლება მქონეთა (18 წელზე მეტი ხნის) საერთო-საქალაქო კრება თავიანთი წარმომადგენლების ასარჩევად

თბილისის საბჭოში

თბილისის საარჩევნო კომისია ამ ჯგუფის ყველა ამომრჩევლებს სთხოვს კრებაზე გამოცხადდნენ საარჩევნო უწყებებით.

ნ. 683 თბილისის საარჩევნო კომისია.

თბ. ქალაქის ლომბარდის სააუქც. კამერა

ამით აცხადებს, რომ შაბათს, 19 თებერვალს, დღის 1-ლ საათზე, რუსთაველის გამზირი 39 დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ფინსახკომის დავალიანების ასანაზღაურებლად, გაიყიდება 90 ყუთი ბორჯომის ბოთლები, 23 ცარიელი კასრები, ახტალის ტალახი და სხვა წვრილმანეულობა ნ. 686

სიღნაღის სამაზრო აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებამ

ქიაურში მოაწყო ხე-ტყის სახერხი ქარხანა, სადაც მზადდება ყოველგვარი ხის მასალა, გარდა ფიჭვისა.

მსურველთ, როგორც დაწესებულებებს, ისე კერძო პირებს, დაკვეთა შეუძლიათ პარტიობით.

პირობების გაგება შეიძლება ადგილობრივ ქ. სიღნაღში და ქიაურში, როგორც პირადათ, ისე წერილობით.

სიღნაღის სამაზრო აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილება.

1502 15—1

თბილისის ცენტრალური საარჩევნო კომისია იუწყება, რომ შესდგება შემდეგი კავშირების უმუშევარ წევრთა საარჩევნო კრებები

თბილისის საბჭოს არჩევნებში

მონაწილეობის მისაღებათ:

1) განათლების მუშაკთა—19 თებერვალს ნაშუადღევის 1 საათზე პროფსაბჭოს დარბაზში.

2) საბჭოთა სავაჭრო მუშაკების—19 თებერ. შუადღის 12 საათზე რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში.

3) ხის დამუშავებელთა, ქიმიკოსების ადგილობრივ ტრანსპორტის და ფეიქრების—20 თებერვალს დილის 10 საათზე მუშათა ახალ კლუბის შენობაში (სას.ხლის 5) და

4) მიწა ტყის სამთა-მადნო მუშათა, მეტყავეთა და მეფტლეთა—22 თებერვალს საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს დარბაზში.

ამომრჩევლები კრებებზე უნდა გამოცხადდნენ საარჩევნო უწყებებით.

ნ. 684 თბილისის ცენტრალური საარჩევნო კომისია.

პედაგოგიური ფაკულტეტის კურს დამთავრებულთა საყურადღებოთ

სახელმწ-ფო გამოცდები პედაგოგიურ ფაკულტეტის კურს დამთავრებულთათვის დანიშნულია მიმდინარე წლის შემდეგ ვადებში: **ლიტერატურის, ისტორიის, საბუნებისმეტყველო, სამათემატიკო, ასტრონომიულისა (განხრა) და საენათმეცნიერო დარგთათვის 15 მაისიდან 15 ივნისამდე და 1 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე ფილოსოფიურისა და ფსიქოლოგიური დარგთათვის კი 15 აპრილიდან 15 მაისამდე და 1 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე.**

გამოცდების ჩაბარების მსურველთაგან განცხადებანი მიიღება დღეიდანვე და შეწყდება ერთი კვირით ადრე საგამოცდო სესიის დაწყებამდე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა.

ნ. 681

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ ის 24 თებერვალს დღის 12 ს. სახლში № 36 ა. ენგელსის ქუჩ. (ბებუთოვის ქ.) **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის აღნიშნულ სახლს, რომელიც ეკუთვნის ნიკოლოზ გაბრიელის-ძე მატინიას, არამ მკრტიჩიანცის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახ. სასამართლოსაგან 1926 წ. 3 დეკემბრის თარიღით, № 2837, გაცემულ სასამართლოს ბრძანებისა სახლი არის ორ-სართულიანი, აგურის, დახურული თუნუქით, აშენებული ქალაქის მიწაზე ზომით 210 ოთხკუთხი საჟენ; სახლში არის ათი საცხოვრებელი ოთახი და ერთი სამზარეულო, შეფასებულია ორი ათას მანეთად. მყიდველებმა უნდა დაიცვან სამოქ. საპრ. კოდ. 311—312 მ. მ. აღნიშნული წესები. საჯარო ვაჭრობა პირველია. 1725

მანგლისის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი თ. ა. დაჩელია

ამით აცხადებს კოოპერატიულ და სხვა საწარმოო დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ მის მიერ 1927 წ. 25 თებერვალს ადგ. სოფ. დიდ თონეთში (მანგლისის თემი, თბილისის მაზრა) დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა.** იყიდება აღნიშნულ სოფლის სარძეო ფერმის მთელი ქონება, ყველის საქონელი ყოველგვარი ხელ-საწყო და ინვენტარი, რომელიც შეფასებულია სულ 1.111 მან. ამ საჯარო ვაჭრობას საფუძვლად უდევს მანგლისის უბნის სახალხო სასამართლოს მიერ გაცემული ბრძანება. ფურცელ ბი: №№ 60, 64, 65 და 75. ქონება იყიდება მოსამსახურეთა ხელფასის გასასტუმრებლად და ინგლისის მთლიან მოხმარებელ საზ-ბა „ეპოს“ ვალის დასაკმაყოფილებლად. ვაჭრობა დაიწყება დილის 11 საათიდან. 1740

ქ. თბილისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი გ. გ. ბარუტჩევი

აცხადებს, რომ ა. წ. 22 თებერვალს, ვოდოვოზნი შესახვევში, № 8, გაიყიდება **საჯარო ვაჭრობით** 2 სართულიანი სახლი ფლიგელით, რომელიც ეკუთვნის ვაგარშაკ მალხაზიანცს. მთელ სახლში და ფლიგელში მოთავსებულია 28 ოთახი და 5 სამზარეულო. ზემო-აღნიშნული სახლი და ფლიგელი შეფასებულია 2500 მან., რომელი თანხიდანაც დაიწყება ვაჭრობა. გაყიდვა დანიშნულია თამბაქოს ტრესტის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ 2863 მან. რაოდენობით. ვინც ისურვებს ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს სამ. საპრ. კოდ. მე-311 მუხ. გათვალისწინებული ცნობები; გარდა ამისა ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს, საწინდარი შეფასებულ ჯამის 17 პროც. რაოდენობით, ე. ი 250 მ. 1738

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

ხაწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექ. ი. დ. თოფურიძე

კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 იღებს ავადმყოფებს კანის, ვენერიული და სიფილისი (აგრეთვე სასქესო ორგანოთა მწვავე და ქრონიკული დაავადებებით).

ილის 8—9 საათ.—საღამოს 4—8 ს. 25—14

ქიმ ი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. საჯუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ ისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25 1

ექიმი ა. ს. ფ.ღნ-ირტელი

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ „ბონ-მონდი“).

გარდა საექიმო. სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე. ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

მედიცინის დოქტორი გ. ა. ახვერდოვი

ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან 25—1

ექიმი მეგრაბიანცი

ფილტვების. ტლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური [illegible]მზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—1

ექიმი გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს დე. ცლისაბე ჯის ქუჩა, № 3. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე.

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი ა. დ. კაკელია

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.

სათვალეების მორგება უფასოდ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1

ევროპაში ცნობილი გეოდეზისტის ვენის პროფესორის D-r Eduard Dolezal'ის ყოფილი მოწაფე გეომეტრიმარკშეიდერი

ვ. ს. ასათიანი

კისრულობს ქალაქებისა და სამადნოების ზუსტი ტრიანგულიაციების შედგენა-შემოწმებას.

მოლაპარაკება წერილობით: თბილისი, ლ. დუმბაძის ქ. № 20. 13—3

ქუთაისი

ექიმი ა. მ. ასათიანი

დაბრუნდა ლენინგრადის კლინიკებიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად — სამშობიარო დახმარება და ქალთა სნეულება. 13—1

ექ. ი. ე. გაგიჩვაძე

პლეხანოვის პროსპექტი № 65 იღებს სპეციალურათ ვენერიულ სიფილისით და კანით ავადმყოფებს.

დილით 7 ნახ.—8 ნახ. საღამოს 5—8 საათამდე.

დაიკარგა მიწა-ტყის მუშაკთა პროფკავშირის წიგნაკი № 16,715, სტუდენტობის პირადობის მოწმობა № 94, პარტიული ბილეთი № 4969, სოციალური მდგომარეობის მოწმობა № 2313 მოცემული ნახახულევის თემ-აღმასკომის მიერ იასონ მიხეილის-ძე ბულეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1731

დაიკარგა პირადობის მოწმობა გაცემული ნესტორ დადიანის სახელზე, № 625 ჩ. გ. 17 6

დაიკარგა პირადობის მოწმობა და პარტიული წიგნაკი მოცემული რაჭის მაზრიდან ნამანევის თემში სინო იოსების-ძე ფოფხაძის სახელზე, ჩ. გ. 1736

დაიკარგა სამხ. საარიცხვო ბარათი № 9, გიორგი მათიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1734

დაიკარგა აღრიცხვის ბარათი თედო ჩალკაციშვილის სახელზე, ჩ. გ. 1732

დაიკარგა სამხედრო ნუსხა № 2, 1917 წ. გაცემული სკირის რაი-სამხედრო გამგის მიერ, პავლე მეთოდეს-ძე უკლებას სახელზე, ჩ. გ. 7.

დაიკარგა სამხედრო პირადი ბარათი № 36, შიო დაბრუნდაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1723

დაიკარგა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 1 138, დავით გიორგის-ძე აკოფაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1724

დაიკარგა სამხედრო-აღრიცხვის ბარათი მოცემული მე-3 უბნის კომისარის მიერ, შალვა ილ. ხოჯავას სახელზე, ჩ. გ. 1727

დაიკარგა ორი ანგარიში, გაცემული 1926 წ. 26 და 29 მარტს საქ. ტყია მრეწვ. ტრესტის სახერხ ქარხნის № 1 მიერ და გატარებული № 273 ორდერის ქვეშ სართიჭალის თემ-აღმასკომის გასავალში 1926 წ. 30 მარტს № 4172—158 მან. 63 კაპ. და № 4232—17 მან. 19 კაპ. ჩ. გ. 1735

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.